

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის

2018

წლის ანგარიში



ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

ურთიერთობა
მართვით

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის
2018 წლის
ანგარიში

საბაჟო დეპარტამენტი	9
მომსახურების დეპარტამენტი	31
რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი	39
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	45
აუდიტის დეპარტამენტი	73
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	89
ანალიტიკური დეპარტამენტი	95
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი	109
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	123
დავების დეპარტამენტი	131
ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი	147
ფინანსური დეპარტამენტი	163
იურიდიული დეპარტამენტი	169
მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო	177
საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი	181
პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	189



საერთაშორისო
სამართლებრივი



პირველი რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ნოდარ კაკრიავიშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

ქრისტინე ლორთქიფანიძე
მომსახურების ხარისხის კონტროლის
სამმართველოს უფროსი

ციცი დალაქიშვილი
რეგულირებისა და დაგეგმვის
დეპარტამენტის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე
შემოსავლების სამსახურის უფროსი

სალთა შორჭულიანი
ადამიანური რესურსების მართვისა და
განვითარების დეპარტამენტის უფროსი

ხათია მოისნრაფიშვილი
საგოგადოებასთან ურთიერთობისა და
მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ბუბუხიშვილი
მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

რომან ბუღაძე
საგადასახადო და საბაჟო
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი

დაჩი ქინჭლაძე
საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ლევან წითელაშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

პაატა კილაძე
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

მამუკა ჯანგულაშვილი
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

კახა ცერცვაძე
შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოადგილე

გიორგი პატარიძე
ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი

შალვა კოპალეიშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

მესამე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

გრიგოლ სამსონაძე
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

მამუკა ტარაშვილი
შემოსავლების სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

გიორგი გომარაღი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ნატროშვილი
საგადასახადო მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოადგილე

ელდარ ფარცულიანი
პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი



ვახტანგ ლაშვაშვილი

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის უფროსი

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში.

2018 წელს, თითოეული თანამშრომლის ჩართულობითა და ძალისხმევით, ჩვენ მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ, რამაც ხელი შეუწყო შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციურ გაძლიერებას.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ამოცანაა, გადამხდელმა მისთვის ხელსაყრელ გარემოსა და მინიმალურ დროში, შეძლოს მასზე დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულება. ჩვენთვის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობა, გადამხდელისთვის და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებისთვის საბაჟო პროცედურების გამარტივება, ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვა, საზღვრის კვეთასთან და საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

შემოსავლების სამსახური აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას შესაბამის სამსახურებთან ქვეყნის გარეთ. ამ წარმატებული პარტნიორობის შედეგია მეზობელ ქვეყნებთან ელექტრონულ რეჟიმში ინფორმაციის წინასწარი გაცვლის შესაძლებლობა, რაც საშუალებას იძლევა, ამაღლდეს საბაჟო კონტროლის ეფექტურობა, გამარტივდეს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საზღვარზე გადაადგილება.

2018 წელს, საქართველო რეგიონში გამორჩეულად წარმატებულ ქვეყნად იქნა მიჩნეული და არაერთ საერთაშორისო რეიტინგში დაიკავა წამყვანი პოზიციები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის რეიტინგში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საქმიანობის კუთხით, გვაქვს

წინსვლა 2 პოზიციით, რაც გულისხმობს გადასახადების გადახდის კომპონენტში ეფექტურ პროგრესს და საზღვრებს შორის ვაჭრობის კომპონენტში 19 საფეხურით მნიშვნელოვან დაწინაურებას.

განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი რეფორმები, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს „DB2020“-ში საქართველოს პოზიციების გამყარებას და წინსვლას. კერძოდ, დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის ამოქმედება, პოზიტიურ გავლენას იქონიებს დღგ-ის დაბრუნების პროცესზე და გაცილებით გაამარტივებს თავად დაბრუნების პროცედურას. თუმცა, ამ მიმართულებით გაუმჯობესება გაცილებით თვალსაჩინო გახდება 2019 წელს.

ამასთან, „DB2020“-ში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ექნება შესაძლებლობა, წარადგინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე. კერძოდ, ახალი საბაჟო კოდექსი, ვაჭრობის ხელშეწყობის კომიტეტის ჩამოყალიბება, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, ციფრული საბაჟო და ა.შ.

ჩვენი სამსახურის თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმი, პატიოსნება, გუნდურობა და საქმისადმი ერთგულება, განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. მოხარული ვარ, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიას ისინი პირნათლად ასრულებენ.

მადლობას ვუხდით თითოეულ თანამშრომელს 2018 წელს გაწეული საქმიანობისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.





REVENUE
SERVICE



შემოსავლების
სამსახური

საგარეო საზღვარების
კონტროლის
სამსახური
CLEARANCE ZONE



საგანმანათლებლო დეპარტამენტი



მამუკა ჯანგულაშვილი

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

ნარმოგიდგენტ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განეული საქმიანობის ანგარიშს. 2018 წელი საბაჟო დეპარტამენტისათვის წარმატებულთან ერთად სიმბოლურიც აღმოჩნდა, რადგან საქართველოს პირველი რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის თარიღიდან ზუსტად 100 წელი გავიდა. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები ჩვეული პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტის დაცვით უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ ქვეყნის ეკონომიკური საზღვრებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზებას. ამავდროულად, დეპარტამენტის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობა, რა მიზნითაც 2018 წელს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები საბაჟო პროცედურების გამარტივების, ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლისა თუ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირების ცნობიერების ამაღლების მიმართულებებით. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ციფრული საბაჟოს კონცეფცია და ამ მიმართულებით საბაჟო დეპარტამენტის განეული ძალისხმევა, რომელიც კიდევ უფრო დააჩქარებს და ეფექტურს გახდის საბაჟო პროცედურებს. დაინერგა ახალი ელექტრონული სერვისები, საბოლოო მიზანი კი ბიზნესისათვის ყველა სერვისის ელექტრონული ფორმით მიწოდების შესაძლებლობაა. დეპარტამენტი, ასევე, აქტიურად მონაწილეობდა საბაჟო კანონმდებლობისა და პროცედურების საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო დეპარტამენტის აქტიური ჩართულობა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის მომზადების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში ევროკავშირის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას, რაც გაამარტივებს საერთაშორისო (განსაკუთრებით საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის) ვაჭრობასთან დაკავშირებულ საბაჟო პროცედურებს და შექმნის საბაჟო რეგულირების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ გარემოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალშიც წარმატებით გავაგრძელებთ დაგეგმილი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას და მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ ქვეყნის განვითარებაში.



ევროკავშირთან ინტეგრაცია

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში:

- გრძელდება მუშაობა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის იმპლემენტაციის კუთხით, რომლის კონცეფცია ემყარება საბაჟო ორგანოსა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს მინოდების ჯაჭვის უსაფრთხოებას. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ისარგებლებს რიგი შეღავათებით, მათ შორის: საზღვრის კვეთისას და საქონლის გაფორმებისას საბაჟო სერვისებით უპირატესად სარგებლობის უფლება; გარკვეულ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის განხორციელება მის კუთვნილ ტერიტორიაზე; წინასწარ (საქონლის შემოტანამდე) შეტყობინება საქონლის ფიზიკური დათვალიერების გადანაცვებიდან მიღების თაობაზე, გარკვეულ შემთხვევებში გარანტიების წარდგენისაგან გათავისუფლება და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ისარგებლებს სხვა ქვეყნებთან დადებული ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით განსაზღვრული შეღავათებით აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე;
- „ტრანზიტის საერთო პროცედურების“ (CTC) შესახებ და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) იმპლემენტაციის მიზნით, მიმდინარეობს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების პროექტი, კერძოდ, მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის და ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. ხდება არსებული სიტუაციის შესწავლა, სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო ცვლილებების შესრულების მიზნით;
- „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბაჟოს მიერ აღსრულების თაობაზე“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 12 ივნისის (EU) №608/2013 რეგულაციასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, შემუშავდა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონის ახალი რედაქცია, რომელიც 2018 წლის 7 თებერვალს ძალაში შევიდა;
- ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) ფარგლებში, გაფორმების ეკონომიკურ ბონაში „ბათუმი“ (ადლია), გაიხსნა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, რომელიც მოიცავს, როგორც ვეტერინარული, ასევე, არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და ფიტოსანიტარიული კონტროლისთვის განკუთვნილ განყოფილებებს. ამავე პროგრამის ფარგლებში, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის მიმართულებით, ევროსტანდარტების შესაბამისად, სრულად აღიჭურვა საბაჟო გამშვები პუნქტები „სადახლო-საავტომობილო“ და „წითელი ხიდი“;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის, „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“, ფარგლებში, დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღჭურვა;
- საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციასთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაზე, „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“;
- პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ინტეგრირებული ტარიფის, როგორც „ციფრული საბაჟოს“ შემადგენელი კომპონენტის, „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

- მიმდინარეობს მუშაობა საავტომობილო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმებით განსაზღვრული სახიფათო ტვირთებისთვის სასაქონლო კოდების განსაზღვრის მიმართულებით;
- მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტის - **ATA წიგნაკის** დანერგვის მიმართულებით, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურებს გაამარტივებს.

ერთიანი მიდგომების დამკვიდრების და საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, აუთენტურად მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავებაზე:

დამტკიცდა
● „ოზონდამშლელი ნივთიერებების საბაჟო კონტროლის“ სახელმძღვანელო.
მომზადდა
● „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა განხორციელების“ სახელმძღვანელო;
● „ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვის საბაჟო კონტროლის“ სახელმძღვანელო;
● „სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების საერთაშორისო გადაადგილების სანებართვო კონტროლის“ სახელმძღვანელო;
● „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ვეღური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების საბაჟო კონტროლის“ სახელმძღვანელო;
● „სამკურნალო საშუალებებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საბაჟო კონტროლის“ სახელმძღვანელო;
მიმდინარეობს მუშაობა
● „საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის გაფორმების“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე;
● „სარკინიგზო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტის“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე;
● „სამხედრო პროდუქციის საბაჟო კონტროლის“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე;
● „იარაღის საბაჟო კონტროლის“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე;
● „ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საბაჟო კონტროლის“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე;
● „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვის“ პროცედურულ სახელმძღვანელოზე.



საქონლის გაფორმების პროცედურების გაპარტიზების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები:

- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საქონლის წარდგენა გაფორმების საგადასახადო ორგანოში საჭირო არ არის, თუ საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის წარდგენა შეუძლებელია მისი დემონტაჟის ან/და წარმოების უწყვეტი ციკლის შეფერხების გარეშე ან/და მისი დათვალიერება საგადასახადო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;
- შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გატანის შემთხვევაში,

საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი გახდა სატრანსპორტო საშუალებაში აღნიშნული საქონლის ჩატვირთვამდე;

- შესაძლებელი გახდა, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტით გატანისას ან თავისუფალ ზონაში საქართველოს საქონლის მოთავსებისას, საქონლის დეკლარირება განხორციელდეს საბაჟო გამშვებ პუნქტში საგადასახადო დოკუმენტის გამოყენებით.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების დამცველ არასამთავრო ორგანიზაციასთან „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა ნორმატიული აქტის პროექტი, რომლის თანახმად განისაზღვრა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონლის ნუსხა, რომლის მიწოდება, იმპორტი და დროებითი შემოტანა დღგ-ისგან გათავისუფლდება.



ციფრული საბაჟო

გადასახადის გადამხდელებისთვის პროცედურების გამარტივების მიზნით, დაინერგა ახალი ელექტრონული სერვისები და განხორციელდა მატერიალურად წარსადგენი დოკუმენტების ჩანაცვლება ელექტრონული ფორმით.

ელექტრონული სერვისები

- ✓ წინასწარი დეკლარაციისთვის შერჩეული დერეფნის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად მოძიება;
- ✓ დასაწყობებული საქონლის ნაშთების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად მიღება;
- ✓ გადასახადის გადამხდელის ინფორმირება წინასწარი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციასა და წინასწარი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისთვის შერჩეული დერეფნის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით;
- ✓ ერთი კონტროლის ზონიდან მეორე კონტროლის ზონაში კონტეინერისა და მასში განთავსებული საქონლის გადაადგილება სპეციალური ელექტრონული სერვისის საშუალებით (ფორმა 222).

მატერიალურად წარსადგენი დოკუმენტაციის/კორესპონდენციის ელექტრონული ფორმით ჩანაცვლება:

- განცხადება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ან სასაქონლო კოდის განსაზღვრის თაობაზე წინასწარი გადანაცვლების შესახებ;
- განცხადება “ASYCUDA”-ში დეკლარაციის შევსებაზე უფლებამოსილი პირის დამატების თაობაზე;
- განცხადება ნებართვა/სერტიფიკატის საჭიროების დადგენის თაობაზე;
- განცხადება აღრიცხვის მოწმობაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- განცხადება საბაჟო გაფორმების ორგანოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე;
- განცხადება საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე;
- განცხადება საქონლის გასხვისების თაობაზე;
- განცხადება ყვითელი დერეფნის შერჩევის შემთხვევაში, დამატებით საჭირო დოკუმენტების წარდგენის თაობაზე;
- ზოგადი დეკლარირებისას დოკუმენტის წარუდგენლობით გამოწვეული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადამხდელისთვის გადასაცემი შეტყობინება;
- განცხადება ექსპორტის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული და ექსპორტის ვეტერინარული სერტიფიკატების მიღების თაობაზე.

„ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემა“

„ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემაში“ სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ჩართვის მიზნით, მიმდინარეობის ტექნიკური სამუშაოები. ასევე, იგეგმება სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ჩართვა მოცემულ სისტემაში.

**ეფექტური საბაჟო კონტროლი****ინფორმაციის გაცვლა**

- აქტიურად გრძელდება მუშაობა სატრანზიტო სისტემის (CAREC Advanced transit System – CATS) და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (Customs Information Common Exchange – ICE) საპილოტე პროექტის განხორციელების მიმართულებით. ერთიანი სატრანზიტო სისტემის ფარგლებში, წვერი ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი) ეკონომიკური ოპერატორები სათანადო ავტორიზაციის შემდეგ ისარგებლებენ ერთიანი ელექტრონული სატრანზიტო და საგარანტიო სისტემით, აგრეთვე, გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით ურთიერთდღიარებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ერთიანი მექანიზმის გამოყენება;
- საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს ავიარეისებით გადაადგილებული მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მონოდების სისტემის დანერგვის პროცესში (API PNR);
- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ სახელმწიფო საბაჟო სამსახურს შორის, საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის ტერიტორიებს შორის გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ წინასწარი მონაცემების გაცვლის ორგანიზების მიზნით, შეთანხმების გაფორმების თაობაზე;
- ქართული მხარის მიერ ინიცირებულ იქნა პროექტი, რომლის თანახმადაც, საქართველოსა და თურქეთს შორის გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის შედეგად, აწონვისა და სკანირების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა განხორციელდება ორი ქვეყნის საბაჟო ორგანოებს შორის;
- მუშაობა დაიწყო e-TIR კომპიუტერიზაციის პროექტზე, რომელიც გულისხმობს საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს შორის TIR ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლას. პროექტის მიზანია, TIR რისკების მართვის მიზნით, დამატებითი ინტერნეტინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობა. სატესტო რეჟიმში განხორციელდა TIR ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირთან.

ელექტრონული ლუწები

საბაჟო კონტროლის პროცედურების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ინიცირებულია პროექტი, რომლის მიხედვითაც იგეგმება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ გადაადგილებული **საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მონიტორინგი ელექტრონული ლუწების საშუალებით**. ამ მიზნით, ასევე, დაგეგმილია ოპერატიული სამორიგეო ჯგუფების შექმნაც, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტრონული ლუწებით კონტროლის ქვეშ გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების მუდმივ მონიტორინგს.

დამტკიცდა სახმელეთო და სარკინიგზო საბაჟო გამშვები პუნქტების **14 ტექნოლოგიური სქემა**.

აქტიურად მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობა კინოლოგიის განვითარების მიმართულებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოსთან, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება და ქართულ მხარეს **3 სამსახურებრივი ძალის** გადმოცემა.

ექსპლუატაციაში გაეშვა საბაჟო გამშვებ პუნქტთან “ყაზბეგი” არსებული სოფ. ფანშეტში განთავსებული საავტომობილო **სტაციონალური რენტგენის სკანერი**.

2018 წლის ივნისში, ყაზბეგსა და ლაგოდეხში გაიხსნა **2 ახალი სპეციალური ავტოსადგომი „ტირ-პარკი“**, შედეგად, მოცემულ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით, საერთო ჯამში, ოპერირებს 10 ერთეული სპეციალური ავტოსადგომი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვრებზე სატვირთო ავტომობილების რიგების ეფექტურ რეგულირებას.

პროგრამული მოდულები

აღრიცხვიანობის გაუმჯობესების, კონტროლის პროცედურების ეფექტურობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით

შემუშავდა და დაინერგა:

- ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გასანაშთი მოდული, რაც საშუალებას იძლევა, რამდენიმე კონტეინერის სხვადასხვა დროს გატანის შემთხვევაში, მათი დადასტურება ეტაპობრივად მოხდეს;
- ფიზიკური პირისა და სატრანსპორტო საშუალების მცისიერად კონტროლზე დაყენებისა და კონტროლიდან მოხსნის პროგრამული მოდული;
- სასაქონლო ექსპერტიზაზე გაგზავნილი საქონლის ელექტრონული აღრიცხვის მოდული;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოების ელექტრონული რეესტრი;
- აქციზური მარკის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით ნიშანდებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევის ელექტრონული ოქმი;
- ზოგადი დეკლარირებისას დოკუმენტის წარუდგენლობით გამოწვეული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადამხდელისთვის გადასაცემი შეტყობინების ელექტრონული ფორმა.



მეაპოთა კვალიფიკაციის ამაღლება


2018 წელს სხვადასხვა დონორი, საერთაშორისო და პარტნიორი ორგანიზაციებისა და უწყებების, ასევე, უშუალოდ საბაჟო დეპარტამენტის ორგანიზებით, გაიმართა 97 სწავლება/ტრენინგი, რომელთა შედეგად საბაჟო დეპარტამენტის 1500- მდე თანამშრომელი გადამზადდა.

სწავლების თემატიკა ეხებოდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- თანამედროვე სასაზღვრო კონტროლის პროცედურები;
- სატრანსპორტო საშუალების შემოწმების ტექნიკები;
- ორმაგი დანიშნულების და სტრატეგიული ტვირთები;
- იარაღი;

- მასობრივი განადგურების იარაღი;
- ნარკოტიკები;
- ტრეფიკინგი;
- კულტურული მემკვიდრეობა;
- საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული კონტროლის მიმართულებით ორმხრივი ტრენინგებისა და ტრენერების ტრენინგის შედეგად გადამზადებული თანამშრომლების (სანიტარი, ფიტოსანიტარი, ვეტერინარი) რაოდენობა:



საბაჟო დეპარტამენტის ორგანიზებით გაბარებული ტრენინგები:

- ბარგის, ხელბარგისა და სხეულის რენტგენის სკანერების რადიაციულ-ტექნიკური უსაფრთხოება;
- პრობლემური საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდების და ინტერპრეტაციის ძირითადი წესების მიმოხილვა;
- არასატარიფო კონტროლის პროცედურები.

ეფექტური არასატარიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას არასატარიფო კონტროლის სხვადასხვა მიმართულებით, მათი პროფესიული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. პროექტის, „ეფექტური არასატარიფო კონტროლი“ ფარგლებში 300-მდე მებაჟე-ოფიცერი გადამზადდა.

30 მებაჟე-ოფიცერი **ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასქვიანი საიუველირო ნაწარმის ექსპერტად** გადამზადდა.

ასევე, 170-მდე მებაჟე-ოფიცერმა **პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი** გაიარა.

საზღვრის კვითასთან დაკავშირებული ცოდნის დონის ამაღლება


გადამხდელთა ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისების, ინფორმირებულობის და შემცენების დონის ამაღლების მიზნით:

- გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებთან;
- საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებში;

- საბაჟო დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგანმანათლებლო პროექტში „ჩვენ ვიხდით გადასახადებს და ვქმნით უსაფრთხო მომავალს“. პროექტის ფარგლებში, სტუდენტები საბაჟო პროცედურებს უშუალოდ საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში გაეცნენ.


სტატისტიკური მონაცემები

გაფორმებული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა



სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების საერთო რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 7%-ით. სულ გაფორმდა 297,759 სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის, 219,581 - იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, ხოლო 49,433 - ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში.


წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციების რაოდენობა



იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში წინასწარ დაბეჭდა დეკლარაციების 33,17 %.


წინასწარი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა 2018 წელს 32%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება (ლარი)




2018 წლის 12 თვის მდგომარეობით, **36,805,953,969 ლარის ღირებულების საქონელი** გაფორმდა 2017 წელს 33,327,920,678, ხოლო 2016 წელს - 29,127,209,278 ლარის.

დარიცხული იმპორტის გადასახდელები (ლარი)




დარიცხული იმპორტის გადასახდელების რაოდენობამ შეადგინა 4,865,853,514 ლარი -20%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით.


გამარტივებული საბაჟო დეკლარაციები (მათ შორის, საფოსტო გზავნილები)



წინასწარი გადაწყვეტილებები



სასაქონლო ექსპერტიზები



2018 წელს, 73 - წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ გაიცა, 2 - საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ. 10086 სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარდა.


არასათარიფო კონტროლი

წარმოშობის სერტიფიკატები

შემოსავლების სამსახურში წარმოშობის სერტიფიკატების გაცემისთვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, როგორც მატერიალური სახით, ასევე, ელექტრონულად. ამასთან, შემოსავლების სამსახური წარმოშობის სერტიფიკატს უფასოდ გასცემს.

შემოსავლების სამსახურის მიერ, 2018 წელს გაიცა 38,628 წარმოშობის სერტიფიკატი, მათ შორის, 27,435 პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1, 4,641 წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატი EUR.1, მათ შორის, 2,580 - გაცემულია ევროკავშირის ქვეყნებში საქონლის ექსპორტის შემთხვევაში, 890 - საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაცემულია ჩინეთთან შეთანხმების ფარგლებში.

წარმოშობის სერტიფიკატები



ორგანიზაციების პროდუქციის ნაბარტვები



- გაიცა ორმაგი დანიშნულების პროდუქციის 214 ნებართვა;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში დარეგისტრირდა 201 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი;
- გაიცა არაიოდიზებული მარილის იმპორტის 198 ნებართვა;
- გაიცა საბაჟო სანჯობის საქმიანობის 15 ნებართვა;
- გაიცა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის 2 ნებართვა;
- საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა ASYCUDA-ში განხორციელდა 153 პირის თავდაპირველი დაშვება;
- უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსი 3 გადამხდელს მიენიჭა.

არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა

იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, საქართველოში საკვები დანიშნულებით დასაშვებია მხოლოდ იოდიზებული მარილის იმპორტი, ხოლო არაიოდიზებული მარილის იმპორტი ხორციელდება შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.



ინტელექტუალური საკუთრება


ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს და შემოსავლების სამსახურს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ამ უფლებების დაცვაში. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა უზრუნველყოფს, როგორც მომხმარებლის დაცვას კონტრაფაქციული და უფლების დარღვევით წარმოებული საქონლისაგან, ასევე, უფლებების მფლობელების უფლების დაცვას. 2018 წელს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში 201 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი დარეგისტრირდა.

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელების კუთხით


ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის დროს, ლაბორატორიული კვლევის მიზნით, აღებულ იქნა 2340 ნიმუში. ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის დროს დარღვევები გამოვლენილია 76 სასაქონლო პარტიაში.

ფიტოსანიტარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის კუთხით, საკარანტინო მავნე ორგანიზმებზე კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გაიგზავნა 2478 ნიმუში, ფიტოსანიტარიული კონტროლის დროს დარღვევები გამოვლინდა 79 სასაქონლო პარტიაში, ცოცხალი გენმოდირიცრებული ორგანიზმების კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გაგზავნილ იქნა 2556 ნიმუში, ცოცხალი გენმოდირიცრებული ორგანიზმების არსებობა დადასტურდა 1 სასაქონლო პარტიაში, სურსათის/ცხოველთა


საკვების გენმოდირიცირებული კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გადაიგზავნა 846 ნიმუში, გენმოდირიცირებული კომპონენტების შემცველობა დადასტურდა 38 სასაქონლო პარტიაში.



არაცხოველური წარმოშობის სურსათში მძიმე მეტალების ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარა 234 ნიმუში, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიულ კვლევას -177 ნიმუში.



სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ნაბართვები და სერტიფიკატები



საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელი ცვლილების პროექტები

სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს მიერ, 2018 წელს, მომზადდა საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელი 125 ცვლილების პროექტი, აქედან ძალაში შევიდა 60.

საბაჟო რისკების მართვის კუთხით

რისკის პროფილებითა და მონაცემთა ბაზების დამუშავების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევები:

- საბაჟო დეკლარაციებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები:
 - რისკის პროფილებით შერჩეულ დეკლარაციებზე გაბრდილი ღირებულება - 49,140,906 ლარი;
 - რისკის პროფილებით შერჩეულ დეკლარაციებზე წინასწარ გადახდილი იმპორტის გადასახდელები - 111,270,168 ლარი;
 - ASYCUDA-ს სისტემით საბაჟო რისკის პროფილებით შერჩეული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების გაფორმებისას გამოვლენილ სამართალდარღვევათა რაოდენობა -752;
 - ASYCUDA-ს სისტემით საბაჟო რისკის პროფილებით შერჩეული სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების გაფორმებისას გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან მიღებული შემოსულობების რაოდენობა- 1,040,315 ლარი.

- საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები:
 - ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები - 74 ფაქტი;
 - ძვირფასეულობა - 30 ფაქტი;
 - სიგარეტი -83 ფაქტი;
 - იარაღი -2 ფაქტი.
- გადამონშემის შედეგად გამოვლენილი სხვაობები - 861,490 ლარი.

„ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მიენიჭა 29 გადამხდელს.

კინოლოგიური მომსახურების კუთხით

კინოლოგ-ოფიცრების მიერ სამსახურებრივი ძალებით აღმოჩენილი სამართალდარღვევების რაოდენობა - 35.

საუთნლის გაშვების შედეგით შემოწმების კუთხით

- ლურჯ დერეფანში შესამოწმებლად მოხვედრილია 2118 დეკლარაცია, ამათგან:
 - შემოწმება დასრულებულია 1178 დეკლარაციაზე;
 - ამჟამად შემოწმება მიმდინარეობს 550 დეკლარაციაზე.
- დასრულდა 1375 დეკლარაციის შემოწმება, რომლებიც 2018 წლამდე შეირჩა ლურჯ დერეფანში შესამოწმებლად.
- ბრძანებით დაინიშნა 135 კამერალური/გასვლითი შემოწმება, აქედან:
 - 114 კამერალური/გასვლითი შემოწმება დასრულებულია;
 - 5 კამერალური/გასვლითი შემოწმება მიმდინარეობს;
 - 16 კამერალური/გასვლითი შემოწმება შეჩერებულია.
- დასრულდა 2018 წლამდე ბრძანებით დანიშნული 16 კამერალური/გასვლითი შემოწმება.
- შედგენილია 136 აქტი, რომელთაგან 94 აქტი შედგენილია გაფორმების ორგანოში ჩასწორების მიზნით. აქტებით დარიცხული თანხა შეადგენს 373,037 ლარს, ხოლო შუალედური აქტით დარიცხული თანხა - 617,808 ლარს.

სამართალდარღვევები

2018 წელს, საბაჟო დეპარტამენტის მიერ, გამოვლინდა - 20790 სამართალდარღვევის ფაქტი, 13504 საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა **16,824,188** ლარი, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 6778 ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ **1,454,518** ლარი შეადგინა.

სამართალ-
დარღვევები

სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია **48%-ით**.

საზღვრის
კვეთა


საზღვრის კვეთების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია **5%-ით**.

სატრანსპორტო საშუალებების დასკანერების შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის 428 ფაქტი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა თანხამ - 279,434 ლარი შეადინა.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები


2016 წელი

- საგადასახადო სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემული




2017 წელი

- საგადასახადო სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემული




2018 წელი

- საგადასახადო სამართალდარღვევა
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა
- საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემული



მათ შორის, ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში ნაჩვენებია სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, იარაღის, ძვირფასი ლითონების და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა.

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გამოვლენილი სამართალდარღვევები (ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, ძვირფასი ლითონები და ქვები, იარაღი, სიგარეტი)



2018 წელს გამოვლენილი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევები

2018 წლის განმავლობაში, საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე-ოფიცრების მიერ, არაერთი მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა დაფიქსირდა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“:

- 21 იანვარს, მებაჟე-ოფიცრმა, წინასწარი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, განახორციელა მგზავრის დათვალიერება, რომელსაც ბარგში 1.9 კგ ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი აღმოაჩნდა;
- 28 მარტს, მებაჟე-ოფიცრებმა, წინასწარი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, მგზავრის დათვალიერებისას, 1 კგ ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩინეს;

- 15 ოქტომბერს, მებაჟე-ოფიცრებმა, წინასწარი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, **განახორციელეს მგზავრის დათვალიერება, ჯამში 2 კგ ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩინეს;**
- ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, **მგზავრების დათვალიერების შედეგად, ჯამში 2 კგ-მდე ჰეროინი აღმოაჩინეს;**
- 30 ნოემბერს, მებაჟე-ოფიცრებმა, წინასწარი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე განახორციელეს მგზავრის დათვალიერება, რომელსაც ბარგში, **სპეციალურად მოწყობილ სამალავში, 3,1 კგ ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩინდა.**

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ნინოწმინდა“

- 28 მაისს, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები წონით 2,3 კგ და ვერცხლის ჯართი - 47,7 კგ აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ვალე“

- 30 ივნისს, მებაჟე-ოფიცრებმა, სომხეთის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის სპეციალურად მოწყობილ სამალავში, აღმოაჩინეს 10 კგ ოქროს საიუველირო ნაკეთობები, რომლის საბაჟო ღირებულებამ 565,000 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“

- 1 ივნისს, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შედეგად, აღმოაჩინა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები საერთო წონით 963,47 გრ, რომლის საბაჟო ღირებულებამ 60,309,03 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

- 4 ოქტომბერს, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ირანის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 2 კგ ნარკოტიკული ნივთიერება ჰაშიში აღმოაჩინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“

- 30 აპრილს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, საქართველოს მოქალაქის ფიზიკური დათვალიერებისას, აღმოჩენილ იქნა 300 აბი ფსიქოტროპული ნივთიერება ფსევდოეფედრინი;
- 29 ივნისს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, ეჭვის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შედეგად, აღმოჩენილ იქნა 450 000 კაფსულა პარაფერინი კოდეინ-ფოსფატის შემცველობით;
- 4 სექტემბერს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, ეჭვის საფუძველზე, მგზავრის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერებისას, ამოღებულ იქნა 21 495 ამპულა ტრამადოლი;
- 7 ნოემბერს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, ეჭვის საფუძველზე, ავტომობილის დათვალიერებისას, ამოღებულ იქნა 21 ტონა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ყაყაჩოს თესლი;
- 23 ნოემბერს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ამოღებულ იქნა 366 აბი ექსტაზი.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“

- 17 აპრილს, მებაჟე-ოფიცრის მიერ, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის კუთვნილი ავტომობილის დათვალიერების შედეგად, აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული თანხა 230,000 აშშ დოლარის ოდენობით (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 555,956 ლარი);
- 13 სექტემბერს, წინასწარ დამუშავებული ინფორმაციის და რისკის ანალიზის შედეგად, მებაჟე-ოფიცრების მიერ, განხორციელდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რეგისტრირებული სატვირთო ავტომობილის დათვალიერება და, ნაცვლად დეკლარირებული ჰიგიენური ხელსახოცებისა, აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული, აქციზურ ნიშანდებას დაქვემდებარებული, 876,990 კოლოფი სიგარეტი „CAVALLO“.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“

- 11 აპრილს, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის მოქალაქის კუთვნილი სამგზავრო ავტობუსის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული 2 ცალი ოქროს ზოდი (საერთო წონით 2,6 კგ.) და ოქროს საიუველირო ნაკეთობები ბრილიანტის თვლებით (საერთო წონა 211,04 გრ.) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 319,545,28 ლარი შეადგინა.


საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.


- 30 სექტემბერს, მებაჟე-ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის კუთვნილი სამგზავრო ავტობუსის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული 16,101,000 რუსული რუბლი აღმოაჩინეს (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში 639,885, 94 ლარი).

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში არსებული უწყებათაშორისი დანაყოფების თანამშრომლების მიერ, მოპოვებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავების, რისკის იდენტიფიცირების და რეაგირების შედეგად, არაერთი სამართალდარღვევა იქნა გამოვლენილი ან/და აღკვეთილი, უმეტესად ნარკოტიკული ნივთიერებების და, ასევე, არადეკლარირებული საქონლის შემოტანა/გატანასთან დაკავშირებით, მათ შორის, აღსანიშნავია:

2018 წელი		
ძმარმუჯავა ანჰიდრიდი		15 000 კგ
ოპიუმი		5 კგ
ჰაშიში		10 კგ
ჰეროინი		1.5 კგ
კოკაინი		4 კგ
სუბოქსინი		1 400 აბი
სხვა	ფსიქოტროპული ნივთიერება (LSD)	3 400 ცალი
	ფსიქოტროპული აბი	8 200 აბი
	მარიხუანა	250 გრამი
	ამფეტამინი	200 გრამი
	ბიო (სინთეზური პრეპარატი)	120 გრამი
	ფენტანილი	35 გრამი
	მეტადონი	18 გრამი





მომსახურების
დეპარტამენტი





გიორგი ბუბუთიშვილი

მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

ძვირფასო მეგობრებო,

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ მომსახურების დეპარტამენტის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ჩვენი დეპარტამენტის მიზანია, უზრუნველვყოთ მართივი, სწრაფი, სანდო და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული მომსახურების მიწოდება, რათა მომხმარებელმა დახარჯოს ნაკლები დრო და ენერგია საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად.

2018 წელს მომსახურების არხების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, ასევე, საგადასახადო კულტურის დანერგვისა და ცნობადობის ამაღლების კუთხით არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

2018 წელს მომსახურების დეპარტამენტი ორიენტირებული იყო, რომ შეთავაზებული სერვისები, ყველა ღონის მომხმარებელისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

მომსახურების დეპარტამენტის მიერ, გაწეული პროფესიონალური მომსახურება და კონსულტირება თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაციის შედეგია. მოხარული ვარ, რომ წარმოვადგენ იმ გუნდს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობების არეალის გაძლიერება.

ასევე, ხაზგასასმელია მომხმარებლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა და კოორდინაცია, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა მომსახურების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესრულება.

საგადასახადო სივრცის ხელმისაწვდომობის და ცნობადობის ამაღლების მიზნით, 2018 წელს არაერთ პროექტს ჩაეყარა საფუძველი.

ჩვენ, ყველას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა გვაერთიანებს და ამ სულისკვეთებით ვაგრძელებთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. მჯერა 2019 წელი უფრო მეტი წარმატებისა და სასიკეთო შედეგების მიღწევის წელი იქნება.

- ❖ 2018 წელს, მომსახურების სერვისცენტრებში ვიზიტორთა რაოდენობამ 662,857 შეადგინა;
- ❖ 2018 წელს, მომსახურების სერვისცენტრების მიერ მიღებულ იქნა 277,373 ელექტრონული განაცხადი, ხოლო 146,278 დამუშავდა;
- ❖ 2018 წელს, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრში მიღებულია 315,400 ზარი, როგორც საგადასახადო, ისე, საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე, პროცედურებზე, შემოსავლების სამსახურში მიმდინარე აქტივობებზე;
- ❖ საგადასახადო ვებპორტალის მომხმარებლად გადამხდელის დისტანციურად რეგისტრაციის მიზნით, ვიდეოაქტივაციის, პაროლის შეცვლის/აღდგენის 2202 პროცედურა განხორციელდა;
- ❖ გადამხდელებს, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრში დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, გადაეგზავნათ 455 ნორმატიული აქტი/ამონარიდი ნორმატიული აქტიდან;
- ❖ 2018 წელს, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის სტრუქტურული ცვლილება და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაფართოება განხორციელდა, დაიგეგმა ახალი საკომუნიკაციო არხების - ჩათის, sms-სერვისის და სხვა დისტანციური სერვისების დანერგვა;
- ❖ მოძრავი სერვისცენტრის - RS CAR-ის საშუალებით გადასახადის გადამხდელებს აქვთ შესაძლებლობა, მათთვის მოსახერხებელ ადგილას, დასახლებული პუნქტიდან გაუსვლელად, დროულად მიიღონ სხვადასხვა სახის სერვისი. აღნიშნული სერვისით მომსახურების მიწოდება ყოველთვიურად 30-39 დისლოკაციაზე ხორციელდება, იქ, სადაც არ არის შემოსავლების სამსახურის მომსახურების სერვისცენტრები და წარმომადგენლობები, მათ შორის, მაღალმთიან რაიონებში. 2018 წელს RS CAR-ი 9094 მეწარმე სუბიექტს მოემსახურა;
- ❖ 2018 წელს (ივლისის, აგვისტოს, სექტემბერისა და ოქტომბრის თვეებში), მომსახურების დეპარტამენტის ინიციატივით, საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში „ღია კარის დღის“ ფორმატში 36 შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელთა ინფორმირება საგადასახადო კანონმდებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე და საგადასახადო კოდექსის ცვლილებებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მცირე მეწარმის სტატუსთან დაკავშირებულ ცვლილებებზე. განიხილა ყველა ის საკითხი, რომელიც აღნიშნულ ცვლილებას უკავშირდება. საუბარი შეეხო, ასევე, საგადასახადო კანონმდებლობაში შესულ სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს. აღნიშნულ შეხვედრას დაახლოებით 1650-მდე მსმენელი ესწრებოდა;
- ❖ 2018 წლის 20 თებერვალს, პროექტის - „გადავიხადოთ გადასახადი უკეთესი მომავლისათვის“ ფარგლებში საჯარო სკოლებში შეხვედრები დაიწყო. ამ დროისათვის სულ 51 შეხვედრა თბილისის 42 საჯარო სკოლაში ჩატარდა. პირველი ეტაპი 24 აპრილს დასრულდა. ტრენინგებს დაახლოებით 1400 მოსწავლე დაესწრო;
- ❖ 2018 წლის დეკემბერში, USAID-ის პროექტის ფარგლებში საქართველოს ბიზნესომბუდსმენი და მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში მცირე და საშუალო მეწარმეებს, მათთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობის მიზნით შეხვედრებს. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაიმართა;

- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში 4 ადმინისტრაციულ ერთეულში საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პრეზენტაცია ჩატარდა;
- ❖ 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, www.rs.ge-ზე „ხშირად დასმული შეკითხვების“ გვერდი განახლდა;
- ❖ 2018 წელს, საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით კონსულტაციის განვლის მიზნით, ელექტრონულ ფოსტაზე (www.info@s.ge) შემოსული და განხილულ იქნა 12773 წერილი, ხოლო მატერიალური ფორმით - 2395;
- ❖ 2018 წელს, მომსახურე ბანკის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის (tax free) ბანკისთვის დაბრუნება განხორციელდა, თანხით 19,974,122.57 ლარი;
- ❖ 2018 წელს, არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსულობის) სახით ბარათებზე არსებული ზედმეტობების სხვა გადასახადების ანგარიშზე გადატანის/დაბრუნების მიზნით, ან სხვა შემოსულობების სახეში გადატანის ან/და ბიუჯეტის კოდის არასწორი სიმბოლოებით ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართვის შემთხვევაში შეცდომის გასწორების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაცია 18 გადამხდელზე მომზადდა, თანხით 1,974,969 ლარი;
- ❖ 2018 წელს, გადამხდელის საბაჟო კუთხით ინფორმაციის შედარება, ასევე, დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგის მონაცემების შეტანა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში 2002 გადამხდელზე განხორციელდა;
- ❖ 2018 წელს, გადახდისუუნარობის/რესტრუქტურირების რეჟიმში მომუშავე გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის წარმოების შესახებ 423 ინფორმაცია მომზადდა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მიენოდა;
- ❖ 2018 წელს, 369 საჯარო ინფორმაცია გაიცა;
- ❖ 2018 წელს, 3,935 ინფორმაცია განხორციელებულ სასაქონლო ოპერაციებზე მომზადდა;
- ❖ 2018 წელს, ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ 70,000-მდე პირის მონაცემი დამუშავდა;
- ❖ 2018 წელს, 1,935 საბაჟო-საგადასახადო რეპორტი და ანალიტიკური ცხრილები მომზადდა;
- ❖ 2018 წელს, 11855 გადამხდელს სსკ-ს 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის შესაბამისად, ჩამოენერა დავალიანება, თანხით 549,846,658 ლარი, ხოლო სსკ 309-ე მუხლის 45-ე ნაწილის საფუძველზე განხორციელებულია 22 ადმინისტრაციული წარმოება;
- ❖ 2018 წელს, დეკლარაციების და გაანგარიშებების დაგვიანებით წარდგენისა და ინფორმაციის წარუდგენლობისათვის შემოწმებულია 59,375 პირი, რის შედეგადაც შედგენილია 13,268 ოქმი და ბრძანება სანქციის დარიცხვის თაობაზე, თანხით 3,876,871 ლარი;
- ❖ დღგ-ს რეგისტრაციის დაგვიანების გამო, 2018 წელს შესწავლილია 878 გადამხდელი, რის თაობაზეც გამოწერილია 597 ოქმი/ბრძანება სანქციის დარიცხვის თაობაზე, თანხით 1,454,158 ლარი;

- ❖ 2018 წელს, გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახულია 935 შეწყვეტა/ლიკვიდაციის დეკლარაცია, ხოლო 25656 დაგვიანებული/დაზუსტებული დეკლარაცია;
- ❖ 2018 წელს, მეწარმე სუბიექტებთან 7,139 სხვადასხვა სახის საგადასახადო ვალდებულების შეხსენებითი შეტყობინებაა გაგზავნილი;
- ❖ საჯაროდ გამოქვეყნებულია 17,764 საგადასახადო მოთხოვნა;
- ❖ გრანტით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე და დღგ-ის ჩათვლის, ან დაბრუნების მოთხოვნის მიზნით, 2018 წელს შესწავლილია 958 წერილი და ერთიან ელექტრონულ ბაზაში ასახულია 37,928 ანგარიშჟაქტურა;
- ❖ 2018 წლის განმავლობაში, მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიცერთა მიერ საგადასახადო დარღვევების პრევენციის მიზნით, შედგა 21608 საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტი. აღნიშნული აქტით გადამხდელს საგადასახადო სამართალდარღვევის გამოსწორებისათვის ეძლევა ვადა, 2 სამუშაო დღე, ამ ვადის მოქმედების პერიოდში, აღნიშნული დარღვევისათვის გადასახადის გადამხდელი არ ჯარიმდება. გაფრთხილებული ობიექტებიდან, სამართალდარღვევის გამოსწორების გადამონშების შედეგად, შედგა 158 სამართალდარღვევის ოქმი თანხით, 16,900 ლარი;
- ❖ 2018 წელს, ახლად დარეგისტრირებულ 32,664 ორგანიზაციას, მათი საქმიანობის საწყის ეტაპზე, უბნის ოფიცერთა სამმართველოს ოფიცრების მიერ ადგილზე გასვლით, ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაცია გაენია;
- ❖ 2018 წლის განმავლობაში, 11,733 გადამხდელთან განხორციელდა ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება (ადგილზე გასვლით - 4469, ავტომატურად - 7264), რითაც გადამხდელს საშუალება მიეცა, ბალანსიდან ჩამოწეროს უვარგისი, გაფუჭებული საქონელი და თავიდან აირიდონ ამ საქონლის დაბეგვრით გამოწვეული ზედმეტი საგადასახადო ტვირთი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა. აგრეთვე, 2018 წელს, 557 საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის შესახებ განცხადების უზრუნველყოფა განხორციელდა;
- ❖ 2018 წლის განმავლობაში, 2535 გადასახადის გადამხდელს ადგილზე ჩაბარდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი და შესაბამისი კონსულტაცია გაენია;
- ❖ 2018 წლის განმავლობაში, 82,615 გადასახადის გადამხდელის ობიექტში განთავსდა შესაბამისი უბნის ოფიცრის და სექტორის უფროსის რეკვიზიტები, რაც გადასახადის გადამხდელს ეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, დროულად დაუკავშირდეს და მიიღოს დახმარება უბნის საგადასახადო ოფიცრისაგან;
- ❖ 2018 წელს, 197,987 გადასახადის გადამხდელის ობიექტის აღწერა/პასპორტიზაცია (მონაცემების შეგროვება) განხორციელდა;
- ❖ 2018 წელს, დაუძლეველი ძალის (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი) შედეგად დაზარალებულ 121 გადასახადის გადამხდელს ბალანსიდან სრულად ჩამოეწერა განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ღირებულებით 10,587,561.77 ლარი. აღნიშნული პროცესი დაზარალებული პირების დახმარების კუთხით გრძელდება;

- ❖ აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის მიზნით, 2018 წელს, სულ 259 ნებართვა მოქმედებდა, მათ შორის, 2018 წელს 109 ნებართვა გაიცა, ხოლო ნებართვის მფლობელის მოთხოვნით, 43 ნებართვა გაუქმდა;
- ❖ 2018 წელს, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დადასტურების მიზნით, განიხილა 126 განცხადება, ხოლო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნის მოთხოვნით, წარმოდგენილი და განხილული იყო 593 განცხადება, საიდანაც, მოსაკრებლის სახით, ბიუჯეტში 127,397,519 ლარი შევიდა;
- ❖ 2018 წელს, სანებართვო მოსაკრებლის სახით, ბიუჯეტში, გადახდილია 64,285,000 ლარი;
- ❖ მოწყობის პირობებში ცვლილების განხორციელების/წამახალისებელი გათამაშების ახალი ეტაპის მოწყობის შესახებ წარმოდგენილი და განხილული იყო 1249 განცხადება;
- ❖ წამახალისებელი გათამაშების შედეგების შესახებ ნებართვის მფლობელების მიერ წარმოდგენილი - 2550 ოქმი განიხილა;
- ❖ ლატარიის შედეგების შესახებ 154 ოქმი განიხილა;
- ❖ 2018 წელს, სანებართვო პირობების შემოწმება 336 ნებართვის მფლობელის მიმართ განხორციელდა, ჯარიმის ოდენობამ - 529,000 ლარი შეადგინა;
- ❖ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნის გარეშე ფუნქციონირების გამო, 5 სამართალდარღვევის ოქმი შედგა, დაკისრებული ჯარიმის ოდენობამ 2,221,700 ლარი შეადგინა;
- ❖ 2018 წელს, დაბეგვრის სპეციალური (შელავათიანი) რეჟიმებით სარგებლობის მიზნით, მენარმე სუბიექტებზე ცალკეული სტატუსების მინიჭება განხორციელდა:
 - ◆ მიკრობიზნესის სტატუსი - 4779 გადამხდელი;
 - ◆ მცირე ბიზნესის სტატუსი - 15665 გადამხდელი;
 - ◆ ფიქსირებულის სტატუსი - 2722 გადამხდელი;
 - ◆ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი - 65 გადამხდელი.
- ❖ 2018 წელს, TAX FREE გამოყენების უფლება მიენიჭა 248 პირს 796 სავაჭრო ობიექტზე;
- ❖ 2018 წელს, საკონტროლო-სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში 5 მოდელის აპარატი შეიტანეს;
- ❖ 2018 წელს, რეგისტრირებულია 48,279 საკონტროლო-სალარო აპარატი;
- ❖ 2018 წელს, სსკ-ის 288-ე მუხლით (მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გადამხდელთა მიერ საქმიანობის წესის დარღვევა), 67 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგა;
- ❖ 2018 წელს, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებისგან გათავისუფლების მიზნით, 116 გადასახადის გადამხდელის საიმპორტო საქონელს ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი მიენიჭა, ხოლო 383 გადასახადის გადამხდელის საიმპორტო საქონელს - გრანტის სტატუსი;

- ❖ 2018 წელს, 13 ორგანიზაციას საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა;
- ❖ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნით, შესაბამის რეესტრში შეტანილ იქნა 2500 პროექტის განმახორციელებელის ინფორმაცია;
- ❖ განხორციელდა ელექტრონული განაცხადის 19 ახალი ფორმის შემუშავება;
- ❖ შემუშავდა პროგრამული ლოგიკა, რომლის საშუალებითაც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებთან ავტომატურად ხორციელდება პრევენციული/გამაფრთხილებელი შეტყობინებების გაგზავნა სტატუსის იძულებითი წესით გაუქმების და სსკ-ის 288-ე მუხლით დაჯარიმების თავიდან აცილებისთვის;
- ❖ განიხილა და დადასტურდა 1731 განაცხადი აქციზური და არააქციზური მარკების მოთხოვნაზე; შესაბამისად, განხორციელდა 1,119,750,880 ცალი მარკის გაცემის/ნიშანდების ორგანიზება;
- ❖ 124 მოთხოვნის შესაბამისად, ჩატარდა დროებითი ექსპორტის რეჟიმში გასაშვები აქციზური მარკების ნიშანდება/დალუქვა და მწარმოებელთან გადაგზავნის ორგანიზება;
- ❖ დაკმაყოფილდა გამოუყენებელი აქციზური/არააქციზური მარკების დაბრუნებაზე შემოსული 48 განაცხადება; ორგანიზება გაეწია აქციზური და არააქციზური საქონლის აღრიცხვის საინფორმაციო ბაზაში 702 ცვლილება/დამატებასა და ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას;
- ❖ 2018 წელს, მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ 34 ფიზიკურ პირს საქართველოს რეზიდენტობა მიენიჭა;
- ❖ 2018 წელს, საქართველოს მთავრობასა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შორის, შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, 2001 ცნობა გაიცა;
- ❖ 2018 წელს, პირადი საგადასახადო მრჩეველის სერვისით 300-მდე გადასახადის გადამხდელი სარგებლობდა, რომლებიც მათთვის სასურველ (მათ შორის, არასამუშაო) დროსა და ადგილზე, ასევე, დისტანციურად (ტელეფონით, ვიდეოთვალით, ელ.ფოსტით) იღებენდნენ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასა და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულ მომსახურებას;
- ❖ PRIVE-სერვისით მოსარგებლეებზე გაცემულია 27,290 სარეკომენდაციო ხასიათის განმარტება (წერილობითი მატერიალური/ელექტრონული, სატელეფონო), 1469 სხვადასხვა სახის ცნობა და ინფორმაცია;
- ❖ PRIVE-სერვისით მოსარგებლეებთან საკანონმდებლო ცვლილებების, სიახლეების, აგრეთვე, კომპანიებში მიმდინარე საგადასახადო და საბაჟო საკითხების განხილვის მიზნით 130 შეხვედრა გაიმართა.




საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური

კალენდარი

კვირა	საბედრო	მშენებლობა	საგარეო ურთიერთობების სამსახური	საგარეო ურთიერთობების სამსახური	საგარეო ურთიერთობების სამსახური
1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30
31					





რეფორმებისა
და დაგეგმვის
დეპარტამენტი





ციცი დალაქიშვილი

რეფორმებისა და დაგეგმვის
დეპარტამენტის უფროსი

მოგესალმებით,

ნება მომეცით, შევაჯამო რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის ერთი წლის საქმიანობა.

დეპარტამენტი, აღნიშნული ორი მიმართულების მხარდასაჭერად, 2017 წლის ბოლოს შექმნა.

- 2017 წელს შემოსავლების სამსახური შეფასდა საგადასახადო ადმინისტრირების სადო-აგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის (TADAT) გამოყენებით. მასში ასახული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ, შემუშავებულ იქნა სამწლიანი ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესებას, ინსტიტუციურ გაძლიერებას და ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ზრდას შეუწყობს ხელს.
- ასევე, 2017 წელს შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა ოთხწლიანი (2017-2020) სტრატეგია. რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტი სწორედ აღნიშნულ სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევაზე, მის კოორდინაციაზე, დაგეგმვაზე და განხორციელების მონიტორინგზეა პასუხისმგებელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა ასახვა ჰპოვა სამსახურის სტრატეგიაში, ლოგიკურად დაჯგუფდა ამოცანები, განსახორციელებელი პროექტები და სწორედ მათი კოორდინაციაა რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტის პასუხისმგებლობა.

„ფისკალური რეფორმების განხორციელების კუთხით საქართველოს ძლიერი ისტორია გააჩნია. მისი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მაჩვენებელი 2011 წლიდან სტაბილურია და წილობრივად მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ს ან მეტს შეადგენს,“ - საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის 2018 წლის ანგარიში.


სწორედ აღნიშნულია პოზოტიური დინამიკის შენარჩუნება, მეორეს მხრივ, გაცხადებული სტრატეგიული მიზნების ამოცანებად და პროექტებად გარდაქმნა, მათი შემდგომი კოორდინაცია და წარმატებით განხორციელება, არის უმთავრესი საზომი დეპარტამენტის წარმატების განსასაზღვრად.

რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტი 2017 წლის ბოლოს შეიქმნა, რა დროსაც შემოსავლების სამსახური მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა. დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთო სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) წინაშე აღებული ვალდებულებების განხორციელების პროცესში. 2018 წელს დეპარტამენტმა კოორდინაცია გაუწია სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის პროცესს, მონაწილეობა მიიღო სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების დაგეგმვასა და მართვაში, ასევე განახორციელა სამოქმედო და საოპერაციო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი და მმართველ საბჭოს პერიოდული ანგარიშები წარუდგინა.

რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტის ინიციატივით, 2018 წლის იანვარში შეიქმნა, შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა. ინიციატივის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლებშიც, დეპარტამენტების მიერ, განხილულ იქნა ყველა ის აქტივობა, რომლებიც ხელს შეუწყობდა სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სამოქმედო გეგმის თითოეულ ღონისძიებაზე განისაზღვრა პასუხისმგებელი და ჩართული დეპარტამენტები, ვადები და შესრულების ინდიკატორები. სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების მონიტორინგი რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტმა განახორციელა.

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციული მოწყობის ახალ, ფუნქციონალურ მოდელზე გადასვლას, დეპარტამენტმა სათაო ოფისის დეპარტამენტებთან ერთად, უზრუნველყო სათაო და საოპერაციო დეპარტამენტების და მათი ფუნქციების გამიჯვნა. მიმდინარე წლის მაისში, ახალი ფუნქციური მოდელის გაცნობის მიზნით, დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია სემინარს, რომელსაც ესწრებოდა უწყების ხელმძღვანელები რგოლი და ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. სემინარზე დეტალურად განიხილეს სათაო ოფისის და საოპერაციო დეპარტამენტების ფუნქციები, ასევე, მათ შორის, საქმიანობის განაწილების საკითხი.

დეპარტამენტის გუნდი აქტიურად არის ჩართული სტრატეგიული პროექტების მართვის ყველა ეტაპზე, რომლებიც მოიცავს პროექტის დაგეგმვას, განხორციელებას და მონიტორინგს. დეპარტამენტის ჩართულობით, 2018 წლის განმავლობაში დასრულებული და მიმდინარე სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტები წარმოდგენილია დიაგრამის სახით:



2018 წელს, რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაღალი რგოლის წარმომადგენლებთან და მოკლევადიან ექსპერტებთან გამართულ შეხვედრებში. მისიებს მიაწოდა ინფორმაცია, როგორც დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ასევე იმ პერიოდისთვის სამსახურის მიერ მიღწეული შედეგების და სამომავლო ნაბიჯების შესახებ.

დეპარტამენტმა, პროექტის მართვის ტრენინგი დაგეგმა ყველა იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამსახურში მიმდინარე პროექტების განხორციელებაში. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ პროექტული მუშაობის კონცეფციასა და მუშაობის მეთოდოლოგიას, პროექტის დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის მეთოდებს, ასევე, პროექტის ეფექტური მონიტორინგის და შეფასების სისტემას.


რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, ორგანიზებას უწევს სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ სემინარს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ შემოსავლების სამსახურის ყველა დეპარტამენტის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები. სემინარი ეტაპობრივად ჩატარდა და 2019 წლის თებერვალში დასრულდა. სემინარის ფარგლებში, მენეჯერები სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე სტანდარტებს და მიდგომებს გაეცნენ, რის შედეგადაც შეიქმნება შემოსავლების სამსახურის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

ოპერაციული დაგეგმვისა და მენეჯერული ინფორმაციის სამმართველო

2018 წლის მაისიდან, ოპერაციული დაგეგმვისა და მენეჯერული ინფორმაციის სამმართველო სრულად დაკომპლექტდა და შეუდგა სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მართვის საინფორმაციო სისტემების (MIS) განვითარება ფოკუსირებულია შესრულების ძირითად ინდიკატორებზე (KPI), როგორც საოპერაციო, ასევე სტრატეგიულ დონეზე.

MIS სამმართველო ყოვეთვიურად ახორციელებს ოპერაციული ინდიკატორების შეგროვებას და ანალიზს. აღნიშნული ინფორმაცია, ანგარიშის სახით ეგზავნება შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას. ოპერაციული ინდიკატორები მოიცავს ხუთ ძირითად საოპერაციო მიმართულებას: აუდიტის, დავების, მომსახურების, ვალის მართვის და საგადასახადო მონიტორინგის პროგრამებს.

საოპერაციო დეპარტამენტების ყველა დონის სტრუქტურულ ერთეულთან შეხვედრებისა და შესაბამისი ბიზნესპროცესების დეტალური შესწავლის შედეგად, შემუშავდა შეფასების კრიტერიუმები საოპერაციო დეპარტამენტებისთვის. საოპერაციო მაჩვენებლებისათვის შეირჩა სამი ტიპის ინდიკატორი: რაოდენობრივი, ხარისხობრივი და დროულობის მაჩვენებლები. ანალიტიკისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტებთან შეთანხმებით, თითოეული ინდიკატორისათვის განისაზღვრა შესრულების ზღვრული მაჩვენებლები. საოპერაციო დეპარტამენტებში, უშუალოდ ხარისხის შემოწმებულ ერთეულებთან, განხილულ იქნა შერჩევისა და ხარისხის კრიტერიუმები. MIS სამმართველო ყოველთვიურად ახორციელებს საოპერაციო გეგმების მონიტორინგს. 2018 წლის შედეგ-



გების ანალიზის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები 2019 წლის საოპერაციო გეგმების შემუშავებლად.


საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს მიენოდა MIS გუნდის მოთხოვნები MIS რეპორტირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რათა ავტომატიზებული გახდეს საოპერაციო დეპარტამენტებიდან ნედლი მასალის მოწოდება. იგეგმება MIS-თვის IT მოდულის შექმნა.

შემოსავლების სამსახურის სტრატეგიული მიზნების მიღწევის გასაზომად, MIS სამმართველომ, შემოსავლების სამსახურის სტრატეგიული მიზნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბა სტრატეგიული ინდიკატორები. აღნიშნული მაჩვენებლები შემუშავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთან, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიისა და ანალიტიკურ დეპარტამენტებთან. სამსახურის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, სტრატეგიული მაჩვენებლები დაიყო სამ ძირითად ჯგუფად: ინსტიტუციონალური ინდიკატორები, კანონ-შესაბამისობის ინდიკატორები და მომსახურების ინდიკატორები.

შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია საოპერაციო და სტრატეგიული KPI-ის შემუშავების მეთოდოლოგია და მათი შეფასების მიზნები.

სტრატეგიული ინდიკატორებიდან ნაწილის გაზომვა უკვე შესაძლებელია, ნაწილის დათვლა დაგეგმილია 2019 წლისთვის, როდესაც მზად იქნება მონაცემთა შესაბამისი ბაზა. ნაწილი ინდიკატორების გასაზომად კი საჭიროა ჩატარდეს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც 2018 წლის ბოლოსთვის იგეგმება.





საერთაშორისო
ურთიერთობათა
დეპარტამენტი





სამსონ შრიდია

საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსი

პატივცემულო თანამოქალაქენო, ჩვენო უცხოელო მეგობრებო, კოლეგებო, ქალბატონებო და ბატონებო

გავიდა კიდევ ერთი წელი მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ჩემი ხელმძღვანელობით, აგრძელებს თქვენს სამსახურში ყოფნას. ამ ხნის განმავლობაში გეგმაზომიერად განხორციელდა სამსახურის წინაშე არსებული საბაჟო, საგადასახადო და სანიტარიული/ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის სფეროში საერთაშორისო პროექტები. აღნიშნული, ასევე, მოიცავს, როგორც ინფრასტრუქტურული და ტექნიკური დახმარების პროექტებს, ასევე სამსახურის საგარეო ურთიერთობების კოორდინირებას.

სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების, გამოწვევების მატებასთან ერთად, ცხადია სულ უფრო შინაარსობრივად დატვირთული და დინამიკური ხდება უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა. აღნიშნული იწვევს, როგორც ხარისხობრივ, ისე, რაოდენობრივ ცვლილებებს. სულ უფრო მეტი უცხოელი კოლეგა ეცნობა სამსახურის საქმიანობას, სულ უფრო ხშირად ისმის შემოსავლების სამსახურის წარმატებული მუშაობის შესახებ ინფორმაცია. უცხოელ კოლეგებთან სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში შეხვედრისას, სამსახურის უფრო მეტ თანამშრომელს ეძლევა საშუალება გაეცნოს საუკეთესო უცხოურ გამოცდილებას. უმჯობესდება სამსახურის საქმიანობის შეფასების საერთაშორისო მაჩვენებლები, რაც შემოსავლების სამსახურის თითოეული თანამშრომლის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვაგრძელებ ჩემს გუნდთან ერთად მუშაობას და მეძლევა საშუალება, სამსახურში გატარებული ყოველი დღის განმავლობაში, მათთან კოორდინაციით ვისწავლო, პრობლემის გამოვლენა და ვაქციო იგი გამოწვევად რათა შემდგომ, ერთობლივად, ერთიანი ძალისხმევით მივაღწიოთ სამსახურისთვის სა-

სურველ მიზანს. ცხადია, რომ თითოეული პროექტის განხორციელება გადაჯაჭვულია და წარმოუდგენელია სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულების სრული ჩართულობის გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება დეპარტამენტებთან მუდმივი, დროული და მოქნილი ურთიერთობა, მმართველობითი რგოლის ყველა დონეზე. ვფიქრობ, რომ მომდევნო წლები განსაკუთრებით საინტერესო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. ახლა, ისე, როგორც არასდროს, ჩვენი ქვეყანა ახლოსაა ევროპული მიზნების მიღწევასთან. შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის გუნდს სრულად აქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რაც ევროპული ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე გვაკისრია. ყოველდღიურად ვმუშაობთ, რათა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში წარმატებით შევასრულოთ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და საბაჟო, საგადასახადო და სანიტარიული/ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო კონტროლის სფეროში ჩვენი სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს დავუახლოოთ.

გასული წელი საინტერესო გამოწვევებით და სიახლეებით იყო დატვირთული. განსაკუთრებით მინდა გამოვყო საგადასახადო სფეროში მიღწეული წარმატება. 2018 წელს საქართველო გახდა საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) სრულფასოვანი წევრი. აღნიშნული წარმატება არის რამდენიმე წლიანი თავდაუზოგავი შრომის, თანმიმდევრული პოლიტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერის შედეგი. საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის წევრობა, ერთი მხრივ, გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო გავზარდოთ სამსახურის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო, მეორე მხრივ, ეს დაკავშირებულია მთელ რიგ ახალ გამოწვევებთან, რომელიც დაუღალავ მუშაობას მოითხოვს. საბაჟო მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა ევროკავშირთან ტრანზიტის სფეროში მოქმედ კონვენციებთან საქართველოს მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული ტრანზიტის სისტემის გაშვების მხარდაჭერის დაძმობილების პროექტის დაწყება, რომელიც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. სანიტარიული/ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის მიმართულებით აღსანიშნავია სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდი“, მშენებლობის დასრულება, რომელიც განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, ასევე, ევროკავშირის დაფინანსებით.

დასასრულს ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ძვირფასო მკითხველო, თქვენი დროის იმ ნაწილისთვის, რომელიც დაუთმეთ ანგარიშის გაცნობას.

საერთაშორისო საბაჟო, სანიტარიული/ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის თანამშრომლობის სამმართველო

საერთაშორისო რეიტინგები

Doing Business

ბიზნესის კეთების კითხვარზე მუშაობისას, კერძო სექტორისა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. ასევე, მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისის ხელშეწყობით, ბიზნესის წარმოების საზღვრებს შორის ვაჭრობის კომპონენტის ექსპერტებთან ვიდეოკონფერენცია გაიმართა. გაუმჯობესებული კომუნიკაციის შედეგად, გასულ წელთან შედარებით, რეიტინგში აღნიშნულ კომპონენტში 19 საფეხურით დაწინაურდა და საქართველომ 62-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე გადაინაცვლა.

2018 წლის დეკემბერში, საერთაშორისო რეიტინგებსა და კვლევებში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებისკენ მიმართული საქმიანობის კოორდინაციისთვის, შემოსავლების სამსახურში მიზნობრივი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რათა სხვადასხვა კვლევებში მონაწილეობისას მოპოვებული ინფორმაცია და დაგროვილი გამოცდილება გაზიარდეს, და საერთაშორისო კვლევებში, უფრო ეფექტურად მოხდეს წარმატებების შესახებ ინფორმაციის დროული ასახვა.

ორმხრივი თანამშრომლობა

თურქეთის რესპუბლიკა



AEO

ქართულ და თურქულ მხარეს შორის გაფორმებული „უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სამოქმედო გეგმის“ პირველი ფაზის შესრულების მიზნით, 2018 წლის 7-8 მაისს, ქ. ანკარაში (თურქეთი), თურქეთის საბაჟო საკითხთა და ვაჭრობის სამინისტრომ შემოსავლების სამსახურის დელეგაციას უმასპინძლა. აღნიშნულ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია. იგი საფუძვლად დაედება საქართველოსა და თურქეთს შორის უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორების ურთიერთალიარების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების პროცესს. აღნიშნული შეთანხმება, ამ სტატუსის მატარებელი ექსპორტიორის მიერ, საქონლის საქართველოდან თურქეთში იმპორტის პროცედურებს გაამარტივებს.

ინფორმაციის გაცვლა

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივ მართვას, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე, მიმდინარეობს ელექტრონული ინფორმაციის მიმდინარე რეჟიმში წინასწარი გაცვლა საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე მდებარე სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე („სარფში“, „კარნახი“-„ჩილდირ-აკტაში“ და „ახალციხე“-„პოსოფი თურქგოზოში“). ამ ეტაპზე თურქულ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა მოხდეს გასაზიარებელი ინ-

ფორმაციის მოცულობის გაფართოება (კერძოდ, რენტგენონისპექტრების სისტემით დასკანერებული სატრანსპორტო საშუალებისა და საბაჟო კონტროლის შედეგების თაობაზე). რეგიონში უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ამავდროულად, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობის ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი სახის ინფორმაციის ელექტრონული ფორმით წინასწარ მიღებას, დამუშავებას, ასევე ანალიზისა და რისკების წინასწარი განსაზღვრის შესაძლებლობას.

სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა

სარფის საბაჟო გამშვები პუნქტზე, თურქეთის მხარეს, ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა თურქეთ-საქართველოს საზღვარზე არსებულ მდინარე „ქიბაშზე“ ქვეითთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობა. ახალი ხიდის წყალობით, ფიზიკური პირებისთვის საზღვრის გადაკვეთა გამარტივდება და ისინი უფრო უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებენ მიმოსვლას. ამ საკითხთან დაკავშირებით, სარფის საბაჟოზე რამდენიმე შეხვედრა შედგა. ხიდის მშენებლობა 2019 წლის პირველ კვარტალში დასრულდება.

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა



ავღანეთის საბაჟო დეპარტამენტისთვის ტექნიკური დახმარება

ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისთვის ტექნიკური დახმარების მიზნით, 2018 წლის 9-14 სექტემბერს, ქ. ქაბულს (ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა), შემოსავლების სამსახურის სამკაციანი დელეგაცია ეწვია. ვიზიტის მიზანი იყო ავღანეთის საბაჟო ადმინისტრაციისთვის გამოცდილების გაზიარება, საბაჟო სასაზღვრო, საბაჟო გაფორმებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დახმარების აღმოჩენა.

მიმდინარეობს თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების ცალკეულ მიმართულებებზე მუშაობა.

17-21 სექტემბერს, შემოსავლების სამსახურს ესტუმრა ავღანეთის საბაჟო უწყების, აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამისა (CLDP) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის 17-კაციანი დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო ავღანეთის საბაჟო დეპარტამენტსა და შემოსავლების სამსახურს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავება.

ვიზიტის ფარგლებში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წარმომადგენლებმა საბაჟო პროექტების მართვის ტრენინგი ჩაატარეს.

ჰონგ-კონგი



საქართველოსა და ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

2018 წლის 28 ივნისს, საქართველოსა და ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმება მოიცავს საქონლის შეღავათიანი წარმოშობისა და საბაჟო თანამშრომლობის საკითხებს. შეთანხმების მიზანია, საქართველოსა და ჰონგ-კონგს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, საზღვარზე ვაჭრობის ხელშეწყობა და საბაჟო პროცედურების გამარტივების უზრუნველყოფა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა



საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ინფორმაციის გაცვლა

2018 წლის 27-28 სექტემბერს, საქართველო-ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის შემდგარი შეხვედრის მიზანი იყო წარმოშობის მონაცემთა ელექტრონულად გაცვლის სისტემის ასამოქმედებლად წლიური გეგმის შედგენა და მხარეთა მიერ განსახორციელებელი საქმიანობის განერა. 2019 წელს დაგეგმილი სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა, გამარტივდეს საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეღავათით სარგებლობისთვის საბაჟო ორგანოში წარდგენილი წარმოშობის სერტიფიკატის პირველადი შემოწმების პროცედურები, გაუქმდეს ცალკეული სერტიფიკატების გადამოწმების მიზნით წერილობითი მოთხოვნების გაგზავნის მოუქნელი პრაქტიკა, სერტიფიკატის გაცემა-გამოყენების ფაქტის გადამოწმების რეალურ რეჟიმში ელექტრონულად დადასტურების მეშვეობით. სისტემის ამოქმედება გაამარტივებს კანონშესაბამისი ეკონომიკური ოპერატორებისთვის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული სატარიფო შეღავათის მიღებას.

ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობა

საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, ჩინეთის მთავრობას წარედგინა საპროექტო წინადადება „საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტების აღჭურვა ინსპექტირების რენტგენო სისტემებით“. გრანტის ფარგლებში დაგეგმილია 16 სკანერის გადმოცემა. პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2019-2022 წლებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა



გერმანიის საბაჟო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა

გერმანიის საბაჟო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2018 წლის სამოქმედო გეგმით, რამდენიმე ღონისძიება განხორციელდა:

2018 წლის 2-13 მაისს, შემოსავლების სამსახურს ეწვია ორი გერმანელი ექსპერტი და ერთი კინოლოგ-ინსტრუქტორი.

ვიზიტის ფარგლებში, 3-4 მაისს, საბაჟო დეპარტამენტში გაიმართა სემინარი საბაჟო კონტროლსა და რისკებზე პასუხისმგებელი პირებისთვის. კინოლოგ-ინსტრუქტორმა საბაჟოს კინოლოგიის ცენტრში ძალების განვრტონის თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარა.

4-12 ივნისს, საბაჟო დეპარტამენტის საშუალო დონის მენეჯერები გერმანიაში გაემგზავრნენ. ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის სასაზღვრო ოფისის ქართული დელეგაციის წარმომადგენლები ეწვივნენ. ქვეყნის შიგნით დააკვირდნენ მობილური ჯგუფების მუშაობის სპეციფიკას, საბაჟოს ცენტრალურ ოფისში გაეცნენ საბაჟოს კონტროლის ანალიზისა და მონიტორინგის, რისკების მართვის სისტემას.

2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ბოლო აქტივობის ფარგლებში, სამი გერმანელი ექსპერტი და კინოლოგი, 30 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში იმყოფებოდნენ.

გემოაღნიშნული ტექნიკური დახმარება, მიზნად ისახავს საბაჟო კონტროლის შემდგომ დახვეწას.

ჩეხეთის რესპუბლიკა



ჩეხეთის რესპუბლიკის მთვრობის დახმარება კინოლოგიის მიმართულებით

2018 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CDA) მხრდაჭერილი პროექტის – „საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება“ ფარგლებში, ჩეხეთის საბაჟოს კინოლოგიის ცენტრში ათკვირიანი გადამზადება სამმა კინოლოგ-ინსტრუქტორმა გაიარა. კინოლოგ-ინსტრუქტორებისთვის ახალი ძაღლები შეიძინეს.

2-6 დეკემბერს, პროექტის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები ჩეხეთის საბაჟო ადმინისტრაციას ესტუმრნენ. ვიზიტის ფარგლებში, კინოლოგ-ინსტრუქტორთა და ახალგაზრთილი ძაღლების სასერტიფიკატო გამოცდებისა და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. ასევე, პროექტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისას განისაზღვრა პროექტის სამომავლო აქტივობები, გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს სამი ახალგაზრთილი ძაღლი საჩუქრად გადასცეს.

შვეიცარიის კონფედერაცია



წარმოშობის წესების მიმართულებით ინსტიტუციონალური განვითარება

საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციის მხარდაჭერით

საქართველოსა და შვეიცარიის ბიზნესასოციაციის მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული პროდუქციის ექსპორტს საქართველოდან შვეიცარიასა და ევროპის სხვა თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ სახელმწიფოებში, ასევე წარმოშობის წესების თემატიკაზე საბაჟო დეპარტამენტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის უნარების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში მომზადდება და ითარგმნება კერძო სექტორისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მასალები. შეღავათიანი წარმოშობის წესების თაობაზე ცნობადობის ამაღლების მიზნით ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართება.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან/დონორებთან თანამშრომლობა

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (EU)

DCFTA

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი

„საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის“ პროექტის დახმარებით, 2017-2018 წლებში სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოში ტრენერები ვეტერინარულ, ფიტოსანიტარულ და არა-ცხოველური სურსათის სასაზღვრო კონტროლის პროცედურების დახვეწის მიზნით გადამზადდნენ. გადამზადებულმა ტრენერებმა მოამზადეს ვეტერინარები და ფიტოსანიტარები, რომლებიც საზღვარზე კონტროლს ახორციელებენ.

2018 წელს განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

1. ტრენინგების ტრენინგი:

- 29.01-02.02 ორგანიზებულ იქნა ტრენინგების ტრენინგი - ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურები. მონაწილეთა რაოდენობა - 7.

2. ორმხრივი ტრენინგი:

- 27.03-28.03 - საქართველოში, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად საერთაშორისო სურსათის სტანდარტებზე ორმხრივი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგი ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის წარმომადგენელმა ჩაატარა. მონაწილეთა რაოდენობა - 8 (საქართველოდან).
- 24.07-25.07 - საქართველოში, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ვეტერინარულ კოდექსთან (OIE) დაკავშირებით ორმხრივი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგი ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის წარმომადგენელმა ჩაატარა. მონაწილეთა რაოდენობა 9 (საქართველოდან).
- 27.08-28.08 - აზერბაიჯანში, აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ორმხრივი ტრენინგი სახელწოდებით „მცენარეთა, მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისა და ხის შესაფუთი მასალების იმპორტის სასაზღვრო კონტროლში“ გაიმართა. ტრენინგი ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის წარმომადგენელმა ჩაატარა. მონაწილეთა რაოდენობა - 6 (საქართველოდან)

3. ტრენინგი: ვეტერინარია

- 2018 წლის ივნისისა და ივლისის თვეში, გადამზადებულმა ტრენინგებმა ახალციხესა და ბათუმში 4 ტრენინგი ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე ჩაატარეს. მონაწილეთა რაოდენობა - 25.
- 13-14 დეკემბერს, კიდევ ერთი ტრენინგი გაიმართა. მონაწილეთა რაოდენობა 6.

4. ტრენინგი: ფიტოსანიტარია

- 2018 წლის ივნისისა და ივლისის თვეში, გადამზადებულმა ტრენინგებმა ახალციხესა და ბათუმში 4 ტრენინგი ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე ჩაატარეს. მონაწილეთა რაოდენობა - 32.

5. ტრენინგი: არაცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლი

- 2018 წელს, გადამზადებულმა ტრენინგებმა თბილისში, ბათუმსა და ფოთში 5 ტრენინგი არაცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის პროცედურებზე ჩაატარეს. მონაწილეთა რაოდენობა - 57.

პროექტის ფარგლებში ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებზე დახარჯული ბიუჯეტი 56,999 ევროს შეადგენს.

აღნიშნული ტრენინგები წარმოადგენს „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის განვითარებისათვის“ ENPARD II-ის შეთანხმების საფუძველზე შემოსავლების სამსახურის ვალდებულებას, რომლის შესრულებით, ექსპერტების მისიის შეფასების შემდეგ, საქართველოს ბიუჯეტს ევროკავშირიდან 500,000 ევრო ჩაერიცხება.

ასევე, თანამშრომელთა გადამზადების ვალდებულება მითითებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

ინფრასტრუქტურა

წითელი ხიდი

პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, 2018 წელს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდი“ მშენებლობა დასრულდა. პროექტის ფარგლებში მშენებლობაზე 318,128 ევრო დაიხარჯა, ხოლო აღჭურვილობაზე – 2, 000 ევრო იქნა დახარჯული.

ასევე, ევროკავშირის დაფინანსებით, მიმდინარე ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების CIB III პროგრამის ფარგლებში, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი ნაწილობრივ აღიჭურვა. აღჭურვილობის ღირებულებაა 572,089 ლარი.

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი „წითელი ხიდი“ ოფიციალურად 2018 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა. გახსნას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აზერბაიჯანის საბაჟო კომიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტის შეფასების მისიის წარმომადგენლების ანგარიშის მიხედვით, შენობა შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნებს.

სადახლო

შემოსავლების სამსახურის მიერ მიმდინარეობს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „სადახლო“ მშენებლობა. ევროკავშირის დაფინანსებით, მიმდინარე ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების CIB III პროგრამის ფარგლებში პუნქტი ნაწილობრივ აღიჭურვება.

2018 წელს, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდება. ევროკავშირის დაფინანსებით, მიმდინარე ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების CIB III პროგრამის ფარგლებში შეძენილია აღჭურვილობის ნაწილი, რომლის ღირებულებაა 456,691 ლარი.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, სადახლოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის პირველი ეტაპის მშენებლობის დასრულება შემოსავლების სამსახურს ევალება.

სარფი/ადღია

2017 წლის ბოლოს, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „სარფი“ შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად დასრულდა. აღჭურვილობა შეძენილ იქნა ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების CIB II (478,291 ლარი) პროგრამის ფარგლებში.

2018 წლის 5 მარტს, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ოფიციალურად გახსნა. „ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის“ (ENPARD) შეფასების მისიის ფარგლებში აღინიშნა, რომ პუნქტი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან დაახლოებული საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, გაიმართა ფინანსთა სამინისტროს შიდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, რომელთა შედეგადაც საბაჟო კანონმდებლობის სამუშაო ვერსიის პირველადი ვარიანტი შემუშავდა. გასაცნობად პროექტი მიენოდა ევროკომისიას, კერძოდ, საგადასახადო და საბაჟო საკითხების დირექტორატს (DG TAXUD). საბაჟო კოდექსის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ვებსაიტზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ამჟამად, საქართველოს მთავრობის მიერ, დოკუმენტი გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტში.

პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა ახალი საბაჟო კოდექსის შესაბამისად შესამუშავებელ კანონქვემდებარე აქტებზე.

პროდუქციის წარმოშობის წესები

პროდუქციის წარმოშობის წესები - საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმის ჩანაცვლება

ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამავე ოქმის ჩანაცვლების მიზნით, შეთანხმების 74-ე მუხლით გათვალისწინებული ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო ქვეკომიტეტის გადანაცვეტილების N1/2018 საფუძველზე (2018 წლის 20 მარტი) განხორციელდა ზემოაღნიშნული ცვლილება და ოქმის ტექსტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელშიც მოცემულია მითითება წარმოშობის პრეფერენციული წესების პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის კონვენციაზე. აღნიშნული გადანაცვეტილების ძალაში შესვლის შედეგად, გაიზრდება, როგორც საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის წარმოშობის სტატუსის მინიჭებისათვის გამოსაყენებელი ნედლეულის/ნახევარფაბრიკატების, ასევე საქართველოში წარმოებული მზა პროდუქციის ბაზრის გეოგრაფიული არეალი. კუმულაციის გაფართოება ამჟამად მოიცავს საქართველოს, ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ქვეყნებს (შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, ისლანდია). ამავე მიზნით, აუცილებელი ცვლილებები შევიდა საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში და მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და უკრაინის, ასევე საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკებთან იმავე სახის დებულებების შემოღების მიზნით.

მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციისა და მგზავრის სახელის ჩანაწერის სისტემის შესრულება

საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის/მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის შესახებ (API/PNR) სისტემის იმპლემენტაციის ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების სამოქმედო გეგმაში. სისტემის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით:

- 17-19 აპრილს, ეუთოს ეგიდით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი API/PNR თემატიკაზე, სემინარში მონაწილეობა მიიღეს როგორც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა, ასევე, სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და კერძო ავიახაზების წარმომადგენლებმა.
- 19 სექტემბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს, ავიაკომპანიების წარმომადგენლებსა და უცხოელ ექსპერტებს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც API/PNR სისტემის მუშაობის საკითხები განიხილეს.

სისტემის დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 1-ლი ივნისის №213 ბრძანებით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე,“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას პირველი პრიმა მუხლი დაემატა. აღნიშნული პროექტის განხორციელება საბაჟო კონტროლის ტექნიკას გააუმჯობესებს.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებები

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, 2017 წელს ძალაში შევიდა ცვლილებები ქართულ კანონში „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის N:608/2013 რეგულაციასთან და დაინერგა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესაბამისი სტანდარტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 5-7 ივნისს თბილისში, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ორგანიზებით, გაიმართა ტრენინგი შეხვედრა საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ. ტრენინგი ჩაატარა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ტექნიკურმა ექსპერტმა კონტრაფაქციისა და გაყალბების საკითხებში ქალბატონმა სანდრა ვეინსმა და მოწვეულმა ექსპერტმა დანიელ კასუნორიმ. ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (TRIPS) შეთანხმება, მსო-ს საკანონმდებლო მოდელი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევების მაგალითები და ახალი ტენდენციები, ექსოფიციო საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით შესატანი განცხადება, გარანტიის წარდგენა, საქონლის განადგურება და მცირე ზომის ტვირთები, რისკის მართვა და ა.შ. ტრენინგს ასევე დაესწრნენ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთა წარმომადგენლები, რომლებმაც მონაწილეობა გააჩნეს გაყალბებული საქონლის ამოცნობის მეთოდები. ტრენინგში შემოსავლების სამსახურის 25-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

EU PROJECTS

EU Twinning Project - NCTS

2018 წლის მარტის თვიდან, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების დაძმობილების პროექტი „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (CTC) და „ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის“ (SAD) კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) იმპლემენტაციის მიზნით დაიწყო. აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციის მიერ გაცემული დოკუმენტით, რომელიც წარმოადგენს გარანტიას, განხორციელდეს ტვირთის გადაზიდვა ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში შემავალ ქვეყნებში (EFTA - ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია), ასევე, თურქეთის რესპუბლიკაში, სერბეთსა და მაკე-

დონიაში. აღნიშნული პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: 1. საკანონმდებლო ბაზის განვითარება; 2. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის შესწავლა-ადაპტირება; 3. სამსახურის ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების განვითარება და ცნობადობის ამაღლება. წამყვანი ქვეყანაა ფინეთი, ხოლო პარტნიორები - პოლონეთი და ლატვია. 2018 წლის 6 ივნისს, თბილისში, პროექტის მმართველი კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა, სადაც განიხილეს და დაამტკიცეს 6-თვიანი სამოქმედო გეგმა. 2018 წლის 11 ივნისიდან, დაიწყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ასევე, მიმდინარე წლის 20 სექტემბერს კომიტეტის მეორე სხდომა გაიმართა, სადაც შეაჯამეს განხორციელებული აქტივობების შედეგები და მომავალი 6 თვის სამუშაო გეგმა განერეს. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა პროექტის შემადგენელი სამივე კომპონენტის მიმართულებით, კერძოდ, მოწვეულმა ექსპერტებმა დაიწყეს საკანონმდებლო ბაზის, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით არსებული სიტუაციის შესწავლა. იმართება შეხვედრები შემოსავლების სამსახურის საბაჟო, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელობასთან. ექსპერტებმა ჩაატარეს პრეზენტაციები „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)“ კონვენციის, ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემისა (NCTS) და შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის შესახებ. ექსპერტები ეცნობიან არსებულ მდგომარეობას და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, იხილავენ სამსახურში სისტემის დანერგვისა და განხორციელებისათვის საჭირო ცვლილებებს.

2018 წლის 26-27 სექტემბერს, კიევში (უკრაინა), ევროკომისიის საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციის გენერალური დირექტორატის (DG TAXUD) ორგანიზებით, ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნებისათვის, სემინარი ტრანზიტის საერთო პროცედურების კონვენციის შესახებ (CTC) გაიმართა. გაკეთდა პრეზენტაციები „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) შესახებ. გაიმართა დისკუსიები პროექტის განხორციელების თაობაზე. შემოსავლების სამსახურმა არსებული პროექტის მიმდინარეობასა და მიღწეულ პროგრესზე მოხსენება წარმოადგინა.

EU-ACT პროექტი

ევროკავშირის ნარკოტიკებსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის (EU-ACT) პროექტის ფარგლებში, 2018 წლის 26 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით, თბილისში ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფებისა და კონტროლირებადი მიწოდებისადმი მიძღვნილი ტრანსრეგიონული სემინარი გაიმართა. სემინარში 13 ქვეყნის წარმომადგენელი და საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობდნენ. სწავლების ძირითადი ნაწილი დაეთმო საერთაშორისო ოპერაციებსა და კონტროლირებადი მიწოდებისადმი მიძღვნილ სავარჯიშოებს. აღნიშნულ სემინარს საბაჟო დეპარტამენტის სამი წარმომადგენელი დაესწრო.

17-19 ივლისს, EU-ACT პროექტის ფარგლებში, თბილისში „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) ცნობიერების ამაღლების“ სემინარი გაიმართა. სემინარს შემოსავლების სამსახურის ოთხი წარმომადგენელი დაესწრო.

პროექტის ფარგლებში, 30 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, შემოსავლების სამსახურს საბაჟო რისკების ექსპერტი გრეგ კიტსლერი ეწვია. ვიზიტის დროს ექსპერტმა დეტალურად შეისწავლა რისკების სამმართველოს მიერ ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროები და მათი ანალიზის მეთოდები, რეკომენდაცია გაუწია დამატებით წყაროებს, რაც ეფექტურს გახდის რისკების იდენტიფიცირებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტი გაფორმების ეკონომიკურ ზონას (გეზ) „თბილისი“ და თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ეწვია. გრეგ კიტსლერმა შეხვედრები, ასევე საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალურ ოფისში გამართა.

GPS ლუქები და კონტროლირებადი მიწოდება

საბაჟო დეპარტამენტის ინიციატივით, დაწყებულია მუშაობა მობილური ჯგუფების და ე.წ. GPS ლუქების გამოყენებით კონტროლირებადი მიწოდების სისტემის დანერგვაზე. ლუქების შეძენასა და შესაბამის ტრენინგებში დახმარებაზე მზადყოფნა ევროკავშირის ნარკოტიკებსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის (EU-ACT) პროექტმა გამოთქვა. მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩინეთის მთავრობასთან, რათა ნაწილობრივ 2019-2022 წლებისთვის გამოყოფილი გრანტის ფარგლებში GPS ლუქების პროგრამული უზრუნველყოფა დაფინანსდეს.

მსოფლიო ბანკი დაინტერესდა პროექტში მონაწილეობით, რომელიც აღნიშნული სისტემის ტრანზიტული დერეფნის კვლევის მიმართულებით გამოყენებას გულისხმობს.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO)

საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია (შესწორებული კიოტოს კონვენცია)

საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია

საბაჟო საერთაშორისო თანამეგობრობაში მიჩნეულია საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ყველაზე ავტორიტეტულ დოკუმენტად. იგი წარმოადგენს კონვენციის 112 ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედი საბაჟო კოდექსის ჰარმონიზებულ საფუძველს. კონვენცია ადგენს ყოვლისმომცველი საბაჟო პროცედურების სტანდარტებს, რომელიც ხელს უწყობს კანონიერ ვაჭრობას და იმავდროულად, უზრუნველყოფს საბაჟო შემოსულობებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით საბაჟო კონტროლის განხორციელებას.

კონვენციასთან მიერთება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 67-ე მუხლის პირველი ნაწილის ქვეპუნქტში ასახული საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

შიდასახელმწიფოებრივი ყველა აუცილებელი პროცედურის განხილვის დასრულების შემდგომ, 2018 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, რომლის საფუძველზეც 2017 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, კონვენციასთან შეერთების სიგელი გამოსცა.

2018 წლის 8 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, აღნიშნული შეერთების სიგელი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის სათავე ოფისში, ევროკავშირში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა, ქ-მა ნატალია საბანაძემ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ბ-ნ კუნიო მიკურას გადასცა.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტი - კონტეინერების კონტროლის პროგრამა

კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. დანაყოფების საქმიანობას ბულგარეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის და სომხეთის საბაჟო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები გაეცნენ.

ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქართულ დანაყოფებში მივლინებით ავღანეთის, შრი-ლანკისა და პაკისტანის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში მოქმედი დანაყოფების თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციიდან მოწვეულმა შესაბამისმა ექსპერტებმა საჰაერო ტვირთების კონტროლის დანაყოფისთვის 2-კვირიანი პრაქტიკული სწავლება ჩაატარეს. დანაყოფი, სრული შემადგენლობით, სასწავლებლად იმყოფებოდა ბრიუსელისა (თებერვალი) და კიევის (დეკემბერი) აეროპორტებში, სადაც, ადგილობრივ მეზაჟე ოფიცრებთან ერთად, მონაწილეობდა ტვირთებისა და მგზავრების კონტროლში.

2018 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა სტრატეგიული ტვირთების კონტროლთან დაკავშირებული სწავლების (სწავლების სამი ეტაპი გაიმართა 2017 წელს) შემაჯამებელი სემინარი, რომელშიც უკრაინასა და საქართველოში პროგრამის ფარგლებში მოქმედი დანაყოფების წევრები და საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

2018 წლის განმავლობაში, ქ. ოდესასა და ქ. კიევში, სხვადასხვა დროს, თბილისის, ფოთისა და საჰაერო ტვირთების დანაყოფების თანამშრომლები, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი კონტროლის მექანიზმების შემუშავების მიზნით, მივლინებით 7-ჯერ გაემგზავრნენ.

2018 წლის სექტემბერში, ქ. ოდესაში, პირველი რეგიონული შეხვედრა ხელმძღვანელი პირების დონეზე გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრაზე, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის საბაჟო ადმინისტრაციებისა და დანაყოფების საქმიანობაში ჩართული სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ.

2018 წლის 20-21 დეკემბერს, კახეთში (ყვარლის ტბა) გაიმართა წლის შემაჯამებელი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა დანაყოფის თანამშრომლებმა და განხილულ იქნა წლის შედეგები, არსებული პრობლემები და სამომავლო გეგმები განისაზღვრა.

2018 წლის განმავლობაში, კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი დანაყოფების მიერ გამოვლინდა შემდეგი სამართალდარღვევის ფაქტები:

- **17,540,000** ლერი სიგარეტი
- **10** კგ. პაშიში
- **15** ტონა ძმრის ანჰიდრიდი (პრეკურსორი)
- **4** კგ. ოპიუმი
- **3** კგ. კოკაინი
- **3,400** ც. LSD
- გამოავლინეს და დააკავეს **2** ძეზნილი

მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის გაყალბების ორი ფაქტი, კონტრაფაქციული საქონლის ერთი და ადგილწარმოშობის ნიშნის გაყალბების (დამზადებულია საქართველოში) ერთი ფაქტი.

VIRTUAL RAILWAY GROUP OF THE WORLD CUSTOMS ORGANIZATION

In summer 2018, under the auspices of the World Customs Organization, a virtual working group of customs-railway cooperation was created and the Advisor of the International Customs, Sanitary-Phytosanitary Border Control Cooperation Division of the International Department was selected as a facilitator.

The virtual railway group of the World Customs Organization is aimed at collection and analysis of information from the participating Customs Administrations for potential improvement of the customs procedures for railway transportation. Within the frames of the group the questionnaires were sent and the situation was analyzed in terms of electronic exchange of information between the railway and customs, in particular, towards the data elements.

In November 2018, within the frames of the Permanent Technical Committee of the World Customs Organization (WCO), the group has delivered information to the attendees regarding the main challenges. Later, in Baku, at the Regional Seminar on Transit the issues related to the promotion of railway transit were considered.

WCO Leadership and Management program

2018 წლის 21 იანვრიდან 2 მარტის ჩათვლით, ფრანგულენოვანი თანამშრომლებისათვის განხორციელდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის რიგით 74-ე სტაჟირების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე სტაჟირება გაიმართა ქ. ბრიუსელში (ბელგია), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში, ხოლო მეორე ეტაპზე მონაწილეებმა სტაჟირება ქ. სეულში (კორეა), კორეის საბაჟო ადმინისტრაციაში გაიარეს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)

ევროკავშირის დაფინანსებითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) იმპლემენტაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში ხორციელდება პროექტი – „საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა“. პროექტის ძირითადი ბენეფიციარი არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს გადმოეცა 218.000 აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე აღჭურვილობა, კერძოდ:

- სამხრე ვიდეოკამერა - 40 ერთეული;
- დამალული საქონლის აღმოჩენი ხელსაწყოების ნაკრები - 3 ერთეული;
- ნარკოტიკული საშუალებების ანალიზატორი - 4 ერთეული.

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერითა და პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს

ტროსთან თანამშრომლობით, 2018 წელს (23-27 აპრილი, 21-25 მაისი, 28 მაისი-1 ივნისი) თბილისში, ორხევის სასწავლო ცენტრში, 3 ტრენინგი გაიმართა, რომელთა ფარგლებშიც საბაჟო დეპარტამენტის 55-მდე მებაჟე ოფიცერი გადამზადდა. სწავლების ფარგლებში ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს მსუბუქი ავტომანქანის შემოწმებისა და დათვალიერების ტექნიკა, ასევე პრაქტიკულ გარემოში გაეცნენ სხეულის ენის ამოცნობის მეთოდებისა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის მიზნით ჩატარებულ სხვადასხვა ქმედებას. სწავლების მესამე ეტაპი დაეთმო ტრენინგების ტრენინგს, რომლის ფარგლებშიც გასული სწავლებებიდან ამორჩეული 10 მონაწილე გაეცნო ტრენინგის მომზადების მეთოდოლოგიას, ტრენინგისთვის საჭირო მასალის მომზადების წესებს, ტრენინგის გახსნისა და ჯგუფთან მუშაობის მეთოდებს და ა.შ. შემუშავდა შესაბამისი სწავლების სახელმძღვანელო და საბაჟო დეპარტამენტს ტრენინგების ჩატარებისთვის საჭირო მასალა გადაეცა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით და იტალიის საბაჟო სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით, 2018 წლის 3-7 სექტემბერს და 1-5 ოქტომბერს თბილისში, ორხევის სასწავლო ცენტრში და ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ტრენინგები სხეულის ენის შესახებ გაიმართა. სწავლებებში მონაწილეობა შემოსავლების სამსახურის 31-მა თანამშრომელმა მიიღო, რომლებიც გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: შემოწმებისა და დაკვირვების ტექნიკა, მგზავრების არჩევა, არავერბალური კომუნიკაცია, ძირითადი ემოციები და მიმიკა და ა.შ. 1-5 ოქტომბრის სწავლება დაეთმო ტრენინგების ტრენინგს, რომლის ფარგლებშიც სამსახურის 11-მა თანამშრომელმა შეისწავლა ლექციის მომზადების წესები, სწავლების თეორია, საჯარო მეტყველების უნარები, სხეულის ენა და არავერბალური კომუნიკაცია, შემოწმების მეთოდები და ა.შ. შემუშავდა შესაბამისი სწავლების სახელმძღვანელო და საბაჟო დეპარტამენტს ტრენინგების ჩატარებისთვის საჭირო მასალა გადაეცა.

ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამა (CAREC)

თანამშრომლობა აზიის განვითარების ბანკის (ADB) „ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ (CAREC) ფარგლებში

აზიის განვითარების ბანკის (ADB) და „ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ (CAREC) სატრანზიტო სისტემის (CAREC Advanced Transit System - CATS) და საბაჟო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის (Customs Information Common Exchange - ICE) საპილოტე პროექტი მიმდინარეობს. საპილოტე პროექტის მიზანია საქართველოს, აზერბაიჯანსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის (მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულების პროექტზე) ერთიანი სატრანზიტო სისტემისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმის შემუშავება.

2018 წლის 27-28 ივნისს, ქალაქ ბანგკოკში (ტაილანდი), აზიის განვითარების ბანკის (ADB) „ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ (CAREC) წევრი ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირთა შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე განხილეს CAREC-ის გრძელვადიანი სტრატეგიის (CAREC 2030) იმპლემენტაციის პროგრესი და სტრატეგიაში შემავალ მთელ რიგ სფეროებთან დაკავშირებული საკითხები, მათ

შორის, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა, საბაჟო პროცედურები, ვაჭრობის ხელშეწყობა, სურსათის უვნებლობა. შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს იმ მიღწევებისა და განვითარებების შესახებ, რაც ხსენებულ სფეროებში ბოლო პერიოდში განხორციელდა. აგრეთვე, შეხვედრაზე CAREC-ის 2030 ინტეგრირებული ვაჭრობის დღის წესრიგის (CAREC Integrated Trade Agenda (CITA)) დოკუმენტის ფორმულირებასთან დაკავშირებული პროგრესი განიხილეს.

2018 წლის 29-31 ოქტომბერს, ქალაქ ბანკოკში (ტაილანდში), აზიის განვითარების ბანკის „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა და ჩატარდა ფორუმი წევრი ქვეყნების მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების განხორციელების მდგომარეობის შესახებ. შემოსავლების სამსახურმა წარადგინა პრეზენტაციები და წარმოადგინა ანგარიში ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების შესრულების მდგომარეობისა და შეთანხმების მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი სატრანზიტო მოძრაობის გამოცდილების შესახებ.

2018 წლის 4-6 სექტემბერს, ქალაქ აშხაბადში (თურქმენეთის რესპუბლიკა), აზიის განვითარების ბანკის (ADB) „ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ (CAREC), საბაჟო თანამშრომლობის საბჭოსა (CCC) და CAREC ქვეყნების გადამხიდავთა და ექსპედიტორთა ასოციაციების ფედერაციის (CFCFA) ერთობლივი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე CAREC-ის გრძელვადიანი სტრატეგიის (CAREC 2030) იმპლემენტაციის პროგრესი და სტრატეგიაში შემავალ მთელ რიგ სფეროებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს (ტრანსპორტი, ვაჭრობა, საბაჟო პროცედურები, ვაჭრობის ხელშეწყობა და სხვა). შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს იმ მიღწევებისა და განვითარებების შესახებ, რაც ხსენებულ სფეროებში განხორციელდა ბოლო პერიოდში. აგრეთვე, შეხვედრაზე განიხილეს CAREC-ის 2030 ინტეგრირებული სავაჭრო დღის წესრიგის (CAREC Integrated Trade Agenda (CITA)) დოკუმენტის ფორმულირებასთან დაკავშირებული საკითხები, 2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილია AREC-ის ეროვნული საკონტაქტო პირების შეხვედრისა და მინისტრთა მე-17 კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

„SPS სისტემის მოდერნიზაცია ვაჭრობის გამარტივებისათვის“ - CAREC

აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით CAREC ქვეყნებისთვის დამტკიცდა ტექნიკური დახმარების პროექტი - „SPS სისტემის მოდერნიზაცია ვაჭრობის გამარტივებისათვის“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით, ჩამოყალიბდა ეროვნული სამუშაო ჯგუფები სამი მიმართულებით: მცენარეთა სიჯანსაღე, ცხოველთა ჯანმრთელობა და სურსათის უვნებლობა.

ჯგუფებში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები იმუშავებენ.

GUAM

სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროექტის მმართველი კომიტეტი

სუამ-ის ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ოქმი „სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა საბაჟო ადმინისტრაციებს შორის სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა სახელმწიფო საზღვრებზე საპაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის მიმართ საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ურთიერთქმედების შესახებ“, რომელსაც 2018 წლის 5 ოქტომბერს ქ. კიშინეუში, სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრების შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა.

USA EXBS

აშშ-ის საელჩოს EXBS პროგრამა წარმოადგენს WCO-UNODC კონტეინერების კონტროლის პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დონორს, რომლის დახმარებით განხორციელდა საქართველოში მოქმედი დანაყოფებისთვის რამდენიმე სასწავლო ვიზიტის (აშშ-ში, იორდანიაში, ბულგარეთში) ორგანიზება. თბილისსა და ბათუმში ჩატარდა სწავლებები სტრატეგიული ტვირთების კონტროლის საკითხებზე, მოხდა შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა, დაინერგა ტვირთების შერჩევის სისტემა (CTS). EXBS პროგრამა აქტიურად აგრძელებს დანაყოფების მხარდაჭერას. ამ მიზნით, 2018 წლის 30 ნოემბერს, ფოთის დანაყოფს პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, ქ-ნ როზი პეტროვი ესტუმრა. ვიზიტის მიზანი დანაყოფის საქმიანობის გაცნობა და ერთობლივი სამომავლო გეგმების განხილვა იყო.

JMOC

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, აშშ-ის სანაპირო დაცვის მოწვევით, 2018 წლის 16-20 აპრილს, აშშ-ში გაიმართა ვიზიტი სუფსის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში (JMOC) შემავალი უწყებების ხელმძღვანელი პირებისთვის. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა JMOC-ის ეფექტური ოპერირებისა და მასში შემავალ უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

USAID G4G

უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის პროგრამა

ასოცირების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შემოსავლების სამსახური აგრძელებს მუშაობას უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის იმპლემენტაციის მიმართულებით. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მხარდაჭერით, შემუშავდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის ბრძანება №290-ში (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე) ცვლილებების განხორციელებას, რის შედეგადაც მოხდება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის დანერგვა.

ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის ახალი წესებისა და შესაბამისი საბაჟო პროცედურების შემუშავება

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ევროპის ენერგოთანამეგობრობაში გაწვერიანების პროტოკოლის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, შემოსავლების სამსახური, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლებთან ერთად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მხარდაჭერით, განაგრძობს ელექტროენერგიით საზღვართშორისი ვაჭრობის შესაბამისი სისტემების დანერგვის და შესაბამისი საბაჟო პროცედურების შემუშავების მიზნით ევ-

როკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის

16-17 ივლისს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით სერბეთის ქ. ბელგრადში იმყოფებოდნენ. უახლოეს მომავალში, შესაბამისი სასწავლო ვიზიტის გამართვა პოლონეთში იგეგმება.

WORLD BANK IFC

საბაჟო ღირებულების სახელმძღვანელოს შემუშავება

საბაჟო პროცედურების და საზღვარზე პროდუქციის მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა, მსოფლიო საფინანსო კორპორაციის (მსოფლიო ბანკი) ექსპერტების მხარდაჭერით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სახელმძღვანელო შეიმუშავა. 2018 წლის 12-16 ივნისს, უცხოელი ექსპერტის მონაწილეობით განიხილეს სახელმძღვანელოს შესაბამისობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს საბაჟო ღირებულებაში ჩართული თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობას და პროცედურული გამჭვირვალობის გაზრდას. მომავალში იგეგმება სახელმძღვანელოს დამატებითი ნაწილის შემუშავება და შესაძლო სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა.

საქონლის კლასიფიკაციის შესახებ ჰარმონიზებული კონვენცია

2018 წლის 19-30 ნოემბერს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (მსოფლიო ბანკი) მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგები, სადაც შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ ჰარმონიზებული სისტემის კონვენციის 2017 წლის რედაქციის ცვლილებებს და თავისებურებებს, ასევე მოხდა სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. ჰარმონიზებული სისტემის კონვენციის 2017 წლის რედაქციის ამოქმედება წარმოადგენს საქართველოს, როგორც კონვენციის წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების და გაფორმების პროცედურების ხელშეწყობისკენ პროდუქციის კლასიფიკაციის წესების ჰარმონიზების გზით. აღნიშნული წესები წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის საფუძველს.

ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმების ცვლილების ოქმი (2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება) ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მიერ ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის ფორმირებას. აღნიშნული მიზნებით, შემოსავლების სამსახურში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა შესაბამისი ნორმატიული მასალების პროექტები. პროექტი ყველა შესაბამის სახელმწიფოს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს გაეგზავნა. მიმდინარეობს კომიტეტის შემადგენლობისა და მისი დებულების საკითხებზე კონსულტაციები.

eTIR პროექტი

2018 წლის აპრილში, ხელი მოეწერა სამმხრივ მემორანდუმს შემოსავლების სამსახურს, საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირსა (IRU) და საქართველოს საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის გადამზიდავთა ასოციაციას (GIRCA) შორის, რომლის მიზანია IT სისტემებში TIR რისკების მართვის მიზნით დამატებითი IT ინსტრუმენტების დანერგვა.

შემოსავლების სამსახურმა ხელი მოაწერა eTIR პროექტის ძირითად პრინციპებს, რომლის შედეგადაც სამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა TIR კომპიუტერიზაციის პროექტის განხორციელება. პროექტი გულისხმობს საქართველოს, უკრაინას, ამერბაიჯანსა და ყაზახეთს შორის TIR ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლას. პროექტის ფარგლებში, IRU და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) შემოსავლების სამსახურისთვის უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას.

პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ივნისში ქ. ჟენევაში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის TIR სამდივნოში, ხოლო სექტემბერში ქ. ბაქოში, პროექტში მონაწილე მხარეების სამუშაო შეხვედრები გაიმართა. საქართველოს მხრიდან IT მიმართულებით სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია.

საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის სამმართველო

საერთაშორისო რეიტინგები

„ბიზნესის კეთების სიმარტივის“ რეიტინგი (DB 2019)

საგადასახადო სფეროში გატარებული რეფორმების შედეგად, „გადასახადის გადახდის“ კომპონენტში შესაძლებელი გახდა რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების გაუმჯობესება (მოგებაში გადასახადების საერთო წილის 16.4%-დან 9.9%-მდე შემცირება; გადასახადების დეკლარირებისთვის დოკუმენტაციის მომზადებაზე, დეკლარაციების შევსებასა და გადასახადების გადახდაზე დახარჯული დროის 260 საათიდან 220 საათამდე შემცირება) და შედეგად, გადასახადის გადახდის კომპონენტში 22-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე დანიშნულება.

გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახურის მიერ, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის კოორდინაციით, ჩატარდა დიდი მოცულობის ანალიტიკური სამუშაო კითხვარების დამუშავებისა და შევსების კუთხით. ასევე მოხდა მიზნობრივი კომუნიკაცია ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან და მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მიღწეულ პროგრესს.

საერთაშორისო კვლევა - ISORA

შემოსავლების სამსახური ჩართულია საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) ახალ პროექტში ISORA (International Survey on Revenue Administration), რომელიც წარმოადგენს CIAT, IMF, OECD, IOTA-ს ერთობლივ პროდუქტს, რომლის მიზანი საერთო საინფორმაციო პლატფორმის (TIP) (Tax Administrations Information Platform) შექმნაა. ასეთი საინფორმაციო ბაზის არსებობა გაადვილებს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების პრაქტიკას. ISORA-ს პროექტის ფარგლებში პირველი კითხვარი

2016 წელს შეივსო, რომლის შედეგად 2014-2015 წლების მონაცემთა ბაზა შეიქმნა. პროექტის ფარგლებში, ქვეყნებს ორ წელიწადში ერთხელ ეგზავნებათ კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. ადმინისტრაციის ბიუჯეტი;
2. ადამიანური რესურსების მართვა;
3. გადასახადების ადმინისტრირება/ელექტრონული მომსახურება;
4. აუდიტი;
5. გადამხდელთა შერჩევა აუდიტისთვის;
6. დავები;
7. ვალის მართვა.

ორმხრივი თანამშრომლობა

იტალია



2016 წლის ივნისში, საქართველო შეუერთდა საგადასახადო ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BPES) პროექტის ინკლუზიურ პლატფორმას, რომლის წევრობითაც აიღო ვალდებულება პრაქტიკაში დანერგოს BPES-ის 15 ქმედებიდან 4 სავალდებულო ქმედება (საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შეფასება და მათი განეიტრალება, საგადასახადო შეთანხმებების ავტომატური გაცვლა (Exchange of Tax Rulings), სახელმწიფოთაშორისი ანგარიშების ავტომატური გაცვლა (County-by-country Reporting) და დავის მოგვარების ეფექტური მექანიზმების შემოღება (MAP)).

შესაბამისად, 2018 წლის ბოლოს შემოსავლების სამსახურმა დაიწყო მოლაპარაკებები იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციასთან BEPS-ის პროექტის მე-14 ქმედებით გათვალისწინებული ურთიერთშეთანხმების პროცედურების (Mutual Agreement Procedures - MAP) საქართველოში იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. MAP-ი არის დავების მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი, რომლის დანერგვის ვალდებულება საქართველოს აქვს ინკლუზიური პლატფორმის (Inclusive Framework) წევრობით. იტალიას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება MAP-ის და APA-ს განხორციელების კუთხით, შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დანერგვის პროცესში გამოცდილი პარტნიორის პრაქტიკისა და რეკომენდაციების გაზიარება. ამასთანავე, პროექტი შესაძლებლობას აძლევს შემოსავლების სამსახურს გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს იტალიის საგადასახადო ადმინისტრაციასთან.



აშშ

2018 წელს, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეთხოვა 1988 წლის საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ მრავალმხრივი კონვენციის დამატებითი ოქმის ამოქმედება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შეერთებულ შტატებსა და საქართველოს საგადასახადო უწყებებს შორის, საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა.

2018 წლის ბოლოდან მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას და კონვენცია ამოქმედდა საქართველოსა და შვედეთს შორის 2011 წლის 1 ივნისიდან, საქართველოსთვის კონვენციის დამატებით პროტოკოლზე მხარეთების მომენტიდან.

ბელგია



შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების მართვის მიმართულებით ჩართულია საგადასახადო ადმინისტრაციითა ფორუმის Peer to Peer Advise პროექტში. პროექტის ფარგლებში, სამსახურს დახმარებას უწევს ბელგიის საგადასახადო ადმინისტრაციის ვალის მართვის ჯგუფი. შემოსავლების სამსახურს ეწვია ბელგიის საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და თანამშრომლებს გაუზიარა ბელგიის გამოცდილება. პროექტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება ბელგიელი ექსპერტების მიერ და მათი მიდგომების გაცნობა. საგადასახადო დავალიანების მართვის მიმართულების გაძლიერება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ სამსახურმა 2018 წელს დაამტკიცა საგადასახადო დავალიანების მართვის სტრატეგია, რომლის მიზანს არსებული დაგროვილი დავალიანების შემცირება და მომავალში დავალიანების აღკვეთის პრევენცია წარმოადგენს.

გერმანია



2017 წლის ნოემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურ ფაზაში შევიდა AEOI Pilot Project - გრძელვადიანი ტექნიკური დახმარების პროგრამა გერმანიის ფინანსთა ფედერალურ სამინისტროსა და ცენტრალურ საგადასახადო სამსახურთან. პროგრამა სრულად ფინანსდება გერმანიის მთავრობის მიერ და მას აღასრულებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საქართველოს წარმომადგენლობა. პროექტს ადმინისტრირებას გააძვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum on Transparency and Exchange of Information) სამდივნო უწევს.

პროგრამის მიზანია, დიდი ოცეულისა (G20) და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისათვის“ (OECD) ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის გლობალური სტანდარტის (Common Reporting Standard) დანერგვაში საქართველოსთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც 2020 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, თანამშრომლობა მრავალვექტორიანია და მოიცავს საქართველოსთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას შემდეგ საკითხებში:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ბაზის სრულყოფა;
- შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა დატრენინგება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლების დატრენინგება და მათთან კონსულტაციების გამართვა დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი პროცედურებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის შემუშავება/შეძენა;
- IT ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების ინსტალირება/შეძენა.

ორმხრივი მემორანდუმები

ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულებები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ყირგიზეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

უცხოური დელეგაციების ვიზიტი

შემოსავლების სამსახურს, გატარებული რეფორმებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, წლის განმავლობაში ეწვია სომხეთის, საუდის არაბეთის, ყირგიზეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სიერა-ლეონეს საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

თბილისში განხორციელებული საერთაშორისო შეხვედრები

მაღალი დონის პოლიტიკური შეხვედრა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის წევრი სახელმწიფოებისთვის - „საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის გამოწვევები: გადასახადების თავიდან არიდებისა და დამალვის წინააღმდეგ ბრძოლა“.

2018 წლის 17-18 ივლისს, თბილისში გაიმართა მაღალი დონის პოლიტიკური შეხვედრა საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით: „საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის გამოწვევები: გადასახადების თავიდან არიდებისა და დამალვის წინააღმდეგ ბრძოლა“.

შეხვედრას ესწრებოდა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 20 სახელმწიფოს 70-ზე მეტი წარმომადგენელი. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ მოწვეული სახელმწიფოების პარლამენტარები, ფინანსთა სამინისტროების, საგადასახადო ადმინისტრაციებისა და ეროვნული ბანკების ხელმძღვანელები. შეხვედრის თანაორგანიზატორები იყვნენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი (Global Forum), ხოლო ფინანსური მხარდაჭერა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) განახორციელა.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (Common Reporting Standard) დანერგვის, საგადასახადო ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტით გათვალისწინებული საკითხების იმპლემენტაციის პროცესში მათ გამოცდილებასა და გამოწვევებზე.

ასევე, ხაზი გაესვა რეგიონალური თანამშრომლობის მნიშვნელობას, გამოცდილების გაზიარებას გადასახადების თავიდან არიდებისა და დამალვის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის.

2018 წლის 24-26 აპრილს, შემოსავლების სამსახურმა უმასპინძლა IOTA-ს ეგიდით გასამართი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას თემაზე: „გადასახადის გადამხდელის მომსახურების უახლესი შესაძლებლობები და სამომავლო ტენდენციები“. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო წევრი საგადასახადო ადმინისტრაციების 53-მა წარმომადგენელმა. ამასთან, 2018 წლის 23-24 მაისს, თბილისში, შემოსავლების სამსახურმა თბილისში აღმასრულებელი საბჭოს რიგით 112-ე შეხვედრას უმასპინძლა.

თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან

IOTA

შემოსავლების სამსახური არის საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდაევროპული ორგანიზაციის (შემდგომში IOTA) წევრი და აქტიურად მონაწილეობს მისი ეგიდით გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში, ყოველწლიურად მასპინძლობს IOTA-ს ღონისძიებებს, აქტიურად ერთვება IOTA-ს წების მიერ ახალ წამოწყებაში. ორგანიზაციის საქმიანობაში შემოსავლების სამსახურის აქტიურმა ჩართულობამ და შექმნილმა პოზიტიურმა იმიჯმა განაპირობა 2018 წელს, ბრატისლავაში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე სამსახურის, მეორედ, ერთი წლის ვადით (2018-2019) IOTA-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრად არჩევა. ამასთან, შემოსავლების სამსახური წარმოდგენილია IOTA-ს ეგიდით შექმნილ რამდენიმე მმართველ ჯგუფში.

საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმი (FTA)

საქართველო გახდა საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმის წევრი. FTA გახლავთ OECD-ის საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმი, რომელიც შეიქმნა 2002 წელს და შედგება 50-მდე OECD-ის და არა OECD-ის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ადმინისტრაციებისგან, მათ შორის, დიდი ოცეულის (G20) სახელმწიფოების ადმინისტრაციებისგან. ეს გახლავთ საგადასახადო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელების უნიკალური ფორუმი, რომლის მიზანი და ხედვაც არის მთელ მსოფლიოში საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების გაუმჯობესება, კომუნიკაციის, განხილვებისა და მოქმედების შესაძლებლობის მიცემის გზით.

ფორუმი საგადასახადო უწყების ხელმძღვანელ პირებს აძლევს შესაძლებლობას, განიხილონ გლობალური ტენდენციები, შეიმუშაონ ახალი იდეები, გაუზიარონ ერთმანეთს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა და ერთობლივი ძალებით გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს. იხ: <http://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/>

IMF

შემოსავლების სამსახურში, 2012 წლიდან 2018 წლამდე, ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმების მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის ექსპერტები მუშაობდნენ.

2017 წელს შემოსავლების სამსახურსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად დაიწყო სავალუტო ფონდის მიერ დაფინანსებული შემოსავლების მობილიზაციის ტექნიკური დახმარების სამ-წლიანი პროექტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2017-2020 წლებში, შემოსავლების სამსახურში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზიდენტმა მრჩეველმა მუშაობა დაიწყო.

2018 წელს, ტექნიკური დახმარების პროგრამით, შემოსავლების სამსახურში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოკლევადიანი მრჩეველები, რათა ადგილობრივად მომუშავე მრჩეველის მიერ განეული საქმიანობა სპეციალიზებულ სფეროებში გამყარებულიყო.

Belt and Road tax Initiative (BRITACOM)

Belt and Road tax Initiative mechanism (BRITACOM) იქმნება საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის სამუშაო პლატოფორმა, რომლის მიზანია, შეავსოს არსებული საგადასახადო მექანიზმები, საერთაშორისო ორგანიზაციების სამოქმედო არეალები, რათა ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობას, საერთო საგადასახადო პრაქტიკის დანერგვასა და საგადასახადო ადმინისტრაციების შესაძლებლობების განვითარებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს საგადასახადო ადმინისტრაციებთან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობას, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებას.

საერთაშორისო დაბეგვრისა და ტრანსფერული ფასწარმოქმნის მიმართულებით (OECD TIWB) პროექტი

პროექტი, საგადასახადო ინსპექტორები საზღვრების გარეშე, ითვალისწინებს აუდიტის დეპარტამენტის საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების დაბეგვრის განყოფილების თანამშრომლების პრაქტიკულ დახმარებას შესაძლებელი კომპანიების შერჩევისა და შემოწმების პროცესში. პროექტის ფარგლებში, ექსპერტი საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების დაბეგვრის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, განიხილავს საქმეების ნაწილს, რომლებზეც იგეგმება ან/და მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება.

პროექტის ფარგლებში, ასევე ტარდება სემინარები საერთაშორისო კონტროლირებად ოპერაციებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელშიც შემოსავლების სამსახურის აუდიტის, ანალიტიკური და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები იღებენ მონაწილეობას.

GIZ სექტორული ტრენინგი (TOT)

პროექტის მიზანია, ტრენერად მოამზადოს შემოსავლების სამსახურის 15-მდე თანამშრომელი კონკრეტული სექტორების შემოწმებისათვის; კერძოდ: მაღალი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების შემოწმება, საერთაშორისო კომპანიების მოქმედი ქვედანაყოფების მუდმივ დაწესებულებად კვალიფიკაცია და ფინანსური სექტორის შემოწმება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ორი მისია და ექსპერტები, ორნახევარი კვირის განმავლობაში ამ მიმართულებით გადიოდნენ ტრენინგთან დაკავშირებულ სპეციფიურ საკითხებს, ასევე, განიხილავდნენ პრაქტიკულ შემთხვევებს და უზიარებდნენ მიღებულ გამოცდილებას. აუდიტორები გაეცნენ აუდიტის ჩატარების შემდგომ მიღებული ინფორმაციის მათემატიკური ანალიზის მეთოდებს. პროექტის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია ვიზიტი გერმანიის საგადასახადო ადმინისტრაციაში, სადაც მსმენელებს ჩაუატარდებათ ტრენინგი მათთვის აქტუალურ საკითხებზე და სერტიფიკატები გადაეცემათ.

GIZ ინსტიტუციონალური გაძლიერება

GIZ-ის მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურმა დაიწყო სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული პროექტი, რომელიც ხორციელდება PMO ექსპერტების დახმარებით. პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახური შეიმუშავებს 2019-2020 წლის სტრატეგიულ გეგმას და შეფასების მექანიზმებს.

ასევე, სამსახურის 50-ზე მეტი მენეჯერი დატრენინგდება.

BEPS

საქართველო შეუერთდა BEPS-ის ინკლუზიურ პლატფორმას, რითაც აიღო მინიმალური სტანდარტის დანერგვის ვალდებულება, გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის OECD-ის 1-ლი, მე-6, მე-10 და მე-11 სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილი და სამუშაო შეხვედრებში იღებს მონაწილეობას.

BEPS-ის, CBC-ისთან (country-by country reporting) დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებში აქტიურად არის ჩართული შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი. ამ ეტაპზე დაწყებულია პირველი CBC ანგარიშების გაცვლა და მიმდინარეობის პროცესის დახვეწა, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით TOR-ის დოკუმენტში მოხდება ცვლილებების შეტანა. უნდა მომზადდეს შიდა საკანონმდებლო ჩარჩო, რათა CBC ანგარიშების მიღება განხორციელდეს. კანონმდებლობის მომზადება 2019 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფი (PRG)

2011 წელს, საქართველო შეუერთდა და გახდა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი. 2014 წელს საქართველო, 5 წლის ვადით Global Forum-ის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფ-ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის (Peer Review Group) წევრად აირჩიეს. აღნიშნული ჯგუფი, 30 წევრი სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან შედგება და ახორციელებს ორგანიზაციის 130-ზე მეტი სახელმწიფოს გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის კანონმდებლობის, ასევე, მისი პრაქტიკული ასპექტების შეფასებას საერთაშორისო სტანდარტთან მიმართებით. ამ ხნის განმავლობაში, საქართველომ მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტი სახელმწიფოს ანგარიშის მომზადებასა და განხილვაში, ხოლო 2018 წელს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი იყო ლუქსემბურგის შემფასებელი ექსპერტი. ამას გარდა, გლობალური ფორუმის შემფასებელი ექსპერტის კვალიფიკაცია სამსახურის რამდენიმე თანამშრომელმა მიიღო.

ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სამუშაო ჯგუფი (AEOI)

2015 წლიდან, შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული Global Forum-ის ავტომატური გაცვლის სამუშაო ჯგუფში. შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში, შემოსავლების სამსახური აქტიურად განაგრძობდა მუშაობას AEOI ჯგუფში და მონაწილეობდა ჯგუფის მანდატის ფარგლებში, გლობალური ფორუმის წევრი სახელმწიფოების კონფიდენციალურობის დაცვის შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვებში. შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული OECD-ის მე-10 სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, როგორც AEOI ჯგუფის წევრი და მონაწილეობას იღებს მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლაში, საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის გლობალური სტანდარტის, სახელმწიფოთა მიერ მათი ეფექტური დანერგვისა და იმპლემენტაციის პროცედურების

შემუშავებაში.

2018 წლის განმავლობაში, შემოსავლების სამსახური აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული ჯგუფის საქმიანობაში და მონაწილეობა მიიღო 100-მდე სახელმწიფოს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შეფასებაში, ისევე, როგორც საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (Common Reporting Standard) გლობალური სტანდარტის სახელმწიფოთა მიერ დანერგვის მონიტორინგის პროცესში.

Good Governance Fund

შემოსავლების სამსახურში დაიწყო ახალი პროექტი - GGF, რომელსაც ახორციელებს PWC-ი (Price-waterhouseCoopers) ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის დაფინანსებით. პროექტმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურს ახალმიღებული მოგების გადასახადის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებში (ე.წ. ესტონური მოდელი) დახმარება გაუწია.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლის საანგარიშო პერიოდიდან გადასახადის გადამხდელებისათვის საკმაოდ წარმატებით დაინერგა და მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდელი, საგადასახადო შემონმების პროცესში, წარმოადგენს სიახლეს აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორებისათვის, შესაბამისად, იცვლება შემონმების სპეციფიკა, მონაცემების ანალიზი. პროგრამამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სამსახურს დიდი მონაცემების დამუშავების და ფულის გათეთრების/სათამაშო ბიზნესის რეგულაციებთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობდა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) უახლესი რეკომენდაციებიდან.


CEF

ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სლოვენიაში, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში, მიმდინარე სწავლებებსა და სემინარებში მონაწილეობას იღებენ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის იანვრიდან დღემდე სლოვენიაში, CEF მიერ გამართულ ღონისძიებებში, ჰოლანდიური მხარის დაფინანსებით, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით, 15 თანამშრომელი იქნა მივლინებული. სამუშაო შეხვედრების ძირითადი ნაწილი მონაცემების ანალიზისა და საგადასახადო შემონმების სპეციფიკას ეთმობოდა.

USAID-G4G

შემოსავლების სამსახურში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ე.წ. მულტიპლიკაციური რგოლების შექმნა, ამასთან, ბიჰევიორისტული თეორიების თაობაზე გამოცდილების გაზიარების კუთხით, მიმდინარეობს მუშაობა ექსპერტებთან ერთად, რომლებსაც ამ მიმართულებით აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობის გამოცდილება. ასევე, პროექტის ფარგლებში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე სისტემატური დიალოგი მიმდინარეობს.





აუდიტის დეპარტამენტი



კაკია კილაძე

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი


მოგესალმებით, მეგობრებო! მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება, წარმოგიდგინოთ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში. 2018 წელი აუდიტის დეპარტამენტისთვის, კიდევ ერთი წარმატებული წელი გახლდათ. იყო მრავალი გამოწვევა და სიახლე. მოხარული ვარ, რომ წარმოვადგენ იმ გუნდს, რომლისთვისაც პრიორიტეტული მიმართულება არის და მომავალშიც იქნება, საგადასახადო შემონმების პროცესში, როგორც გადასახადის გადამხდელის კანონიერი უფლებების, ასევე, სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, გადასახადის გადამხდელების მეტი ჩართულობა, საგადასახადო შემონმების პროცესის დაწყებიდან მის დასრულებამდე. წინასააუდიტო ანალიზის სტადიაზე გამოკვეთილ საგადასახადო რისკებზე რეაგირებით, საგადასახადო შემონმების ეფექტურად და შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარება. აუდიტის დეპარტამენტის მისიის განხორციელებაში უმთავრესი წვლილი შეაქვს პროფესიონალთა გუნდს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ისინი გამორჩევიან პროფესიონალიზმით, გუნდურობით, კეთილსინდისიერებითა და ინოვაციურობით. ჩვენ, ყველას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა გვაერთიანებს და ამ სულისკვეთებით ვაგრძელებთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

დარწმუნებული ვარ, 2019 წელი კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინო წარმატებისა და სასიკეთო შედეგების მიღწევის წელი იქნება.

დასრულებული საგადასახადო შემოწმებები


- 2018 წლის განმავლობაში, აუდიტის დეპარტამენტში დაინიშნა სულ 4,656 საგადასახადო შემოწმება. მათ შორის: გასვლითი - 994 შემოწმება, კამერალური სრული - 1075 შემოწმება; თემატური - 2,587 შემოწმება.
- 2018 წელს დასრულდა 4,061 საგადასახადო შემოწმება (გასვლითი - 992 შემოწმება, კამერალური - 873 შემოწმება; თემატური - 2,196 შემოწმება).
- მათ შორის, 2018 წელს დაწყებული შემოწმებებიდან დასრულდა 3602 (გასვლითი - 827; კამერალური სრული - 612; კამერალური თემატური - 2 163).

2018 წელს დანიშნული შემოწმებების რაოდენობა				2018 წელს დაწყებული შემოწმებებიდან რამდენი დასრულდა				2018 წელს დაწყებული შემოწმებებიდან ძალადაკარგული შემოწმებები			
სულ	გასვლითი	კამერალური		სულ	გასვლითი სრული	კამერალური		სულ	კამერალური		
		სრული	თემატური				თემატური		გასვლითი	სრული	თემატური
4,656	994	1075	2,587	3,602	827	612	2,163	34	1	3	30



- 2018 წლამდე დაწყებული შემონმებებიდან, 2018 წელს 459 საგადასახადო შემონმება (გასვლითი - 165 შემონმება, კამერალური 261 - შემონმება; თემატური - 33 შემონმება) დასრულდა.

2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით მიმდინარე შემოწმებების რაოდენობა				2018 წელს გადმოსული შემოწმებებიდან რამდენი დასრულდა			
სულ	გასვლითი	კამერალური		სულ	გასვლითი	კამერალური	
		სრული				სრული	თემატური
491	166	291	34	459	165	261	33




წინა წლებთან შედარება დასრულებული შემოწმებების ნაწილში

- 2016 წელს, აუდიტის დეპარტამენტის მიერ დასრულებულია 3,545 საგადასახადო შემოწმება (გასვლითი - 1,076; კამერალური - 859; თემატური - 1,610);
- 2017 წელს, დასრულებულია 3,774 საგადასახადო შემოწმება (გასვლითი - 1,194; კამერალური - 625; თემატური - 1,955);
- 2018 წელს, დასრულებულია 4,061 საგადასახადო შემოწმება (გასვლითი - 992; კამერალური - 873; თემატური - 2,196);

გემოაღნიშნულიდან ტრანსფერფრაიზინგის მიერ 2016 წელს დასრულებულია 12 შემოწმება; 2017 წელს დასრულებულია 16 შემოწმება; 2018 წელს დასრულებულია 14 შემოწმება.


შემოწმება	2016		2017		2018	
	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
გასვლითი	1 076	169 537	1 194	164 042	992	232 420
კამერალური	859	161 097	625	142 398	873	178 546
თემატური	1 610	36 211	1 955	62 609	2 196	221 446
სულ	3 545	366 845	3 774	369 049	4 061	632 412
ტრანსფერფრაიზინგი	12	3 692	16	2 154	14	135 199



დასრულებული 4,061 საგადასახადო შემოწმებიდან 464 გადასახადის გადამხდელს არ დაერიცხა ან შეუმცირდა თანხები

სულ	0>	0-10,000	10,000 - 100,000	100,000 - 500,000	500,000 - 1,000,000	1,000,000 >
გასვლითი შემოწმებები						
992	102	197	290	299	60	44
100%	10.3%	19.9%	29.2%	30.1%	6.1%	4.4%
კამერალური შემოწმებები						
873	28	323	274	174	37	37
100%	3.2%	37.1%	31.4%	19.9%	4.2%	4.2%
თემატური შემოწმებები						
2,196	37	889	1,098	147	14	11
100%	1.7%	40.5%	50%	6.7%	0.6%	0.5%
სულ						
4,061	167	1,409	1,662	620	111	92
100%	4.1%	34.7%	40.9%	15.3%	2.7%	2.3%

დასრულებული შემოწმებები დარიცხული თანხების ჭრილში




დავის განხილველი ორგანოს გადაწყვეტილების შედეგი

2018 წელს, აუდიტის დეპარტამენტის მიერ, აღსრულებულია დავების განხილველი ორგანოებიდან შემოსული 1,326 გადაწყვეტილება, სხვადასხვა წლებში საგადასახადო შემონმების აქტებით დარიცხულ თანხებზე:

- შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭო - 1,239 გადაწყვეტილება;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 68 გადაწყვეტილება;
- სასამართლოს 19 გადაწყვეტილება.

2018 წლამდე და 2018 წელს შედგენილი საგადასახადო შემონმების აქტებით დარიცხული თანხებიდან (ძირითადი -189 მლნ ლარი; ჯარიმა - 245 მლნ ლარი; სულ - 434 მლ.ლარი) სულ შემცირდა 174 მლნ.ლარი (ძირითადი - 37 მლნ.ლარი; ჯარიმა - 137 მლნ.ლარი).




მონიტორინგის სამმართველო

2018 წელს, აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო მონიტორინგის სამმართველოს მიერ, **205** გადასახადის გადამხდელის მიმდინარე კონტროლის პროცედურები დასრულდა. აქედან, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (სმფ) ინვენტარიზაცია - 102; საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზება - 56; მონიტორინგი - 5; დათვალიერება - 10; სალაროს ინვენტარიზაცია - 21; ქრონომეტრაჟი - 2; ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია - 9; შერჩევითი ინვენტარიზაცია - 0. დარიცხულმა თანხამ შეადგინა **12,542** ლარი.

N	ლონისძიება	რ-ბა	დარიცხული თანხა
1	დათვალიერება	10	
2	სმფ-ის ინვენტარიზაცია	102	12,542
3	მონიტორინგი	5	
4	ქრონომეტრაჟი	2	
5	საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზება	56	
6	სალაროს ინვენტარიზაცია	21	
7	შერჩევითი ინვენტარიზაცია	0	


მედიაციის სამმართველო

2018 წლის განმავლობაში, აუდიტის დეპარტამენტში, საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტებზე სულ შემოსულია 529 პრეტენზია. მათ შორის:





გადახდულთა კრედიტების განხილვის თანხობრივი შედეგი




ხარისხის კონტროლის სამმართველო

2018 წლის განმავლობაში, აუდიტის დეპარტამენტის ხარისხის კონტროლის სამმართველოში შემოსულია **878** დავალება; განხორციელდა **844** აქტის პროექტის ხარისხის კონტროლი; ზოგიერთ შემთხვევაში, აუდიტის დეპარტამენტში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებების აქტების პროექტებით დარიცხულმა თანხებმა, ხარისხის კონტროლის სამმართველოს რეკომენდაციით, ცვლილება განიცადა; ხარისხის კონტროლის საფუძველზე, ბიუჯეტის სასარგებლოდ **დამატებით დარიცხულმა** თანხამ **17,393,012** ლარი შეადგინა, ხოლო **შემცირებულმა** თანხამ სულ **4,225,407** ლარი შეადგინა.

2016, 2017, 2018 წლების პერიოდებში, ხარისხის კონტროლის საფუძველზე დამატებით დარიცხული/შემცირებული თანხების შედარებითი ანალიზი აქტის პროექტების მიხედვით, დარიცხულ ჯამურ თანხასთან მიმართებაში შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	ხარისხის კონტროლის დაქვემდებარება აქტის პროექტების რაოდენობა	ხარისხის კონტროლს დაქვემდებარებული პროექტებით დარიცხული თანხა ჯამურად	სადაც პროექტების რაოდ. სადაც შეიცვალა დარიცხული თანხები	ხარისხის კონტროლის შედეგად დამატებით დარიცხული თანხა	ხარისხის კონტროლით განხორციელებ. შემცირებები	პროცენტული მაჩვენებელი აქტის პროექტებით დარიცხულ ჯამურ თანხასთან	
						დამატებით დარიცხული თანხების	დამატებით შემცირებული თანხების
2016	1,190	135,730,666	394	2,568,896	-3,375,608	1.89%	2.49%
2017	1,158	129,701,594	460	4,521,525	-3,397,696	3.49%	2.62%
2018	844	102,132,977	353	17,393,012	-4,225,407	17.03%	4.14%

კერძოდ, გამოვლინდა, რომ 2018 წელს ხარისხის კონტროლის შედეგად დამატებით დარიცხული/შემცირებული თანხების პროცენტული მაჩვენებელი, შესაბამისი აქტის პროექტებით დარიცხულ ჯამურ თანხებთან (ძირითადი თანხა + ჯარიმა) მიმართებაში გაზრდილია:




ხარისხის კონტროლის სამმართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, აქტის პროექტების ხარისხის დონის ამაღლება. ამ მიზნით, სამმართველოში მუშავდება განვლილ პერიოდებში ხარისხის კონტროლს დაქვემდებარებული საგადასახადო შემოწმებების აქტების პროექტებში **აღმოჩენილი განმეორებადი უზ-**

უსტოხები და, შესაბამისად, განმეორებადი შინაარსობრივი შეფასებები. ხორციელდება მათი ანალიზი და აღმოფხვრის გზებზე მუშაობა. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, შესაბამისი სიტუაციური სახელმძღვანელოს მოსამზადებლად, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტს ეცნობება.

2018 წლის განმავლობაში, მეტი ინტენსივობით გამოვლენილი უზუსტობების სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, კონკრეტული უზუსტობის შემთხვევის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობა, დასრულებული ანგარიშების მთლიან რაოდენობასთან, წინა წლების მონაცემებთან მიმართებაში, გვაძლევს შემდეგ სურათს:

N	თემა	2016	2017	2018
1	ჯარიმის არასწორი გამოთვლის შემთხვევები	7,70 %	15,63 %	21,21 %
2	დღგ-ის თემები	6,10 %	8,16 %	13,03 %
3	გამოსაქვითი ხარჯების არასწორი გამოთვლა	5,70 %	8,81 %	9,60 %
4	ქონების გადასახადთან დაკავშ. შემთხვევები	5,50 %	5,70 %	8,41 %
5	საშემოსავლო გადასახადის არასრულყოფილი განგარიშება	2,85 %	2,51 %	6,64 %
6	შემოსავლების არასწორი განსაზღვრა	5,29 %	7,86 %	5,92 %
7	ტექნიკური ხარვეზი	3,90 %	2,79 %	3,20 %

ზემოთ მოყვანილი, სენსიტიური თემების პროცენტული მაჩვენებლები 2016, 2017 და 2018 წლების განმავლობაში დასრულებულ (შესაბამისად, 1190,1158 და 844) ანგარიშებთან მიმართებაში, გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



2018 წელს, შესამჩნევად გაზრდილია ჯარიმის არასწორი გამოთვლის, დღგ-ის თემების, გამოსაქვითი ხარჯების და სხვა შემთხვევათა რაოდენობები.

ტრანსფერფრაიზინგის განყოფილება

2018 წელს, აუდიტის დეპარტამენტის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) განყოფილების მიერ, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ), World Bank Group და IFC ორგანიზაციების დახმარებით, განყოფილების თანამშრომლები წამყვანი ევროპული ეკონომიკური ორგანიზაციების OECD და IOTA ეგიდით გამართულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობას იღებდნენ. განყოფილების თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი OECD-ის სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. განეული სამუშაოს შესახებ, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისთვის პერიოდულად ხდება შესაბამისი ანგარიშის მომზადება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება.

აღსანიშნავია, განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობა BEPS ღონისძიებათა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში.

აუდიტის დეპარტამენტის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების (ტრანსფერფრაიზინგი) განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შეხვედრებში, სადაც მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, მნიშვნელოვანია საქართველოში საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

აპრილის თვე: OECD-ის მე-6 სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრის ძირითადი საკითხი იყო ფინანსური ტრანზაქციების და სატრანსფერო ფასწარმოქმნის ურთიერთმიმართება, ასევე მაღალი ღირებულების არამატერიალური აქტივების შეფასების მიდგომები, მოგების გაყოფის მეთოდის და შიდა ჯგუფური მომსახურების ახალი სახელმძღვანელო მიდგომები.

მაისის თვე: ქ. ვენაში (ავსტრია) სამუშაო შეხვედრა თემაზე „საბაზრო პრინციპის გამოყენება: სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესადარისი მონაცემების მოძიება“ გაიმართა. პლატფორმამ გადასახადებზე თანამშრომლობის (PCT), რომელიც არის - საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაერთიანებული ერებისა (UN) და მსოფლიო ბანკის ჯგუფის გაერთიანებული ინიციატივა - გამოაქვეყნა ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რათა საგადასახადო ბაზა უკეთ დაიცვან.

ივლისის თვე: ქ. ანკარის მრავალმხრივ საგადასახადო ცენტრში, სამუშაო შეხვედრა თემაზე „საგადასახადო ბაზის ეროზია და მოგების გადატანა“ (BEPS) გაიმართა. მოწვეულმა ექსპერტებმა კანადიდან, ესპანეთიდან და ეგო-დან მონაწილეებს პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარეს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კუთხით, მულტინაციონალური კომპანიების საგადასახადო შემოწმება.



ნოემბრის თვე: OECD-ის მე-6 და მე-11 სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ძირითადი საკითხი იყო ფინანსური ტრანზაქციების და სატრანსფერო ფასწარმოქმნის ურთიერთმიმართება, ასევე მაღალი ღირებულების არამატერიალური აქტივების შეფასების მიდგომები, მოგების გაყოფის მეთოდის და შიდა ჯგუფური მომსახურების ახალი სახელმძღვანელო მიდგომები. განხილულ იქნა აგრესიული საგადასახადო დაგეგმვის თემები.

დეკემბრის თვე: ქ. ანკარაში, სამუშაო შეხვედრა თემაზე - ტრენერების მომზადება BEPS-სა და სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრობლემებზე გაიმართა. მოწვეულმა ექსპერტებმა, პრაქტიკაში არსებული საქმეების მიხედვით, მონაწილეებს მულტინაციონალური საწარმოების, აუდიტის დროს წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს.

2018 წლის ნოემბრის ბოლოს, შემოსავლების სამსახურის მიერ, შეიქმნა ამაღეუსის მონაცემთა ბაზაზე წვდომის ერთნაირი უფლება, რამაც საგადასახადო შემოწმებების ხარისხის ამაღლებას ხელი შეუწყო.

2018 წელს, ტრანსფერფრაიზინგის განყოფილებაში სულ **16** შემოწმება დაინიშნა, აღნიშნულიდან დასრულდა **14** შემოწმება. დარიცხულმა თანხამ სულ **134,164,240** ლარი შეადგინა.



2. საბადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო

2018 წლის ივლისის თვიდან **3,598** გადასახადის გადამხდელს **510,477,785** ლარი დაუბრუნდა (მათ შორის დღგ-ის თანხა **497,971,517** ლარი დაუბრუნდა **1,222** გადამხდელს);

2018 წლის ივლისის თვიდან (აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხილული) **1,714** გადასახადის გადამხდელს **284,002,561** ლარი დაუბრუნდა (მათ შორის დღგ-ის თანხა **280,626,853** ლარი დაუბრუნდა **590** გადამხდელს).

შემოსული განცხადებები (რაოდენობა)	შემოსული განცხადებები (თანხა)	მათ შორის დღგ (რაოდენობა)	მათ შორის დღგ (თანხა)	განხილვის პროცესშია (დღგ-ის ნაწილი)	
		ავტომატური დაბრუნების გარეშე			
7 106	739 040 301	2 390	625 724 842	29	1 471 766

ავტომატური დაბრუნება (რაოდენობა)	ავტომატური დაბრუნება (თანხა)	მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (რაოდენობა)	მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (თანხა)	მათ შორის დღგ+tax free (რაოდენობა)	მათ შორის დღგ+tax free (თანხა)
233	50 572 999	3 462	465 806 739	1 100	454 934 810

დაბრუნებულია სულ (რაოდენობა, ხაზინის მონაცემებით)	დაბრუნებულია სულ (თანხა, ხაზინის მონაცემებით)	დაბრუნებულია სულ მათ შორის დღგ (რაოდენობა, ხაზინის მონაცემებით)	დაბრუნებულია სულ მათ შორის დღგ (თანხა, ხაზინის მონაცემებით)
3 598	510 477 785	1 222	497 971 517

2018 წლის ივლისის თვიდან 3,598 გადასახადის გადამხდელს დაუბრუნდა **510,477,785** ლარი (მათ შორის დღგ-ის თანხა **497,971,517** ლარი დაუბრუნდა **1,222** გადამხდელს)

2018 წლის ივლისის თვიდან (აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხილული) **284,002,561** ლარი დაუბრუნდა **1,714** გადამხდელს (მათ შორის დღგ-ის თანხა **280,626,853** ლარი დაუბრუნდა **590** გადამხდელს)


გატარებული ღონისძიებები 2018 წლის განმავლობაში:

1. აუდიტის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს საგადასახადო დეკლარაციების კონტროლის განხორციელებისა და გადამხდელთა მოთხოვნის დამუშავების სამმართველო დამატა;
2. აუდიტის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ვაკანტური თანამდებობების შევსების მიზნით გამოცხადებული კონკურსის და გასაუბრების შედეგად, სხვადასხვა დეპარტამენტებიდან აუდიტის დეპარტამენტში 58 თანამშრომელია გადმოყვანილი;
3. აუდიტის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის შედეგად, მიღებულია 71 სტაჟიორი, რომლებიც აუდიტის დეპარტამენტის შიდა რესურსის ხარჯზე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ტრენინგებს გადიან. ამჟამად აუდიტის დეპარტამენტში 79 სტაჟიორი ირიცხება;
4. მომზადდა ტრენინგის თემების ნუსხა და აუდიტორებში გამოკითხვა ჩატარდა ტრენინგის საჭიროებათა გამოსავლენად;
5. განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა მიხედვით, დაიგეგმა და დაიწყო ტრენინგების ჩატარება;
6. 2018 წელს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში, ტრენინგი აუდიტის დეპარტამენტის 53-მა თანამშრომელმა გაიარა.

რა იგეგმება უახლოეს მომავალში:

- აუდიტორთა რიცხოვნობის გაზრდა 50 საშტატო ერთეულით;
- დამტკიცებული აუდიტის პროცესის რეგლამენტის მონიტორინგი;
- ფაქტობრივი გარემოებების კლასიფიკატორის შემუშავება (რომელიც იწვევს სამართალდარღვევას);
- ყველა სრული საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტის ხარისხის სამმართველოში გავლა;
- გადამხდელის ვებგვერდზე არსებული ჩანართის „აუდიტის გვერდის“ დანერგვა/ მონიტორინგი;
- აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა;
- აუდიტის სატრენინგო სისტემის გაძლიერება HR-თან თანამშრომლობით;
- ტრანსფერფრაიზინგის განყოფილების როლის გაძლიერება;
- საგადასახადო შემოწმების დროს არაპირდაპირი მეთოდით შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- საგადასახადო აუდიტის პროცესის სახელმძღვანელოს დანერგვა;
- „საქართველოში რეფორმების განხორციელებაში დახმარების (GGF) პროექტში“ (ესტონეთის გამოცდილების გაზიარებით) ჩართვა.





საინფორმაციო
ტექნოლოგიების
ცენტრი





ნოდარ კაკრიაშვილი

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის 2018 წლის ანგარიში.

ვინაიდან ციფრულ სამყაროში ყოველი წელი განსხვავებული გამოწვევებით და მოლოდინებით არის სავსე, ჩვენც, ჩვენი გუნდით ვცდილობთ ვიმოძრაოთ იმ არჩეული ვექტორის შესაბამისად, რომელიც შემოსავლების სამსახურმა სტრატეგიული გეგმის სახით წარუდგინა მოსახლეობას.

თითოეული პროექტი, რომელიც ჩვენი გუნდის მიერ 2018 წელს განხორციელდა, გარკვეულწილად გამოძახილია, ერთი მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიების და, მეორე მხრივ, სამსახურის ნათელი მოთხოვნის, რომ საგადასახადო და საბაჟო ბიზნესპროცესები საჭიროებს მუდმივ დახვეწას და სრულყოფას, ამ პროცესში, დიდი წვლილი სწორედაც რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს, სიახლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და ცვლილებებს უჭირავს.

ჩვენ, ჩვენი გუნდით ვცდილობთ, ყოველი პროექტი და ამოცანა შეძლებისდაგვარად დროულად და მაღალი ხარისხით მივანდოთ მომხმარებელს, რათა ბიზნეს-მიზანი დროულად იყოს მიღწეული და პროექტის ვადის, ხარისხის და ბიუჯეტის ბალანსი არ დაირღვეს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018 წელი, გარკვეულწილად, გარდამავალი წელი იყო, რადგან, ჩვენი ცენტრის შეზღუდული რესურსებისა და სამსახურის გაზრდილი ბიზნესმოთხოვნების ფონზე, გაიზარდა ისეთი IT - პროექტები, რომლებიც კერძო კომპანიების (Outsourcing) მიერ დაინერგა ან დანერგვა მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურში (მაგ: Microsoft CRM, Microsoft SharePoint - Intranet). ასევე, საგულისხმოა, რომ მიმდინარეობს თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან, რათა მოხდეს Blockchain-ტექნოლოგიების შესაძლებლობების ათვისება და საბაჟო-საგადასახადო სფეროში წარმატებით გამოყენება.

გადამხდელზე ორიენტირებული პროექტები:

● დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნება

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების ახალი პროექტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, დღგ-ის გადამხდელის მიერ დღგ-ის დეკლარაციის წარმოდგენის საფუძველზე წარმოქმნილი ზედმეტობის დაბრუნება განხორციელდეს ავტომატურად;

● ახალი საგადასახადო დოკუმენტი

გაერთიანებული დოკუმენტი წარმოადგენს, როგორც რეალიზაციის, ისე, ტრანსპორტირების დამადასტურებელ დოკუმენტს. ახალი ფორმა აერთიანებს: საგადასახადო ანგარიშფაქტურას (მ.შ ავანსი), სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას, ნავთობპროდუქტის სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას, სასაქონლო ზედნადებს (მ.შ. ხე-ტყე);

● განცხადების დათვალიერება სმს - ბმულიდან

ყოველ რეგისტრირებულ განცხადებაზე იგზავნება სმს-შეტყობინება, რომელიც შეიცავს დამატებით ახალ ბმულს, რისი საშუალებითაც გადამხდელს შესაძლებლობა აქვს, Smart Phone-ის მეშვეობით და ავტორიზაციის გარეშე, დაათვალიეროს, როგორც რეგისტრირებული, ასევე, სამსახურის მიერ განხილული პასუხი;

● ელექტრონული განცხადების ფორმები

განხორცილდა „ჯკვიანი განცხადების ფორმების“ რეგისტრაცია/აღრიცხვის სისტემის მოდიფიცირება, რის შედეგადაც გადამხდელს შესაძლებლობა აქვთ, გადამხდელის პორტალიდან სხვადასხვა სამინისტროში (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო) წარადგინონ და მიიღონ წინასწარ დადგენილი განცხადების ფორმები;

● ფოკუს-ჯგუფების შესაბამისად შეფასებების გაგზავნა

განხორციელებული პროექტის შედეგად, გადამხდელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის მეთად რელევანტურია და წამოადგენს მის ინტერესს;



● აქტივობის რეესტრი

Eservice.rs.ge-ს დაემატა ახალი ფუნქცია (აქტივობის რეესტრი), კერძოდ, მთავარ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, დაათვალიეროს აქტივობა ე.წ Log - ები (ავტორიზაცია), რომელიც განხორციელდა აღნიშნული პროფილის მიმართ;

● ზოგადი ინფორმაცია

Eservice.rs.ge - ჩანართს „ზოგადი ინფორმაციას“ დაემატა ახალი ფუნქციები, კერძოდ, ჩანართში „ზოგადი ინფორმაცია“ განთავსდა მონაცემები: ავტომობილების, შენახვის ადგილის რეესტრის, ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების, აუქციონზე შეძენილი ნივთების შესახებ;

ასევე, უკვე შესაძლებელია <https://eservices.rs.ge> „სტუმრის“ სტატუსით ავტორიზაცია და სხვადასხვა მოდულების დათვალიერება;

● საბაჟო

საბაჟო პროცესების სრულყოფისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად ათვისების მიზნით, შეიქმნა სისტემა (ამ ეტაპზე საპილოტე ვერსია), რომელიც საშუალებას გვაძლევს, წარმოშობის სერტიფიკატების ინტეგრირება განვახორციელოთ Blockchain-სისტემაში. პარალელურად მიმდინარეობს სამუშაოები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან წარმოშობის სერტიფიკატების მიმოცვლის უზრუნველსაყოფად (არა Blockchain სისტემით);

● მცირე ბიზნესის სტატუსის მოთხოვნის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის დელეგირება საბაჟო სისტემისთვის

ასევე მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა შიდაუწყებრივი ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის და კონტროლის მექანიზმების დახვეწის მიზნით, მაგალითად:

- ❖ დეკლარირების კულტურის ამაღლების სისტემა;
- ❖ ყადაღის აღრიცხვის მოდული;
- ❖ ავტომობილის შემოსვლა/გასვლის აღრიცხვა-პორტი;
- ❖ ნაღდი ფულის ამოღების სიტემა;
- ❖ ლატარიის გადასახადის აღრიცხვის სისტემა;
- ❖ გრანტების აღრიცხვის ერთიანი ბაზა;
- ❖ აქციზურ მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევის მოდული;





- ❖ სატრანსპორტო საშუალებებზე აქციზური თანხების უკან დაბრუნების მოდული;
- ❖ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის გამარტივებული მოდული;
- ❖ ვადაგასული ან/და შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწმის მოდული.

ფუნქციონალის ცვლილება-გაუმჯობესება განხორციელდა არსებულ პროგრამულ მოდულებში, როგორებიცაა: საგადასახადო დავების აღრიცხვის მოდული; დოკუმენტების არქივის აღრიცხვის მოდული; ანალიტიკური რეპორტების წარმოების მოდული; მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მოდული; ფიქსირებული გადასახადის გადამხდელების სტატუსის მინიჭების მოდული; საბაჟო ექსპერტიზის აღრიცხვის მოდული; სამართალდარღვევების აღრიცხვის მოდული; საბაჟო ფორმა 222; საფოსტო გზავნილების აღრიცხვის მოდული; ფიტოსანიტარიული აქტების აღრიცხვის მოდული.

საბაჟო კუთხით მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება ციფრული სატრანსპორტო კორიდორების მხარდაჭერისა და ინტეგრაციისათვის. საქართველო მეგობარ ქვეყნებთან თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობს eTIR-ისა და NCTS სისტემებში ჩართვისათვის.







ანალიტიკური
დეპარტამენტი





გიორგი კატარიძე

ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, გადასახადების ნაწილში, გადაჭარბებით შესრულდა, რაც შემოსავლების სამსახურის ეფექტური მუშაობის და სწორად დაგეგმილი პრიორიტეტების შედეგია.

გადასახადების ადმინისტრირების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება და ნებაყოფლობითი კანონმორჩილების მაქსიმალური წახალისება, კვლავ რჩება ჩვენს ძირითად ამოცანად. გადასახადის გადამხდელთა საგადამხდელო კულტურის ამაღლება და აღნიშნულ პროცესში მათი წახალისების ახალი, ეფექტიანი გზების მოძიება მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ამავდროულად, აუცილებელია იმ რისკების მუდმივ რეჟიმში გამოვლენა და ეფექტიანი მართვა, რომლებიც აფერხებს ან საფრთხეს უქმნის დასახული ამოცანების მიღწევას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია შემოსავლების სამსახურში არსებული მუდმივად მზარდი მოცულობის, სხვადასხვა ფორმატში დაგროვებადი მონაცემების, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიდგომებით ანალიტიკურ ინფორმაციად გარდაქმნის პროცესის სრულყოფა, საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზების განვითარება და აღნიშნულის წარმატებული გამოყენება საგადასახადო რისკების მართვის მიმართულებით.

2018 წელს, საგადასახადო ორგანოს მიერ, გადასახადების ადმინისტრირებით მიღებული თანხა **10,966,316,175** ლარს შეადგენს, საიდანაც:

- ◆ ბიუჯეტის ანგარიშზე მობილიზებულია 10,506,316,175 ლარი, რომელიც, გადასახადების ნაწილში, საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების **დაზუსტებულ** საპროგნოზო მაჩვენებელს, 10,500,000,000 ლარს, 6,316,175 ლარით აჭარბებს;
- ◆ სხვა გადასახადების - ზედმეტად ან შეცდომით გადახდილ გადასახადებში, ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე მობილიზებულია **460,000,000.0** ლარი.

2018 წელს ბიუჯეტში მობილიზებული თანხების შედარება 2018 წლის „დაზუსტებულ გეგმასთან“ მიმართებაში

პერიოდი	გეგმა და ბიუჯეტში მობილიზებული თანხები			
	გეგმა	შესრულება	შედარება	
I კვარტალი	2,449,929,700	2,449,931,108	1,408	0.00%
II კვარტალი	2,575,832,300	2,575,833,470	1,170	0.00%
III კვარტალი	2,671,462,300	2,671,463,630	1,330	0.00%
IV კვარტალი	2,802,775,700	2,809,087,967	6,312,267	0.23%
სულ 2018 წელი	10,500,000,000	10,506,316,175	6,316,175	0.06%

ასევე, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ბიუჯეტში მობილიზებული თანხა 727 მილიონი ლარით გაიზარდა.

2018 წელს ბიუჯეტში მობილიზებული თანხების შედარება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

პერიოდი	ბიუჯეტში მობილიზებული თანხები			
	2017 წელი	2018 წელი	შედარება 2018/2017 წწ.	
I კვარტალი	2,376,419,023	2,449,931,108	73,512,084	3.09%
II კვარტალი	2,371,788,314	2,575,833,470	204,045,155	8.60%
III კვარტალი	2,457,239,190	2,671,463,630	214,224,440	8.72%
IV კვარტალი	2,573,501,802	2,809,087,967	235,586,165	9.15%
სულ 12 თვე	9,778,948,329	10,506,316,175	727,367,845	7.44%



2018 წელს სხვა გადასახადების - ზედმეტად ან შეცდომით გადახდილ გადასახადებში, ფაქტობრივად ჩარიცხული თანხებიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე, 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მოხილიზებულია 105,5 მილიონი ლარით მეტი.

სარეზერვო ქვეანგარიშზე მოხილიზებული თანხების დინამიკა				
პერიოდი	ბიუჯეტში მოხილიზებული თანხები			
	2017 წელი	2018 წელი	შედარება 2018/2017 წწ.	
I კვარტალი	95,000,000	90,000,000	-5,000,000	-5.3%
II კვარტალი	45,000,000	175,000,000	130,000,000	288.9%
III კვარტალი	3,500,000	50,000,000	46,500,000	1328.6%
IV კვარტალი	211,000,000	145,000,000	-66,000,000	-31.3%
სულ 12 თვე	354,500,000	460,000,000	105,500,000	29.8%

დაბრუნების ქვეანგარიშზე მოხილიზებული თანხებიდან 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, დაბრუნებულია 296 მილიონი ლარით მეტი.

სარეზერვო ქვეანგარიშიდან დაბრუნებული თანხების შედარება კვარტლების მიხედვით				
პერიოდი	სარეზერვო ქვეანგარიშიდან დაბრუნებული თანხები			
	2017 წელი	2018 წელი	შედარება 2018/2017 წწ.	
I კვარტალი	59,907,209	105,708,433	45,801,224	76%
II კვარტალი	46,826,876	120,766,991	73,940,115	158%
III კვარტალი	40,864,641	71,097,959	30,233,318	74%
IV კვარტალი	77,319,696	223,574,137	146,254,441	189%
სულ 12 თვე	224,918,422	521,147,520	296,229,098	132%

საქართველოს საგადასახადო კოდექსის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, ეტაპობრივად შემუშავდა შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ამარტივებს და სრულყოფილ სახეს აძლევს საგადასახადო ადმინისტრირების პროცესს.

დეკლარაციების დახვეწის და მათი ავტომატური კონტროლის უზრუნველსაყოფად განხორციელდა სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობა დამატებული ღირებულების, მოგების (განაწილებული), საშემოსავლო, წყაროსთან დასაკავებელი, აქციზისა და ფიზიკური პირებისთვის ქონების გადასახადების მიმართულებით.

ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების თაობაზე „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ ავტომატურ პროგრამულ ლოგიკაში შეიცვალა გადასახადის გადამხდელის შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელს კიდევ უფრო გაუმარტივდათ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცედურა.

დღგ-ის ავტომატური დაბრუნების კონცეფციასთან და დანერგვასთან დაკავშირებით განხორციელდა საბოლოო პროცედურების შეჯერება, რის საფუძველზეც 2019 წელს პროექტის ამოქმედება იგეგმება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 1. დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რისკების ლოგიკური მოდელის** პროგრამული უზრუნველყოფა დასრულებულია და ტესტირების ფაზაში გადადის;
- 2. დღგ-ის დეკლარაციების ვალიდაციის ლოგიკური მოდელის** პროგრამული უზრუნველყოფა დასრულების ფაზაზეა, რის საფუძველზეც განხორციელდა რისკების სეგმენტაცია და მათი გადანაწილება შესაბამის მოდულებში;
- 3. გადასახადის გადამხდელთა სიდიდის ჭრილში სეგმენტაციის მოდული** დაიწყო ორ ნაწილად: ავტომატური დათვლა და პროგრამით აღრიცხვა. მოდულის პირველი ნაწილი ტესტირების რეჟიმშია;
- 4. „თეთრი სიის“ მოდულის** კრიტერიუმების შედგენა დასრულებულია და ამ ეტაპზე იწყება პროგრამული უზრუნველყოფის მოდულის შექმნა;
- 5. რეგისტრაციისა და დღგ-ის ავტომატურ დაბრუნებაზე უარის თქმის მოდულზე** მიმდინარეობს კრიტერიუმების სრულყოფაზე მუშაობა;
- 6. დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროცესების აღრიცხვის პროგრამული მოდულის** პროგრამული უზრუნველყოფა დასრულებულია, რის საფუძველზეც შეიქმნა გეგმურად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმა (მწვანე ბარათი) - ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენიშვნების გათვალისწინება მისი სრულყოფისათვის, რომლის შემდეგაც პროცესები ტესტირების რეჟიმზე გადავა;
- 7. მეთოდოლოგია** დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროცესების აღრიცხვის ადმინისტრირებისათვის შემუშავებულია.

დაიწყო მუშაობა, როგორც ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი სუბიექტების სალიკვიდაციო პროცედურების განსაზღვრის პროექტზე, ასევე საგადასახადო რეგისტრაციის, არარეგისტრირებულთა გამოვლენის და დროული დეკლარირების პროგრამაზე.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებით და ქვეყნის ფარგლებში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე, 2018 წლის პერიოდში კონცეფცია საგადასახადო დანაკარგის დადგენის ალტერნატიულ მიდგომაზე შემუშავდა, რომლის პრაქტიკაში ასახვა შემდგომ წლებში იგეგმება.

ანალიტიკური საინფორმაციო ბაზების განვითარების მიმართულებით მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემის შექმნა დაიგეგმა.

პროექტის განხორციელება რვა ძირითად კომპონენტს ითვალისწინებს:

1. პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს, განმახორციელებელი და სამუშაო ჯგუფების განსაზღვრას;
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსაზღვრას;
3. ძირითადი ბიზნესპროცესების აღწერას და ანალიზს;
4. ბიზნესპროცესების შესაბამისად სამუშაო თემატიკის გადანაწილებას;
5. მონაცემთა ხარისხობრივი ანალიზის, საჭიროების შემთხვევაში შესატანი ფორმების შესწორებას/ვალიდაციის ინსტრუმენტების დამატებას;
6. მონაცემთა სანყოფის არქიტექტურის კონცეფციის ჩამოყალიბებას;
7. მონაცემთა ტრანსფორმაციას და სანყოფის მოდელის მონყოფას;
8. In-Memory BI მოდელის გადანყოფა/ჩამოყალიბებას.

აღნიშნული კომპონენტებიდან მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემის პროექტი, პროექტის განმახორციელებელი სამუშაო და პროექტში ჩართული ჯგუფები, ასევე პროექტის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსაზღვრის მიზნით, პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის მიერ, განხორციელდა საცავის არსებული შესაძლებლობების (სისწრაფე, მდგრადობა) ანალიზი, რის საფუძველზეც საცავის თანამედროვე ტექნოლოგიაში (in-memory) გადატანის საჭიროება დადგინდა.

განისაზღვრა BI პროექტის განმახორციელებელი გუნდის შემადგენლობა

შეიქმნა სამუშაოების განხორციელებისთვის და ბიზნესმოთხოვნების იდენტიფიცირებისთვის საჭირო მეთოდოლოგია. ბიზნესპროცესების გასაცნობად მოთხოვნების ფორმა და განვითარების პროცესის მეთოდოლოგია შემუშავდა. ინციდენტების აღრიცხვის და მართვის სისტემების, კოდის ვერსიის კონტროლის, კომუნიკაციის საშუალებების მეთოდოლოგია შემუშავდა. განისაზღვრა პროექტის მიზნები, მიახლოებითი ბიუჯეტი და შესრულების ვადები.

2018 წლის განმავლობაში, საგადასახადო რისკების მართვის კუთხით, 3,286 საგადასახადო შემოწმება დაინიშნა, მათ შორის: 2,412 კამერალური შემოწმება (260-სრული, 2 152-თემატური) და 874 გასვლითი საგადასახადო შემოწმება (314-სრული გასვლითი, 560-სრული გეგმით).

მიმდინარე კონტროლის პროცედურების განსახორციელებლად 396 ღონისძიება (სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია - 379, ქრონომეტრაჟი - 17) ჩატარდა.

2018 წლის 12 თვის განმავლობაში ლიკვიდაციის პროცესი 561-მა სუბიექტმა დაიწყო, ხოლო რეორგანიზაციის პროცესი 263 ორგანიზაციაში დაფიქსირდა.

111 ობიექტის მიმართ შესწავლის შედეგად, ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოწმება დაინიშნა.

მარეგისტრირებელ ორგანოს წერილობით ეცნობა 260 სუბიექტის სალიკვიდაციო საგადასახადო შემონმების ან/და ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ.

უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადამონმების მიზნით, 13 წერილი გაიგზავნა, ხოლო მათ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე 9 საპასუხო წერილი მომზადდა და გაიგზავნა.

გადასახადის გადამხდელის ზოგადი სტატისტიკური ანალიზისთვის რეგისტრაციის ბაზის პერიოდული დამუშავება განხორციელდა.

2018 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დამუშავდა დღგ-ის ბრუნვების შესახებ ინფორმაცია, როგორც გადასახადის გადამხდელის, ასევე, წლების ქრილში.

ყოველდღიურ რეჟიმში შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდა:

1. გადასახადის გადამხდელის მიერ, ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე;
2. სასაქონლო ზედნადებების კონტროლის და მის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია;
3. მიმდინარე კონტროლის პროცედურების შესახებ (ინვენტარიზაცია, დათვალიერება, ქრონომეტრაჟი, საკონტროლო შესყიდვა, სსა-ის კონტროლი) ინფორმაცია, სადაც გაშიფრულია მონაცემები გადამხდელის და გამოვლენილი სამართალდარღვევების მიხედვით;
4. უწყვეტ რეჟიმში განხორციელდა ბიუჯეტში მობილიზებული თანხების და გეგმის პარამეტრების შედარებითი ანალიზი.

2018 წელს, საგადასახადო დავალიანების მართვის პოლიტიკის მიმართულებით სულ - 4,334 გრაფიკა შედგენილი, თანხით - 105,825,090 ლარი; მათ შორის, უზრუნველყოფით - 373 გრაფიკი, თანხით - 79,396,919 ლარი, ხოლო უზრუნველყოფის გარეშე (50,000 ლარამდე) - 3,961 გრაფიკი, თანხით - 26,428,171 ლარი.

გრაფიკები		რაოდენობა	თანხა
2018 წელი		4,334	105,825,090
სულ უზრუნველყოფით		373	79,396,919
მათ შორის	საბანკო გარანტია	12	8,128,887
	სადაზღვევო გარანტია	5	640,075
	ქონება/თავდებობა	356	70,627,957
უზრუნველყოფის გარეშე		3,961	26,428,171

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამოიცა 3,582 ბრძანება, ხოლო ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ - 4,682 ბრძანება, დაფარულია 85,023,000 ლარი.

პერიოდი	ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანების გამოცემა		ქონებაზე ყადაღის დადების ბრძანების გაუქმება	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
იანვარი	153	3,488,484	210	12,814,000
თებერვალი	49	1,077,235	205	2,090,000
მარტი	177	3,149,197	164	4,166,000
აპრილი	181	2,731,364	275	2,027,000
მაისი	460	64,688,656	341	3,516,000
ივნისი	244	5,237,688	290	4,137,000
ივლისი	253	3,418,707	284	1,638,000
აგვისტო	453	33,970,994	285	14,326,000
სექტემბერი	437	29,660,042	1,690	16,659,000
ოქტომბერი	381	85,370,426	362	11,086,000
ნოემბერი	1	1,102,017	165	2,030,000
დეკემბერი	793	58,550,256	411	10,534,000
სულ	3,582	292,445,066	4,682	85,023,000

აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნილ იქნა 180 საგადასახადო დავალიანების მქონე გადამხდელის ქონების დაყადაღების მასალები. დავალიანების თანხა 30,367,330 ლარს შეადგენს.

განხილული ელექტრონული განცხადებები - 5,392

მათ შორის:

გრაფიკის თაობაზე - 4,824;

ყადაღის თაობაზე - 568.

განხილული კორესპონდენცია მატერიალური ფორმით - 6,194

მათ შორის:

შემოსული დოკუმენტი - 4,027;

შიდა დოკუმენტი - 1,596;

სამართლებრივი აქტი - 571.

2018 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საგადასახადო შეთანხმებების შესრულების მიზნით, ბიუჯეტში გადახდილია 43,556,943.51 ლარი.

2018 წელს, საგადასახადო დავალიანებისა და მოსაკრებლის თანხების შემცირების მიზნით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების თაობაზე სულ წარმოდგენილია 2,226 განცხადება.

ამჟამად განხილვაშია - 745 განცხადება. გადამხდელთა მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით, საგადასახადო შეთანხმების გაფორმება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა 1,151 შემთხვევაში. საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ დარღვევით იყო წარმოდგენილი 95 განცხადება, რასთან დაკავშირებითაც გადამხდელებს ეცნობათ ინფორმაცია აღმოჩენილი ხარვეზის თაობაზე.

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის“ შესაბამისად, შემდგომი პროცედურების გავლის მიზნით, ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა - 337 განცხადება. ზემოხსენებულთაგან შეთანხმების გაფორმების თაობაზე მიღებულია - 333 განკარგულება.

2018 წელს, დავალიანების შემცირების მიზნით, სულ გაფორმდა - 361 საგადასახადო შეთანხმების აქტი. არსებული დავალიანების - 101,275,682.51 ლარის ნაცვლად, შეთანხმებით გადასახდელი თანხა 48,183,730,33 ლარით განისაზღვრა.

მათ შორის: **გაუქმდა** - 39 საგადასახადო შეთანხმება, სულ არსებული დავალიანების - 5,647,134.27 ლარის ნაცვლად, საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელი თანხა შეადგენდა 2,418,527.42 ლარს.

დასრულებულია - 261 საგადასახადო შეთანხმება, რომლის შედეგადაც არსებული დავალიანება - 66,520,153.98 ლარი, შემცირდა 28,138,318.89 ლარამდე.

მიმდინარეა - 61 საგადასახადო შეთანხმება, გადამხდელთა მიერ საგადასახადო შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში სულ არსებული დავალიანება - 29,108,394.26 ლარი შემცირდება - 17,626,857.02 ლარამდე.

გადახდევინებისგან თავის არიდების გამოვლენის ფარგლებში, დროებით ამოუღებადი დავალიანების მართვის კუთხით, 2016 წლის 18 მაისის შემოსავლების სამსახურის უფროსის №13446 ბრძანებაში „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე, შეტანილია ცვლილებები, რომლის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე „დროებით ამოუღებადი დავალიანების“ ასახვის მიზნით, შესაბამისი პროგრამული მოდული შეიქმნა. საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიეცემა საშუალება, გამიჯნოს მრავალათასიანი საგადასახადო დავალიანების მქონე გადამხდელებიდან იმ გადამხდელთა საქმეები, რომელთა მიმართაც იმ პერიოდისთვის გატარებულია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ყველა შესაძლო ღონისძიება, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების/საგადასახადო ორგანოს მიერ ადმინისტრირებადი მოსაკრებლების გადახდევინებას.

აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს საგადასახადო ორგანოს მაქსიმალურად დროული და ეფექტური ღონისძიებები დაგეგმოს და გაატაროს.

გადასახადის გადამხდელთა ცრუმაგიერობასთან მიმართებაში ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების პროექტი. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, იცვლება სსკ-ის 246-ე მუხლი, რომელიც პირთა ცრუმაგიერობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. აღნიშნული ცვლილების შემუშავების მიზანია ხსენებულ მუხლში არსებული ხარვეზების გამოსწორება და ცრუმაგიერობის დადგენის პროცედურის ნათლად განსაზღვრა. არსებული რეგულაციით ცრუმაგიერობასთან დაკავშირებული სასამართლო დავა დაკავშირებულია ხანგრძლივ ვადებთან, ხოლო დროში გაწელილი სასამართლო დავა საზიანოა, როგორც ბიზნესისათვის, ვინაიდან საქმის წარმოება მოითხოვს დიდ დროსა და ფინანსურ რესურსებს, ასევე, საგადასახადო ორგანოსათვის, რადგანაც დროულად ვერ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ აუცილებელია ცრუმაგიერობის დავის შემჭიდროებულ/სპეციალურ გონივრულ ვადებში მოქცევა. წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, პირის ცრუმაგიერად აღიარების შესახებ სამართალწარმოება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელდება, რის უზრუნველსაყოფადაც საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში თანმდევი ცვლილებები შედის.

მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის მიზნით დამტკიცდა ბრძანება №152 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და შეიქმნა შესაბამისი პროგრამა „მესამე პირებზე საგადასახადო მოთხოვნის“ გაგზავნის მიზნით.

აღნიშნული ცვლილების მიზანია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გამოიწვევს საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას. კერძოდ:

საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა, თუ არსებობს მისი წარდგენის ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო ორგანოს ვალდებულია;**
- ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;**
- გ) სსკ-ის 240-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილება.**

გადახდევენებისგან თავის არიდების გამოვლენის მიმართულებით განხორციელებული საქმეების სტატისტიკური ინფორმაცია:

№	შინაარსი	2018 წლის 8 თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით
1	შემოსული კორესპონდენცია	3598
2	გასული კორესპონდენცია	2133
3	ყადაღადებული ქონების რეალიზაციის/იჯარის თაობაზე თანხმობები	137
4	ცრუმაგიერი მფლობელობა	37
5	გადახდისუუნარობის საქმეები	31
6	გირავნობის/იპოთეკის გადაყოლება	12
7	მე-3 პირზე "საგადასახადო მოთხოვნა"	16
8	მე-3 პირზე ყადაღისთვის გაგზავნა	7
9	რისკებში გაგზავნილი საქმეები	12
10	საგამოძიებოში გაგზავნილი საქმეები	2
11	ინფორმაციის გამოთხოვა მარეგისტრირებული ორგანოებიდან	1076
12	ინფორმაციის მოთხოვნა გადამხდელისაგან დებიტორული დავალიანების შესახებ	405
13	ინფორმაციის მოთხოვნა გადამხდელისაგან სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე ფულის მოძრაობის შესახებ	119
14	სხვა	297

2018 წლის 12 თვის განმავლობაში, საგადასახადო დავალიანების მართვის მიმართულებით, ჯამში განხორციელდა **196 855** გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაცია, თანხით - **1,427,603,214** ლარი.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	11 318	176,797,164
თებერვალი	9 667	90,679,820
მარტი	11 829	132,600,606
აპრილი	21 617	116,423,165
მაისი	23 657	102,781,372
ივნისი	14 352	138,972,223
ივლისი	19 269	111,108,995
აგვისტო	12 870	106,145,994
სექტემბერი	17 431	95,746,985
ოქტომბერი	13 813	131,742,201
ნოემბერი	2	154,532
დეკემბერი	41030	224,450,157
სულ ჯამი	196 855	1,427,603,214

ჯამში განხორციელდა **188,535** გირავნობა/იპოთეკის გაუქმება, თანხით – **1,352,683,194** ლარი.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	15 253	161,065,685
თებერვალი	11 727	76,764,249
მარტი	14 682	105,610,872
აპრილი	20 586	189,761,628
მაისი	17 663	97,438,015
ივნისი	14 917	89,848,597
ივლისი	16 251	82,718,836
აგვისტო	14 660	84,405,578
სექტემბერი	18 298	196,026,797
ოქტომბერი	15 962	94,799,547
ნოემბერი	6 384	49,070,364
დეკემბერი	22 152	125,173,026
სულ ჯამი	188 535	1,352,683,194

საბანკო ანგარიშებზე წარედგინა ჯამში **94 772** საინკასო დავალება, თანხით – **965,169,972** ლარი.

თვე	რაოდენობა	თანხა
იანვარი	6 905	75,037,667
თებერვალი	5 294	58,331,842
მარტი	6 258	62,865,990
აპრილი	11 525	94,556,687
მაისი	10 017	71,468,641
ივნისი	7 126	75,223,363
ივლისი	9 435	69,544,305
აგვისტო	5 906	104,952,756
სექტემბერი	8 863	65,508,523
ოქტომბერი	6 987	93,139,813
ნოემბერი	10	3,358,863
დეკემბერი	16 446	191,181,522
სულ ჯამი	94 772	965,169,972

2018 წლის განმავლობაში, საინკასო დავალებებით ამოღებული დავალიანების თანხა 600 მლნ. ლარს აჭარბებს.

სულ საინკასო დავალებით შემოვიდა **600,185,931** ლარი. მათ შორის:

თვე	თანხა
იანვარი	49,753,212
თებერვალი	40,060,310
მარტი	44,315,068
აპრილი	55,298,496
მაისი	54,432,409
ივნისი	56,643,037
ივლისი	56,172,406
აგვისტო	41,685,786
სექტემბერი	55,222,191
ოქტომბერი	58,494,401
ნოემბერი	9,422,591
დეკემბერი	78,686,024
სულ ჯამი	600,185,931

საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ან/და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციიდან შემოვიდა სულ 2,819,683 ლარი.

განხილული ელექტრონული განცხადებები: 18 111

მათ შორის:

გირავნობა/იპოთეკის თაობაზე: 12 787;

საინკასო დავალებების თაობაზე: 5 324.

განხილული კორესპონდენცია მატერიალური ფორმით: 3 903


მათ შორის:

შემოსული დოკუმენტი: 2 254;

შიდა დოკუმენტი: 1 426;

სამართლებრივი აქტი: 223.





საზოგადოებასთან
ურთიერთობისა
და მარკეტინგის
დეპარტამენტი





ნათია მოისწრაფიშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მიღწევებითა და საინტერესო სიახლეებით დასრულებული წელი უნდა შევაჯამო... პირველად, 2012 წლის შემდეგ, ალბათ ძალიან გამიჭირდება ვიყო საქმეზე ორიენტირებული. ამჯერად გამოსამშვიდობებელ წერილს ვწერ და ვცდილობ ვიპოვო ის მთავარი სიტყვა, რომელიც მთელ ჩემ ემოციას დაიტევს...

მადლობა!

მადლობა ჩემი ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩეულ სტრუქტურას - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და მის პროფესიონალთა გუნდს ერთად გატარებული წლებისთვის, დაუღალავი, თავდადებული შრომისთვის.

ამ წლების განმავლობაში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და გმირობის, დიას, გმირობის ბევრი მაგალითი მივიღე. მერწმუნეთ, უაღრესად ძნელია, ხშირად თუნდაც კლიმატური პირობების გამო შექმნილ უმძიმეს ვითარებაში, იდგე საქართველოს საბაჟო საზღვარზე და განუხრელად, თავდაუზოგავად იცავდე შენი ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. კალენდარზე 21-ე საუკუნეა, ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა კი, თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა და მას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებზე, სწორედ შემოსავლების სამსახურის პროფესიონალთა დიდი გუნდი: მებაჟეები, აუდიტორები, მონიტორინგისა თუ მომსახურების ოფიცრები, სპეციალისტები, მენეჯერები უზრუნველყოფენ.

გემშვიდობებით მეგობრებო, თუმცა, ვრჩები შემოსავლების სამსახურისა და მისი გუნდის ერთგულ და საიმედო მეგობრად.

მისია

კომუნიკაციის უახლესი არხების გამოყენებით საზოგადოებისთვის ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; უწყების გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა.

ხედვა

უწყების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ინიცირება და განხორციელება; ბიზნს სექტორსა და ჩვენს სამსახურს შორის ნდობის შენარჩუნება და კომუნიკაციის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა.

ღირებულებები

აქტუალურ და საინტერესო თემებზე გადამხდელების დროული ინფორმირება; სხვადასხვა მედიის წარმომადგენლებთან სწრაფი, კოორდინირებული და ეფექტური კომუნიკაცია; მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის 2018 წლის ანგარიშში აღწერილია დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული, შესრულებული და გაშუქებული ყველა ღონისძიება. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ჩართულობით, წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სოციალური და საინფორმაციო კამპანიები.

❖ 26 იანვარი საბაჟოს საერთაშორისო დღეა

2018 წელს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) 182 ქვეყანასთან ერთად, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღნიშნა. ღონისძიება გაიმართა სლოგანით – „უსაფრთხო ბიზნესგარემო ეკონომიკური განვითარებისთვის.“ საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მაღალი პროფესიონალიზმის, განეული შრომისა და თავდადებისთვის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ, დაწესებული ღირსების მოწმობები ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 17 თანამშრომელს გადაეცა, მათ შორის, 2017 წლის 22 დეკემბერს ტრაგიკულად დაღუპულ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელს. საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა და მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ. აღნიშნული ღონისძიება მედიასამუშაოების მიერ აქტიურად გაშუქდა.





✓ 2018 წლის 5 მარტს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, „ბათუმი“, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის გახსნის ცერემონია გაიმართა. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, ევროკავშირის დახმარებით, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ გახსნა.



✓ ანალოგიური სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი საბაჟო გამშვებ პუნქტ „ნითელ ხიდზე“ გაიხსნა, რომელიც 6.5 ათას კვადრატულ მეტრზეა განთავსებული. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსმა, მიხეილ დუნდუამ გახსნა. იმავე დღეს, სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“, სანიტარიული, ვეტერინარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლის სტანდარტების ამაღლების პროექტის დასრულების შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა, შემოსავლების სამსახურის უფროსმა, მიხეილ დუნდუამ. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის საბაჟოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯავად გასიმოვა, ევროკავშირის ელჩი აზერბაიჯანში კესტუტის იანკაუსკასი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობისა და დახმარების პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი ვინსენტ რეი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელი საქართველოში ნილს სკოტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელი აზერბაიჯანში გულამ ისპაგზაი.



აღნიშნული ღონისძიება სხვადასხვა მედიასაშუალებით გაშუქდა.




❖ ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის პრეზენტაცია



10 სექტემბერს, ფოთის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტით გათვალისწინებული სიახლეები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს გააცნო. აღსანიშნავია, რომ საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, საქართველო იქნება პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად უპასუხებს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში.

❖ საინფორმაციო კამპანია - დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო წესის თაობაზე

მცირე მეწარმეების წახალისების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა დაბეგვრის ახალი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შესახებ, ღია კარის დღეები გამართეს. ამასთან, მცირე მეწარმეებისთვის მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო გზამკვლევი, რომელიც შემოსავლების სამსახურის უბნის საგადასახადო ოფიცრებმა, საქართველოს მასშტაბით, გადამხდელებს კონსულტაციის სახით გააცნეს. აღნიშნული ღონისძიება სხვადასხვა მედიასაშუალებით გაშუქდა.



❖ **შეხსენებითი კამპანია**

ფიზიკური პირების მიერ, ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენისა და კუთვნილი გადასახადის გადახდის ვადისა და წესების შესახებ შეხსენებითი კამპანია აქტიურად განხორციელდა. მომზადდა ელექტრონული ბანერი და განთავსდა Facebook-გვერდზე. ამასთან, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge ფიზიკური პირებისთვის საკუთარი შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის მოძიების ელექტრონული გზამკვლევი აიტვირთა.



აღნიშნული კამპანია მედიასაშუალებების მიერ გაშუქდა.





- ✓ გადამხდელთა ინფორმირების მიზნით, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდსა და Facebook-გვერდზე მუდმივად ქვეყნდება მოძრავი სერვისცენტრის - RS CAR - ყოველთვიური განახლებული გრაფიკი.

❖ შემეცნებითი კამპანია და თანამშრომლობა უმაღლესი სასწავლებლებთან



- ✓ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა. პროექტის ფარგლებში 5 საბაჟო გამშვებ პუნქტზე, 4 გაფორმების ეკონომიკურ ზონასა და 7 მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრში 20 საგანმანათლებლო ტური შედგა. პროექტში 26 უმაღლესი სასწავ-

ლებლის, დაახლოებით 700 სტუდენტი იყო ჩართული. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მომავალშიც აქტიურად იქნება მსგავსი პროექტების პარტნიორი.




- ✓ თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონას სკოლა „ერუდიტის“ X-XI კლასების მოსწავლეები ეწვივნენ. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემეცნებით-საგანმანათლებლო ტურის ფარგლებში, უფროსკლასელებს, საქონლის გაფორმების პროცედურების შესახებ, ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინეს.




- ✓ ინტელექტუალური ბიზნეს ოლიმპიადის ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ბიზნესაკადემიის მიერ, შემოსავლების სამსახურს, როგორც წლის საუკეთესო პარტნიორს, სამახსოვრო სერტიფიკატი გადაეცა.




- ✓ ეროვნული უმცირესობების უკეთ ინფორმირების მიზნით, დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან გაზეთებთან. 2018 წლის განმავლობაში 60 საინფორმაციო სტატია გამოქვეყნდა.




- ✓ სამართალდარღვევათა აღკვეთისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, მუდმივად ხდება საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო და საბაჟო კანონდარღვევების დროული გამოვლენის შემთხვევების შესახებ. 2018 წლის განმავლობაში 448 პრესრელიზი გამოქვეყნდა.



✓ შემოსავლების სამსახურის, Facebook-გვერდზე, მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა შინაარსის საინფორმაციო/თემატური ბანერის განთავსება. 2018 წლის განმავლობაში, მომზადდა და განთავსდა 67 საინფორმაციო ბანერი.




✓ 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის Facebook-გვერდს 37 971 მომხმარებელი ჰყავდა.



✓ შემოსავლების სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდის პარალელურად, მომხმარებელს დამატებითი კომუნიკაციის შესაძლებლობას „Facebook Messenger“-ი სთავაზობს. აღნიშნულ ფუნქციას აქტიურად იყენებს ჩვენი დეპარტამენტი და შემოსულ კითხვებზე, კომპეტენციის ფარგლებში, სწრაფად ხდება სამსახურის სახელით პასუხების მომზადება.

- ✓ 01.01.2018 – 31.12.2018 ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო გამოვლინების რაოდენობრივი მაჩვენებელი მედიასივრცეში (მედიაინტერვიუ/საინფორმაციო რელიზი/სატელევიზიო სიუჟეტი).



❖ უწყებათაშორისი თანამშრომლობა



შემოსავლების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან ოპერატიული თანამშრომლობის შედეგად, გამოვლინდა და აღიკვეთა, როგორც ნარკოტიკების, ასევე არადეკლარირებული ოქროს შემოტანის ფაქტები.




❖ ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა

- ✓ შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და გუნდური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, მუდმივად იმართება სპორტული აქტივობები. „ბიზნესჩემპიონთა ლიგის“ 2018 - 2019 წლის სეზონზე შემოსავლების სამსახურის ფეხბურთელთა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა.



- ✓ 9 ნოემბერს, კარტინგით რბოლაში სამოყვარულო ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრის ამსახველი ფოტოალბომი facebook-გვერდზე განთავსდა.



❖ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა:

- ✓ შემოსავლების სამსახურმა, სოციალური საწარმო „ბაბალეს“ ბენეფიციარებთან ერთად, სოციალური პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში შეძენილი სააღდგომო და საახალწლო საჩუქრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ იყო დამზადებული.
- ✓ ასევე, სოციალური პროექტის ფარგლებში, შეძენილ იქნა ტკბილეული, რომელიც ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის დედაობის მიერ იყო დამზადებული.
- ✓ პროექტის - „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“ ფარგლებში, სისხლის უანგარო გაღების აქციაში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. დონაციის საერთაშორისო დღეს, სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის რეგულარული მხარდაჭერისთვის, შემოსავლების სამსახური მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.



- ✓ 2018 წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა შემოსავლების სამსახურის ბრენდის მართვა და იმიჯზე ზრუნვა. შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ, სხვადასხვა კორპორაციული ნივთი მომზადდა.




- ❖ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა და კიდევ უფრო დახვეწა საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრადიციული ფორმები. შესაბამისად, გაჩნდა მეტი საინფორმაციო არხები და ინსტრუმენტები, რამაც სოციალური მედია კომუნიკაციის სულ უფრო ღირებულ პლატფორმად აქცია. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი ეფექტურად იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობებს და საზოგადოებას/მედიას აშუალებებს 24/7 რეჟიმში აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას უწყებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. შემოსავლების სამსახურის facebook-ი გადამხდელებთან მყისიერი კომუნიკაციის შესაძლებლობას გვაძლევს. მათ რეალურ დროში შეუძლიათ დაგვისვან შეკითხვები საინტერესო თემებზე და იქვე მიიღონ პასუხები. აქცენტების სწორად დასმა, საზოგადოებისთვის საინტერესო შეტყობინებების მყისიერი მიწოდება, კრიზისული სიტუაციების პრევენცია, სოციალურ პროექტებში აქტიური ჩართულობა, საბაჟო/საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მიზნით ცნობიერების ამაღლება ჩვენი დეპარტამენტის თითოეული წევრისთვის კვლავ პრიორიტეტულ ამოცანებად დარჩება.



GE RS-074-GE



GE RS-080-GE



საგადასახადო
მონიტორინგის
დეპარტამენტი





გიორგი ნატროშვილი

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო, წილად მხვდა პატივი, წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. მიუხედავად რიგი სირთულეებისა, 2018 წელი ყველა მნიშვნელოვან საკითხში იყო წარმატებული.

ჩვენი, როგორც ერთიანი გუნდის, მუშაობა ეფუძნება ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებსა და პრინციპებს, როგორებიცაა: სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა და სხვა.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს სისტემურ საგადასახადო კონტროლს, როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების გზით, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების/მიწოდების შემთხვევების და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას.

ჩვენი გუნდის მუშაობის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, პრევენციის მიზნით, ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს და აღკვეთოს საგადასახადო თუ ადმინისტრაციული გადაცდომების ფაქტები. ამასთან, ვცდილობთ, დავადგინოთ სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზები და საფუძველშივე მათ აღსაკვეთად მეტი ძალისხმევა მივმართოთ, რათა გავზარდოთ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო და ადმინისტრაციული ვალდებულებების შესრულების კულტურა. სწორედ ამ მიზნის ეფექტური შესრულებისთვის, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში, სისტემაში 2018 წლის დასაწყისში შეიქმნა დეკლარირების კულტურის ამაღლების სამმართველო, რომლის ძირითადი მიზანია, გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების ამაღლება, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ დროული დეკლარირების მაჩვენებლის გაუმჯობესებასა და საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებას.

აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თითოეულ თანამშრომელს, დეპარტამენტის საქმიანობაში შეტანილი ღირსეული წვლილისთვის. დარწმუნებული ვარ, 2019 წელი იქნება სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეტად წარმატებული და მნიშვნელოვანი წელი.

გისურვებთ წარმატებებს!


შემოსავლების სამსახურს განსაკუთრებული, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების განმახორციელებელს. შესაბამისად, მისი საქმიანობა გავლენას ახდენს საქართველოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ, შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სახით, ეფექტური ადმინისტრირებით უზრუნველყოფს იმ მიზნებისა და ამოცანების სრულფასოვნად და ხარისხიანად შესრულებას, რომლებიც დასახულია 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიზნები არის შედეგებზე ორიენტირებული. დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს, რათა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ყველა პირის საგადასახადო ტვირთი იყოს თანაბარბოძიერი. ამასთან, ეფექტური ადმინისტრირების ფარგლებში ახდენს არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელების იდენტიფიცირებას, რათა დროულად აღკვეთილ იქნას მათი მხრიდან საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტები, არ მიეცეთ შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის მიღმა განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა, დამალონ დასაბეგრი ბრუნვის მოცულობა, თავი აარიდონ ბიუჯეტში გადასახადების გადახდას და აღნიშნული ქმედებით, მოიპოვონ უპირატესობა, იმავე სექტორში მომუშავე სხვა კეთილსინდისიერ გადასახადის გადამხდელებთან შედარებით.


2018 წლის განმავლობაში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც იგეგმება და ტარდება შემოსავლების სამსახურში არსებული ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების ანალიზისა და გადასახადის გადამხდელების საქმიანობის შესახებ, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების განხორციელების შედეგად, გამოვლინდა, როგორც საგადასახადო, ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები, კერძოდ:


1. საქონლის ტრანსპორტირებისას ზედნადების გადამონმება - 57,775, დაჯარიმებულთა რაოდენობა - 7,045, ჯარიმის თანხა 7,173,700 ლარი; 69 გადასახადის გადამხდელებზე შემდგომი შესწავლის მიზნით, სათანადო მასალები გადაგზავნილ იქნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში;



2. დაწყებული ინვენტარიზაცია - 3,893 (მათ შორის, სრული - 1,005, შერჩევითი - 2,888). დასრულებულია - 3,654 (მათ შორის - 758 სრული, შერჩევითი - 2,896), სანქცია - 16,833,053 ლარი (მათ შორის: სრული - 14,111,470 ლარი, შერჩევითი - 2,721,583 ლარი);




3. საკონტროლო, სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის, კონტროლის პროცედურა განხორციელდა - 90,536, გამოვლენილი სამართალდარღვევა - 37,971 (მათ შორის, გაფრთხილება - 31,775), სანქცია - 1,188,600 ლარი;




4 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები (2,546 ცალი):

- ა) ვალუტის გამოყენების და ფასის ლარით გამოხატვის წესების დარღვევა - 707
- ბ) ნავთობის ტრანსპორტირების და შენახვის წესების დარღვევა - 81
- გ) აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაცია - 755
- დ) თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევა - 967
- ე) სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება - 32
- ვ) 157¹ ნაწილი. კონტრაფაქციული ასლების უკანონო შეძენა - 1
- ზ) 178 სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (ლიცენზიის გარეშე საქმიანობა) - 3




- 5. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა (გამოვლენა) - 1,847;
- 6. წინააღმდეგობის განევის გამო შედგენილია - 22 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;
- 7. დათვალიერების შედეგად გამოვლენილია აგს-ზე ლუქის გარეშე ან დაზიანებული ლუქით მუშაობის 8 შემთხვევა;
- 8. დაწყებული ექსპერტიზა - 2,419, დასრულებულია - 2,459.



9. განხილულია და სათანადო დასკვნა წარდგენილია საგადასახადო დავებთან დაკავშირებით წარმოდგენილ 3,976 საჩივარზე; გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე (გპაბ) ასახულია 5,027 სამართალდარღვევის ოქმი; ასევე, ასახულია 428 ბრძანება (ოქმის გადაკვალიფიცირება, ბათილობა).

10. დროული დეკლარირების მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალმა სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც გადასახადის გადამხდელბთან კომუნიკაციის გზით უზრუნველყოფს დეკლარირების ხარისხის კონტროლს. დღგ-ს გადასახადში დროული დეკლარირების მაჩვენებლები:



2018 წლის იანვარ-დეკემბრის მონაცემებით, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში სულ შემოსულია დავის განმხილველი ორგანოს 4,065 გადაწყვეტილება, 1,637 გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდა, მათ შორის, 171 გადაწყვეტილება - 273-მუხლით, 298 გადაწყვეტილება - 281-მუხლით, 971 გადაწყვეტილება - 286-მუხლით, 155 გადაწყვეტილება - 291-მუხლით, 20 გადაწყვეტილება - 288-მუხლით, 277-მუხლით - 11 გადაწყვეტილება, 11 გადაწყვეტილება - 279 მუხლით, ხოლო 2,428 გადაწყვეტილება დაკმაყოფილდა გადამხდელის სასარგებლოდ, აქედან 1,520 გადაწყვეტილება არის სსკ-ის 269-ე მუხლის საფუძველზე ჯარიმის პატიების თაობაზე, 324 შემთხვევაში ფულადი ჯარიმა შევსებულია გაფრთხილებით, 484 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია არარეგისტრირებულ პირზე სსკ-ის

273-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა, ხელახლა შეისწავლა 40 შემთხვევა, სასკ. 22-ე მუხლით 8 გაფრთხილება, 110 შემთხვევაში საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და მხოლოდ 52 შემთხვევაში საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ოქმი გაუქმებულია იმ საფუძველზე, რომ არ დასტურდება საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც მოიცავს იმ შემთხვევებსაც, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი (საქონლის რეალიზაცია, ამ რეალიზაციასთან დაკავშირებით თანხის გადახდა და სსა-ს გამოუყენებლობა) უბრალოდ არ/ვერ არის დაფიქსირებული ტექნიკური საშუალებებით. ხსენებული მონაცემები, რომლებიც არ აღემატება 2.3 (2.22)%-ს, მიგვაჩნია, რომ მეტყველებს საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმების მაღალხარისხიანობაზე.

2018 წლის განმავლობაში, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ, მომზადებულია სტატისტიკური მონაცემები, როგორც ყოველდღიურ (ოპერატიულ) რეჟიმში, ასევე, ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური თათბირებისათვის.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ხდებოდა მატერიალური ფორმით შედგენილი შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევების ოქმებით დაკისრებული თანხების გადასახადის გადამხდელების პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა. ასევე, შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტიდან, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოდან და სასამართლოებიდან შემოსული სათანადო გადანყვეტილებების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა; შესაბამის შემთხვევებში ხორციელდებოდა სამართალდარღვევათა ოქმების შეცვლა (ამ ოქმებით დაკისრებული სანქციის გადაკვალიფიცირება), ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება.

შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტიდან, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოდან და სასამართლოებიდან შემოსული სათანადო გადანყვეტილებების საფუძველზე ტარდება ადმინისტრაციული წარმოებები.

დავების განხილვის ორგანოების მომართვის შემთხვევებში საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მიღებულ გადანყვეტილებებთან დაკავშირებით ხორციელდებოდა გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი საჩივრების შესწავლა, დამუშავება და სათანადო ინფორმაციების/დასკვნების მომზადება.


მედიაციის საბჭოზე საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი ორგანიზებას უწევდა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მიმდინარე კონტროლის (ინვენტარიზაციის) შედეგებზე შედგენილი ოქმების პროექტებთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელის წერილობითი/ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის პროცედურებს.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლები, დეპარტამენტის სახელით, ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ სასამართლო განხილვის პროცესებში, დეპარტამენტის მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან დაკავშირებით.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით (კონტროლის პროცედურებში შინაარსობრივი ჩართულობა), პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე, ხდებოდა კანონმდებლობაში განსახორციელებელი სათანადო ცვლილებების პროექტების მომზადება და შესაბამისი დეპარტამენტისთვის გადაგზავნა, შემდგომი სამართლებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით.

განიხილებოდა, როგორც შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან, ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან გადმოგზავნილი კორესპონდენცია, მათ შორის, კანონებსა თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განსახორციელებელი ცვლილების თაობაზე.





სტატისტიკის დეპარტამენტი



შალვა კოკაიშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ დავების დეპარტამენტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

წლის განმავლობაში საჩივრის განხილვაზე დახარჯული დრო კიდევ უფრო შემცირდა და უკვე გაუთანაბრდა მოწინავე ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის „TADAT“-ის მეთოდოლოგიის „A“ შეფასების ნიშნულს.

საჩივრის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (<https://eservices.rs.ge/Login.aspx>), ავტორიზებულ გადამხდელს სახლიდან/ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია წარადგინოს საჩივარი და სამსახურის გადანაცვეტილებაც მიიღოს. დაიხვეწა საჩივრის ელექტრონულად წარმოდგენის შესაძლებლობა (http://rs.ge/Default.aspx?sec_id=5671&lang=1), რამაც უფრო გაამარტივა საგადასახადო ორგანოსთან ურთიერთობა.

დაინერგა საგადასახადო საჩივრებზე მიღებული გადანაცვეტილებების აღსრულების კონტროლის მექანიზმი.

საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტია გადამხდელთა საჩივრების დროული და სამართლიანი განხილვა. პრიორიტეტულია, აგრეთვე, საგადასახადო ორგანოს ინტერესების დაცვა საგადასახადო დავების მომდევნო ინსტანციებში, რაც 2018 წელსაც წარმატებით განხორციელდა.

დავების დეპარტამენტმა წარმატებით გაართვა თავი საოპერაციო გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, რასაც სავალუტო ფონდის მუდმივმოქმედი მისიის ინდიკატორები („KPI“) ადასტურებს.

ერთიანი და სისტემური პრაქტიკის, ასევე, საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის დანერგვის მიზნით, დამუშავდა და გამოქვეყნდა წლის განმავლობაში გადამხდელთა საჩივრებზე მიღებული გადანაცვეტილებების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადანაცვეტილებები (ელექტრონული ბიბლიოთეკა, www.wiki.rs.ge).

I. საჩივრების სამმართველო


ინფორმაცია განხილული საგადასახადო დავების შესახებ

2018 წლის 12 თვე


ზოგადი სტატისტიკა

- ნაშთი 01.01.18 წ. 707
- შემოსული საჩივარი 9,012
- განხილული საჩივარი 9,362
- ნაშთი 01.01.19 წ. 357







წლის დასაწყისისათვის (01.01.18 წ.) არსებული საჩივრების ნაშთის სტრუქტურა დეპარტამენტის მიხედვით (საჩივრების რაოდენობა) – 707



შემოსული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით – 9,012









შემოსული საჩივრების სტრუქტურა დეპარტამენტების მიხედვით - 9,012




განხილული საჩივრების სტრუქტურა თვების მიხედვით - 9,362




განხილული საჩივრების სტრუქტურა დეპარტამენტების მიხედვით - 9,362




დავების განხილვის საბჭოზე გათანის გარეშე განხილული საჩივრების სტრუქტურა თვეების მიხედვით - 3,664




2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული საჩივრების ნაშთის სტრუქტურა დეპარტამენტების მიხედვით - 357




მიღებული გადაწყვეტილების სტრუქტურა განხილული საჩივრების მიხედვით - 9,362




მიღებული გადაწყვეტილების სტრუქტურა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებებზე - განხილული საჩივრების მიხედვით - 2,221



GOODFAITH პრინციპით (საგადასახადო კოდექსის 269,7 ნაწილით) მიღებული გადაწყვეტილებების სტრუქტურა თვეების მიხედვით - 1,351





საჩივრის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა თვეების მიხედვით (დღე)



შენიშვნა: ჭამურ დღეთა რაოდენობა იყოფა განხილული საჩივრების რაოდენობაზე.

დასრულებულ დავათა რაოდენობა 30-60-90 დღის განმავლობაში
(TADAT მეთოდოლოგიის საშემფასებლო კრიტერიუმებით)



II. სასამართლო დავების სამმართველო

2018 წელი თორმეტი თვე


სასამართლო დავების სტატისტიკა

- ნაშთი 01.01.2018 წლისათვის
- გადამხდელის მიერ ინიცირებული
- სამსახურის მიერ ინიცირებული
- დასრულებული
- ნაშთი 01.01.2019 წლისათვის


საქმეთა რაოდენობა

3,897
313
1,468
2,612
3,066


01.01.18 წ. ნაშთის სტრუქტურა
სასამართლო დავის სახეების მიხედვით - 3,897




საანგარიშო პერიოდში გადამხდელის მიერ ინიცირებული დავები სახეების მიხედვით - 313




სამსახურის მიერ ინიცირებული საქმეების სტრუქტურა დავის სახეების მიხედვით - 1,468




დასრულებული საქმეების სტრუქტურა მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით - 2,612



დასრულებული ს/დავები ეროვნების რეალიზაციის უფლების მოპოვებაზე - 2,044




01.01.2019 წ. ნაშთის სტრუქტურა სასამართლო დავის სახეების მიხედვით - 3,066




III. გადაწყვეტილებების მონიტორინგის განყოფილება

პერიოდი: 01.01.18 - 01.01.19 წელი


საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მონიტორინგი თვეების მიხედვით - 6,045




შემოსავლების სამსახურის პორტალზე wiki.rs.ge გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების რაოდენობა - 8,647




ბრძანებების ფოსტით ჩაბარებაზე მონიტორინგი - 9,273




შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოს გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნება - 687




ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოს გადაწყვეტილებების გადახედულზე ჩაბარების მონიტორინგი - 1,637




დავების დეპარტამენტის მომზადებულ გადაწყვეტილებებზე განხორციელებული ხარისხის კონტროლი - 502




დასარეგულირებელი პრობლემური სიტუაციის თაობაზე მომზადებული ცვლილებების პროექტები - 35



ფოსტით და ელექტრონულად შემოსული საშემავლის სტატისტიკა







ადამიანური რესურსების
მართვისა და განვითარების
დეპარტამენტი





სალომე ჟორჟოლიანი

ადამიანური რესურსების მართვისა
და განვითარების დეპარტამენტის უფროსი

მოხარული ვარ, რომ წარმოვადგენ შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს. ჩემი, როგორც შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგის პლატფორმა მეხმარება განსხვავებული პერსპექტივიდან შევხედო ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს. ყველა დაწესებულება კომპეტენციების, ინტერესების და ღირებულებების უნიკალურ ნაკრებს წარმოადგენს, ამიტომ HR სისტემების შემუშავებასა და იმპლემენტაციამდე, ვცდილობ, დეტალურად შევისწავლო და შევაფასო თითოეული ინდივიდისა თუ დაწესებულების უნიკალურობა, რათა შეთავაზებული სქემები სრულად მორგებული იყოს ორგანიზაციულ კულტურასა და საჭიროებებზე.

ადამიანური კაპიტალის შექმნისა და ეფექტური მართვის მიზნით, 2017 წლის დასასრულიდან, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სხვადასხვა საკადრო მიმართულებისა და სერვისების სისტემური ხედვის განვითარება.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ისეთი ორგანიზაციული პროცესების წარმართვა, როგორებიცაა პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და შედეგების მართვა, კომუნიკაციის გაუმჯობესება, კმაყოფილების გაზრდა. სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს არსებული თანამშრომლებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თავისუფლად შეძლებენ უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას. გეგმიური აქტივობები ხორციელდება მაღალი პოტენციალისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების დაინტერესების მიზნითაც.

თანამშრომელთა მოტივაციასა და კმაყოფილებაზე ზრუნვა უდიდესი გამოწვევაა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტისთვის, მით უფრო, არსებული საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით. ჩვენ მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებით ვცდილობთ, შევქმნათ წინაპირობა, რათა ხელი შევუწყოთ ორგანიზაციის თანამშრომლების მაქსიმალურ განვითარებას.

თანამშრომელთა სწავლება და განვითარება

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების მხარდაჭერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის საქმიანობაში. 2018 წელს 1500 თანამშრომელზე მეტი გადამზადდა, როგორც პროფესიული უნარ-ჩვევების, ისე ცოდნის გაღრმავების ჭრილში. თანამშრომელთა აღნიშნული რაოდენობა უპრეცედენტოა წინა წლებთან შედარებით. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ გვეპასუხა TNA-ის (ტრენინგის საჭიროების ანალიზის) შედეგად გამოკვეთილი საჭიროებებისთვის და ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა თუ სხვა მოწვეულ ლექტორებთან ეფექტური თანამშრომლობის შედეგად, თანამშრომლები გადავამზადეთ შემდეგ მიმართულებებში:



- ეფექტური მომსახურების ტექნიკები;
- მოლაპარაკებების წარმოება;
- ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და კონფლიქტების მართვა;
- საქმიანი მოლაპარაკებების მართვა (პარვარდის მეთოდოლოგია);
- სტრატეგიული კომუნიკაცია;
- ლიდერობა და მართვა;
- კონფლიქტური სიტუაციების მართვა (აღსანიშნავია, რომ ეს ტრენინგმოდული, რეალური ქეისებისა და სამუშაო სპეციფიკის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, სპეციალურად შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შეიმუშავა მოწვეულმა ტრენერმა, რომელსაც ამ მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს);
- პრეზენტაციის მომზადებისა და ჩატარების უნარები;
- დროისა და მიზნების მართვა;
- პროფესიული სტრესის მართვა;
- TOT (ტრენინგი ტრენერებისთვის);
- პროექტების მართვა;
- ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოება;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში;
- საჯარო ფინანსების მართვა;
- Excel;
- MS Word & Power Point;
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში;
- ბუღალტერია და საგადასახადო კოდექსი აუდიტის დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის;
- საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორების სპეციალური ტრენინგ კურსები;
- თამბაქოს კონტროლის ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ტრენინგები;
- შიდა კონტროლის სისტემები.

სამუშაოს აღწერა და ანალიზი


სტანდარტიზებული სამუშაოს აღწერილობების არსებობა ორგანიზაციაში განაპირობებს სამუშაოსთან დაკავშირებული სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორია სამუშაო მიზნებისა და ამოცანების დასახვისა და მათი მიღწევის პროცესში.

2018 წლის მაისში, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა დაასრულა სამუშაოს აღწერისა და ანალიზის პროცესი, რომელიც მოიაზრებდა ყველა განსხვავებულ სტრუქტურულ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლის ინტერვიუებასა და სამუშაო სპეციფიკის ანალიზს როგორც თბილისში, ისე რეგიონალურ ლოკაციებზე. შედეგად, თითოეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფზე შემუშავდა სამუშაოს აღწერილობები, ე.წ. „თანამდებობრივი ინსტრუქციები“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ფუნქცია-მოვალეობების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების, სუბორდინაციული კავშირების ნაკრებს.

ვინაიდან, თანამედროვე სამუშაო გარემოსთვის დამახასიათებელია მუდმივი დინამიკა და სამუშაო ფუნქციების ცვლილება, ადამიანური რესურსების განვითარების სამმართველო რეგულარულად ანახლებს სამუშაოს აღწერილობებს ცვლილებების შესაბამისად.



შეფასების სისტემა



მიმდინარე წელი აღსანიშნავი იყო შიდა საკადრო ინსტრუმენტების შექმნის კუთხითაც. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. მოდელის შექმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი აღმოჩნდა, რადგან ზედმინევით დეტალურად მოხდა განსხვავებული სპეციფიკის სამუშაოს შესწავლა. სისტემის საბოლოო სახით დამტკიცებამდე, განხილულ იქნა საერთაშორისო ექსპერტების რჩევებიც, რომელთაც სრული მონონება და მხარდაჭერა გამოუცხადეს შემოთავაზებულ მეთოდს.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს სისტემა ეფუძნება თანამშრომლის ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციების შეფასების მეთოდს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- პროფესიული უნარების შეფასება (ე.წ Soft skills);
- სპეციფიკური ტექნიკური ცოდნის შეფასება;
- ან, უმეტეს შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილთა ნაზავი.

სისტემა შესაფასებლად შემდეგ უნივერსალურ კომპეტენციებს მოიაზრებს:

1. ხარისხის, რისკებისა და ოპერაციების მართვა;
2. ლიდერობა და მართვა;
3. გუნდურობა;
4. პროაქტიურობა/ინიციატივა;
5. პრობლემის გადაჭრის/გადაწყვეტილების მიღების უნარი და კრეატიულობა;
6. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
7. ანალიტიკური აზროვნება;
8. საბაზისო კომპიუტერული უნარ-ჩვევები;
9. სტრატეგია და ხედვა;
10. სპეციფიური პროგრამული უნარები;
11. კანონმდებლობა;
12. უცხო ენა.

შეფასება ხდება 4-ბალიანი სისტემის მეშვეობით. კომპეტენციების მნიშვნელოვნება განსხვავდება დეპარტამენტების, სამმართველოებისა თუ დონეების (პოზიციების) ჭრილში და თითოეულ კომპეტენციას აქვს თავისი წონა, რომელთა საერთო ჯამი არ აღემატება 100%-ს. შეფასების პროცესის პირველი ეტაპია თვითშეფასება (თუმცა იგი არ მოქმედებს საბოლოო ქულაზე). ამის შემდგომ კი, პროცესი არის დადგენილი და საფუძვრებრივი, რაც გულისხმობს ყველა შემფასებლის მიერ მისი უშუალო დაქვემდებარებულის შეფასებას. პროცესი მოქნილია და დამოკიდებულია დეპარტამენტებში ჯგუფების სტრუქტურაზე, თანამდებობრივ გადაწყვეტილებასა და სხვა სპეციფიურ საკითხებზე.

შეფასების სისტემის მიზანია თანამშრომელთა ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს შედეგების გამოვლენა, რომლებიც შესაძლებელია გახდეს ნახალისების, კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და განვითარების საფუძველი.



დამსაქმებლის ბრენდინგი

2018 წლის განმავლობაში განხორციელებულ დასაქმების ყველა ფორუმზე შემოსავლების სამსახური სტუდენტებს გაეცნო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი. ღონისძიების მსვლელობისას HR დეპარტამენტის თანამშრომლები დაინტერესებულ სტუდენტებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ შემოსავლების სამსახურში მოქმედი საკადრო სისტემების, უნიკალური ცოდნის მიღების და სამომავლო კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შესახებ.



მოტივაცია და კმაყოფილება

კმაყოფილების კვლევა

2018 წლის მიწურულს დაიგეგმა ორგანიზაციული კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანია, შეაგროვოს ინფორმაცია სსიპ შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა შეხედულებებისა და მოსაზრებების შესახებ.

ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ ორგანიზაციის წარმატების მთავარი კომპონენტი კმაყოფილი თანამშრომელია, შესაბამისად, მუდმივად ვცდილობთ ჩვენი დასაქმებულების კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდას. ორგანიზაციული კვლევა ერთ-ერთი ინსტრუმენტია ამ რთულ პროცესში, რომლის დახმარებით, ვცდილობთ, გამოვავლინოთ ყველა ის საჭიროება, რომელიც აქტუალურია ჩვენი თანამშრომლებისთვის და მათზე ინტენსიური მუშაობით მივაღწიოთ შრომითი კმაყოფილების მაღალ მაჩვენებელს.



თანამშრომლებზე ზრუნვის პროგრამა

თანამშრომლებზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სპეციალური ფასდაკლებებით სხვადასხვა ტიპის მოთხოვნადი მომსახურებისა და პროდუქტების მომწოდებელ კომპანიებში.

მორალური მოტივაციის ფარგლებში, 2018 წელს სამსახურებრივი მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის, მადლობის სიგელი გადაეცა შემოსავლების სამსახურის 300 თანამშრომელს.

შიდა კომუნიკაცია

თანამშრომლებთან ეფექტური შიდა კომუნიკაცია ყველა წარმატებული ორგანიზაციის, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. 2018 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამსახურში არსებული შიდა კომუნიკაცია. ამისთვის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, ეტაპობრივად განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება.

თანამშრომლების შრომითი კმაყოფილებისა და შიდა კომუნიკაციის ნახალისების მიზნით, სამსახურში მუდმივად აღინიშნება თანამშრომლების დაბადების დღეები, დღესასწაულებზე იგზავნება სამახსოვრო მისალოცები, ახალი თანამშრომლებისთვის არსებობს მისასალმებელი ბარათები.



თითოეულ თანამშრომელს, შემოსავლების სამსახურის სახელით, დაურიგდა სამახსოვრო ბროშურები. ასევე, 2018 წლის ბოლომდე იგეგმება პროექტის „გადაეცი სურვილი კოლეგას“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც, თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოხატონ კეთილგანწყობა სამახსოვრო ბარათზე და მიაწოდონ იგი კოლეგას, რაც წახალისებს და გააძლიერებს თანამშრომლებს შორის ინტერპერსონალურ ურთიერთობებს.

შიდაკომუნიკაციის ნაწილში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასრულდა ტენდერი და დაიწყო შიდა საკომუნიკაციო პლატფორმის, ინტრანეტის დანერგვის პროცესი, რომელსაც საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრთან ერთად ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი. ამ საკომუნიკაციო პლატფორმის არსებობა, მნიშვნელოვნად გაამარტივებს და გააუმჯობესებს, როგორც თანამშრომლებს შორის, ასევე მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას, საჭირო ინფორმაციის გაცვლასა და ხელმისაწვდომობას.

შიდა საკადრო აქტივობები

2018 წელს, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით, თანამშრომელთა გუნდური შეჯიბრულების, ინტერპერსონალური ურთიერთობების გაუმჯობესებისა და შრომით კმაყოფილების ამაღლების მიზნით, არაერთი საინტერესო და გასართობი საკადრო ღონისძიება განხორციელდა.



• ინფელეშუალური თამაში - „რა? სად? როდის?“

2018 წლის თებერვალს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ინტელექტუალური თამაში - „რა? სად? როდის?“ ჩატარდა. შეჯიბრში სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან შემდგარი 19 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ღონისძიების მიზანი ლოგიკური აზროვნებისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა იყო. გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი და სამახსოვრო ჯილდოები გადაეცა.





● ბოულინგის ჩემპიონატი და ბილიარდის ტურნირი

2018 წლის მარტში, თანამშრომლებს შორის ბოულინგის ჩემპიონატი გაიმართა. პარალელურად, მსურველებს საშუალება ჰქონდათ ბილიარდის ტურნირშიც მიეღოთ მონაწილეობა. სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 200-ზე მეტი თანამშრომელი ჩაერთო. აღნიშნული აქტივობების მიზანი ორგანიზაციაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ასევე, კორპორაციული და გუნდური უნარ-ჩვევების განვითარება და ხელშეწყობა იყო.



● სამაგიდო თამაშები

თანამშრომელთა გუნდური უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და შრომითი კმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, აპრილში, კიდევ ერთი საინტერესო და სახალისო აქტივობა ჩატარდა. „სამაგიდო თამაშების“ აქტივობის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებაში, როგორც კლასიკურ ჭადრაკში, ნარდში, ასევე, სტრატეგიულ, როლურ, სხარტ და ლოგიკურ ამოცანებზე დამყარებულ, მისტიურ, წარმოსახვით და სხვადასხვა მხიარული თამაშის სახეობაში.



● მსოფლიო რბენა - „Wings for Life World Run 2018“

2018 წლის მაისში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები შეუერთდნენ ყველასთვის ცნობილ მსოფლიო მარათონს - „Wings for Life World Run“, რომელიც 2018 წელს კახეთში გაიმართა. მსოფლიო რბენაში შემოსავლების სამსახურის ჩართვის მთავარი მიზანი საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა იყო, ამავდროულად, აღნიშნული აქტივობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და თანამშრომლებს შორის გუნდური შეჭიდულობის გაზრდას ემსახურებოდა.






● ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პავილიონში კიდევ ერთი სახალისო ღონისძიება გაიმართა. გასართობი პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლებს და მათ შვილებს საშუალება ჰქონდათ, ჩართულიყვნენ სხვადასხვა ტიპის სახალისო აქტივობაში. აღნიშნული ღონისძიების მიზანი, თანამშრომლებისა და მათი შვილებისთვის დადებითი შთაბეჭდილებებისა და საზეიმო განწყობის შექმნა გახლდათ.

• ტურნირი კარტინგით რბოლაში

2018 წლის მინურულს, ნოემბერში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა კიდევ ერთი გასვლითი სპორტული აქტივობა - სამოყვარულო ტურნირი კარტინგით რბოლაში. შეჯიბრი ქალებსა და მამაკაცებს შორის ცალ-ცალკე კატეგორიაში წარიმართა. სამოყვარულო რბოლებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები.



რეკრუტინგი შემოსავლების სამსახურში

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში არსებულ 462 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი, შემოვიდა 8047 მსურველის აპლიკაცია, შეფასების ეტაპებით (აპლიკაციების გადარჩევა/შეფასება, ტესტირება, გასაუბრება) შეირჩა და დაინიშნა 368 პირი.



სტრუქტურული ერთეულები	გამოქვეყნებული განაცხადების რაოდენობა	ვაკანსიის რაოდენობა	შემოსული განაცხადის რაოდენობა	ტესტირების რაოდენობა	კონკურსით შერჩეული კანდიდატების რაოდენობა
შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობა	1	1	50	0	1
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი	0	0	0	0	0
ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი	2	2	231	0	2
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	0	0	0	0	0
პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი	5	6	287	0	6
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	9	10	105	0	5
ფინანსური დეპარტამენტი	11	13	763	0	11
იურიდიული დეპარტამენტი	0	0	0	0	0
დავების დეპარტამენტი	7	10	277	0	9
რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი	7	8	327	0	4
ანალიტიკური დეპარტამენტი	0	0	0	0	0
შიდა აუდიტის დეპარტამენტი	1	1	29	0	1

აუდიტის დეპარტამენტი	18	29	552	16	12
მომსახურების დეპარტამენტი	30	46	1060	18	25
მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო	1	3	111	0	3
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	26	66	806	15	59
საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი	0	0	0	0	0
საბაჟო დეპარტამენტი	117	267	3449	85	230
სულ:	235	462	8047	134	368

საკადრო ადმინისტრირება

- უფრო მაღალ პოზიციამდე დაინაწილა 328 თანამშრომელი;
- სხვა პოზიციამდე (პორიბონტალური გადაყვანა) დაინიშნა 637 თანამშრომელი;
- დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის წახალისებულ იქნა 29 თანამშრომელი;
- სამსახურის სტრუქტურული ერთეულების 88 თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა;
- სამსახურის სტრუქტურული ერთეულებიდან გათავისუფლდა 168 თანამშრომელი;
- შტატგარეშე მოსამსახურებთან გაფორმდა - 503 ხელშეკრულება/ურთიერთშეთანხმება;
- სხვადასხვა ორგანიზაციიდან და მოქალაქეებიდან შემოსულ 160 წერილზე მომზადდა შესაბამისი პასუხი;
- სამუშაო ადგილის შესახებ გაიცა 1560 ცნობა, როგორც მოქმედ, ისე ყოფილ თანამშრომლებზე.

სტაჟირება

- ერთიანი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად კადრების რეზერვის შექმნის ხელშეწყობის, პოტენციური თანამშრომლის მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, კონკურსის შედეგად (აპლიკაციების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება) შეირჩა და სტაჟიორად დაინიშნა 416 პირი;
- სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, სტაჟირება გაიარა საქართველოს სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტის 70-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.

პრაქტიკა

შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული კოლეჯის 260-მა სტუდენტმა.





ფინანსური დეპარტამენტი



გიორგი გომარული

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

მოგესალმებით ფინანსური დეპარტამენტის სახელით.

მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება, წარმოგიდგინოთ ფინანსური დეპარტამენტის მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ჩვენი დეპარტამენტის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ეფექტურ საქმიანობას. უზრუნველყოს მათი გამართული მუშაობა, როგორც ფინანსური, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით.

დეპარტამენტის თანამშრომელთა ყოველდღიური გულმოდგინე ძალისხმევის შედეგად, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის გზაზე, საანგარიშო წლის განმავლობაში, შეუფერხებლად ხორციელდებოდა ყველა ის პროექტი და ღონისძიება, რომელიც დასახული/ინიცირებული იყო სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. ამასთან, ქვეყნისა და სამსახურის იმიჯის პირუთვნელად დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამსახურის ინფრასტრუქტურის მოვლა/პატრონობა და მოდერნიზაცია. ზემოხსენებული ღონისძიებების ძირითადი საფუძველი და მთავარი მიზანი იყო ვიზიტორებისა და გადამხდელებისთვის შემოსავლების სამსახურის სერვისების ხარისხიანად მიწოდების პროცესში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის ხელშეწყობა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენდა **167,333.8** ათას ლარს, რომელიც შესრულდა **97.2 %-ით**; კერძოდ:

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	%
სულ 2018 წლის ბიუჯეტი	167,333,8	162,581.0	97.2%

კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 2018 წლის გეგმა განსაზღვრული იყო **114,014.0** ათასი ლარით, რომელიც შესრულდა **3.7 %-იანი** გადაჭარბებით და ფაქტიურად მობილიზებულმა შემოსავალმა **118,205.9** ათასი ლარი შეადგინა.

საგადასახადო/საბაჟო მომსახურების სრულყოფისა და განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, ფინანსური დეპარტამენტი, უწყვეტ რეჟიმში, ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს, რაც მოიცავდა, როგორც მომსახურების ოფისებში სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ისე სხვადასხვა პროგრამების დანერგვას, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას და სამსახურის საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსებას; კერძოდ:

ა) მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისა და ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით სარემონტო/სარეაბილიტაციო/კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე:

- **გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“** - განხორციელდა შენობების ფასადების და შიდა კედლების მოპირკეთების სამუშაოები, სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟი;
- **გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“** - ფიტოსანიტარული კონტროლის შენობაში განხორციელდა, შესაბამისი ევროპული სტანდარტების მასალებით ქერის და კედლების მოპირკეთების სამუშაოები;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“** - დასრულდა შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდა ქერისა და შენობის ინტერიერის სარემონტო სამუშაოები, ასევე სველ წერტილებში მოეწყო დამატებით ახალი სავენტილაციო სისტემები;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთის პორტი“** - განხორციელდა სარკინიგზო სკანერის დაზიანებული 210 გრძივი მეტრი ძაღოვანი კაბელის გამოცვლის სამუშაოები;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“** - გამსვლელ და შემომსვლელ დარბაზებში იატაკების, ტიხრების და ფოტო-ელემენტის კარის მოწყობის სამუშაოები;
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „გუგუთი“** - განხორციელდა საბაჟო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ: დაზიანებული ბეტონის საფარის აღდგენა, დაზიანებული კარბოლუქსის ფილების შეცვლა, ბორდიურების გამოცვლა და ტროტუარების მოწესრიგება, ასევე გრუნტის დამჭერი კედლის მოპირკეთების სამუშაოები და სექციური ღობის მოწყობა;

- **საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“** - დაიწყო შენობის რეკონსტრუქციის, გამაგრება/გაძლიერებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტის განხორციელება. საანგარიშო წელს დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები, კერძოდ: კოლონების ლითონით მოჩარჩოება და კედლების არმირება; ასევე ძველი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა გზის საფარის განახლება/მოასფალტება;
 - **საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლო“** - განხორციელდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისთვის განკუთვნილი, შენობის მშენებლობის მეორე და ძირითადი ეტაპი, მშენებლობა დამამთავრებელ ფაზაშია და 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საბაჟო ინფრასტრუქტურას შეემატება კიდევ ერთი ფიტო-ვეტ კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი და აღჭურვილი ობიექტი.
 - **საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“** - განხორციელდა ფიტო-ვეტის შენობისთვის 7 სამაცივრე ოთახების მოწყობისა და შესაბამისი სამაცივრე დანადგარის მონტაჟის სამუშაოები, ასევე წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად მოეწყო ჭაბურღილი;
 - **საბაჟო გამშვები პუნქტი „კარნახი“** - ფიტო-ვეტის შენობაზე განხორციელდა დოკლევლეურების, კარი-ჟალუზებისა და დამცავი ბარიერები მოწყობის სამუშაოები, მებაჟეების მოსასვენებელ ფართში გარემონტებულ იქნა ჭერი და მოპირკეთდა კედლები, კინოლოგიის შენობაში განხორციელდა იატაკის გათბობის აღდგენის სამუშაოები;
 - **საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდესი“** - განხორციელდა შენობის სარემონტო სამუშაოები;
 - **ლაგოდესის სერვისცენტრი** - განხორციელდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები;
 - **ფოთის სერვისცენტრი** - გამოიკვალა დაზიანებული იატაკები, არსებული სანათები შეიცვალა ლედ ნათების ტიპის სანათებით, განხორციელდა სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია, სამზარეულოს მოწყობის მიზნით გამოთავისუფლებულ ფართში მოპირკეთდა კედლები და იატაკი, ჩატარდა შიდა სამღებრო სამუშაოები, აივნის დაზიანებული მოაჯირები შეიცვალა მინა-ალუმინის მოაჯირებით, განხორციელდა თუნუქის სახურავის რეაბილიტაცია, შენობის ფასადზე (ეზოს მხარეს) მოეწყო შეფერილი თუნუქი, განხორციელდა როგორც ძირითადი შენობის ფასადის, ასევე დამხმარე შენობების სამღებრო სამუშაოები და შეიცვალა დაზიანებული ვიტრაჟები, განხორციელდა ღობის რეაბილიტაცია, დამონტაჟდა ახალი სტანდარტული ფლაგშტოკები (სადროშე ბოძები), არქივის სათავსოს მოწყობის მიზნით განხორციელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
 - **საგარეჯოს სერვისცენტრი** - დასრულდა რეკონსტრუქციის სამუშაოები;
 - **გესტაფონის სერვის ცენტრის ჭიათურის წარმომადგენლობა** - განხორციელდა ოფისის, როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიერის სრული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- ასევე, შემოსავლების სამსახურის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა:
- **თბილისში, კინოლოგიის (ორხევი) სასწავლო ბაზა** - განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები და საკანალიზაციო ქსელის სრული რეაბილიტაცია;

- **ადმინისტრაციული შენობა (თბილისში, კოსტავას N68ა) - განხორციელდა გრუნ-ტის დამჭერი კედლის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით და დასრულდა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები.**

შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე და ასევე სამსახურის სხვადასხვა ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით (არაფინანსური აქტივების ზრდა) 2018 წელს, ჯამში, დაიხარჯა დაახლოებით 7,4 მილიონი ლარი. აქედან საბაჟო და საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესებისა და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით შეძენილ იქნა:


კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემთა ბაზების უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამები, კერძოდ: შესყიდულ იქნა 270 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში განახლდა მომხმარებელთა ნაკადის მართვის და ვიდეო სათვალთვალო სისტემები, საბაჟო დეპარტამენტის სხვადასხვა საბაჟო გამშვების პუნქტებისათვის შეძენილ იქნა 4 ერთეული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით), არაგაბარეული და სახიფათო ტვირთების მქონე სატრანსპორტო საშუალებების რიგის მართვისა და ნაკადის რეგულირების სისტემა. შეძენილ იქნა 370 პერსონალური და 140 ერთეული პორტატული კომპიუტერი, საგადასახადო მონიტორინგისა და საბაჟო დეპარტამენტის ოფიცრებისთვის შესყიდულ იქნა სხეულზე სატარებელი პულტიანი ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და ა.შ.

ფინანსური დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით, ხორციელდებოდა სხვადასხვა ლოკაციაზე განლაგებული შემოსავლების სამსახურის სარეგებლობაში არსებული დაახლოებით 65 ობიექტის მოვლა-პატრონობა, რაც მოიცავს ამ ობიექტების მოვლა/დასუფთავებაზე ზრუნვას, აქ განლაგებული ინვენტარის, გათბობა/გაგრილების სისტემების, ელექტროენერგიის ძირითადი და ალტერნატიული წყაროების დანადგარების, სატრანსპორტო და სხვადასხვა სპეც. ტექნიკის უწყვეტად მუშა მდგომარეობაში ყოფნას და გამართულად ფუნქციონირებას. გარდა ამისა ფინანსური დეპარტამენტის წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა მოიცავს შემოსავლების სამსახურის დაახლოებით 4 000-მდე თანამშრომლის საქმიანობის მატერიალურ/ტექნიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფას.

ფინანსური დეპარტამენტი, საარქივო საქმიანობის მიმართულებით, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ რეფორმაში, კერძოდ „სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მიზნით, საჯარო რეესტრიდან, მოცემულ პერიოდში, შემოსულია და პასუხგაცემულია **51,689** წერილი, მათი უმეტესობის საფუძველზე შესრულებულია მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია.

ფინანსური დეპარტამენტის საარქივო სამმართველოში, გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ელექტრონულად დამუშავდა და დაარქივდა სულ **846,853** გადამხდელის სარეგისტრაციო/დაბეგვრის საქმის დოკუმენტი.





იურიდიული დეპარტამენტი



ლევან წითელაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

მოგესალმებით, მეგობრებო!

მინდა წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის გასული 2018 წლის ანგარიში და, ამასთან, ვისარგებლო შემთხვევით და დეპარტამენტის თითოეულ თანამშრომელს, ისე როგორც ჩვენს კოლეგებს შემოსავლების სამსახურში, მადლობა გადავუხადო გაწეული შრომის, ერთგულებისა და კოლეგიალურობისათვის.

წლების განმავლობაში, იურიდიული დეპარტამენტის გუნდის საქმიანობა ყოველდღიურად დაკავშირებულია სამსახურისათვის მნიშვნელოვანი საკითხების სამართლებრივ რეგულირებასთან, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების შემუშავებასთან, დოკუმენტებისა თუ ხელშეკრულებების სამართლებრივ ექსპერტიზასთან და სამსახურის საქმიანობის პროცესში დამდგარ გამოწვევებზე დროულ და სწორ სამართლებრივ რეაგირებასთან.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს, წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ მოკლე ინფორმაციას, მონაცემებს განხილული და გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და, ასევე, რიგ სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- საგადასახადოს გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;
- სამსახურში სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების და მეთოდური მითითებების შემუშავება;
- სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა.

გასული წლის განმავლობაში, იურიდიულმა დეპარტამენტმა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:

- განიხილა და მოამზადა შენიშვნები და რეკომენდაციები 49 საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტზე;
- უპასუხა შემოსავლების სამსახურში შემოსულ 869 განცხადებას, რომლის შემსრულებლად, სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ, განისაზღვრა იურიდიული დეპარტამენტი;
- განიხილა 72 კანონპროექტი, რომელიც სხვადასხვა უწყებიდან გადმოგზავნილ იქნა სამსახურში და კომპეტენციის ფარგლებში წარედგინა იურიდიულ დეპარტამენტს;
- მოამზადა 86 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი და 83 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- განიხილა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ინიცირებული 200-მდე საკითხი, რომელიც წლის განმავლობაში წარედგინა საქართველოს მთავრობას განსახილველად;
- დააკმაყოფილა 58 განმცხადებლის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- საკოორდინაციო საბჭოს სდხომის 3 ოქმი მომზადდა.

შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით, საგადასახადო ანგარიშგების წესების ან შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე, წინასწარი გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებული სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირებას.

იურიდიული დეპარტამენტის მიერ, 2018 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით, განხილულ იქნა 105 მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე. 2018 წელს განხილული მოთხოვნებიდან, 38 მოთხოვნა, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე, შემოსული იყო 2017 წელს, ხოლო 67 მოთხოვნა - 2018 წელს. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე უარი ეთქვა 10 გადამხდელს, ხოლო გამოიცა 64 წინასწარი გადაწყვეტილება.

თვეების მიხედვით წინასწარი გადაწყვეტილების განხილვის პროცესი ასე გამოიყურება:

წინასწარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
განხილული მოთხოვნები წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე, აქედან:	42	46	34	39	45	51	46	47	42	50	44	45
· უარი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე	0	0	1	0	1	2	3	0	0	0	3	0
· მიმდინარე განხილვის რეჟიმში (მათ შორის სამინისტროში გაგზავნილი შესათანხმებლად)	42	25	32	39	44	36	43	41	42	42	41	30
· გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება	0	21	1	0	0	13	0	6	0	8	0	15

მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განხილულ იქნა წინასწარი გადაწყვეტილებების გამოცემისას და შემუშავდა სამსახურის ერთიანი მიდგომა:

- საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, როდესაც აქციონერის მიერ აქციების მიღება (რეგისტრაცია) წინ უსწრებს აქციების სანაცვლოდ კაპიტალში შენატანის განხორციელებას;
- ბარტერული ოპერაციის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის შესაბამისად, უძრავი ქონების მიწოდების დღე-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების საკითხი;
- მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის ფასის განსაზღვრის საკითხი, როდესაც აქციების მიყიდვა ხდება საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ღირებულებით;
- საწარმოს რეორგანიზაციისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხი;
- არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ წმინდა მოგების განაწილებისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა, როდესაც საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში;
- ერთ ჯგუფში შემავალ საწარმოთა რესტრუქტურისაგან საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა;
- მაინინგის პროცესთან დაკავშირებული მომსახურებების განწესის ადგილის განსაზღვრის საკითხი დღგ-ის მიზნებისთვის;
- საქველმოქმედო ორგანიზაციაზე შემოწირულობის გაცემის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხი;
- საწარმოს შესაძენად გადახდილ საკომპენსაციო თანხასა და შეძენილი აქტივების ღირებულებას შორის დადებითი სხვაობის გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გუდვილად განხილვის საკითხი;
- არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის განკუთვნილი მოგების გატანის საკითხი;
- სავსე ან/და ცარიელი კონტეინერის მოცდენისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მომსახურების კომპონენტად განხილვა და დღგ-ით დაბეგვრის საკითხი;
- საწარმოს საწესდებო კაპიტალის შემცირებისას (ფულადი სახით) საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა მოგების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადის და დღგ-ის მიზნებისათვის;
- ექსპროპრიაციის დროს საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა;
- ტურისტული საწარმოს სტატუსის მიღებამდე და სტატუსის მიღების შემდგომ პერიოდებში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა;
- კლინიკური კვლევის მომსახურების განწესისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა;

- მსუბუქი ავტომობილის სარგებლობაში საბოლოო შესყიდვის უფლებით გადაცემის გადასახადებით დაბეგვრა;
- ტურისტულ სფეროში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა და საგადასახადო შეღავათის გავრცელება;
- მუდმივი დაწესებულების წარმოშობის საკითხი, როდესაც უცხოური საწარმოს ფილიალი ასრულებს დამხმარე საქმიანობას;
- საწარმოს ყველა აქტივის მიწოდებისას საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა და საგადასახადო შეღავათის გავრცელება;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხი, იმ შემთხვევაში, როდესაც ბიოლოგიური აქტივი წარმოებულია იურიდიული პირის მიერ საქართველოში ან იმპორტირებულია.

იურიდიული დეპარტამენტის მიერ გასული 2018 წლის განმავლობაში შემუშავდა და განხილულ იქნა სხვადასხვა სამართლებრივი აქტის პროექტები, მათ შორის:

- „საქართველოში იმპორტის მიზნით შემოსატანი/შემოტანილი საქონლისათვის გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების, მისი აღრიცხვისა და გამოყენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სახელმწიფო წოდებებსა და სოციალური დაცვის სპეციალურ გარანტიებთან დაკავშირებით;
- „საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით;
- „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, არარეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- „პირისთვის სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის დადგენისა და აღნიშნული სტატუსის მქონე პირის ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირისათვის აქციით დაბეგვრის ობიექტის, აქციის გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ცალკე აღსანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც მომზადდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, და შეეხებოდა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ:

- იმ შემთხვევაში, თუ აბარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვას და, ასევე, აკმაყოფილებს „ლატარიების, აბარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით და სამორინეს მოწყობის ნებართვის შემთხვევაში მე-19 მუხლის

- პირველი პუნქტის გ¹ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აღნიშნული ნებართვა შესაძლებელია გადაეცეს ნებართვის მფლობელი პირის უფლებამონაცვლეს;
- ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშფაქტურების რეესტრის ცვლილებასთან და, ასევე, ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტით მოსარგებლე პირთა წრის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- საწარმოთა რეორგანიზაციისას ავანსის დღგ-ით დაბეგვრასთან დაკავშირებით;
- გადასახადის გადამხდელთა შემოწმებისას საბაზრო ფასის გამოყენების შემთხვევების განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭებასა და მათ მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- საგადასახადო დოკუმენტის ფორმის და მისი შევსების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- მრავალშვილიანი პირების საშემოსავლო გადასახადის ნაწილში არსებულ საგადასახადო შეღავათთან დაკავშირებით;
- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის იდენტიფიცირების საშუალებებით ნიშანდებასთან დაკავშირებით;
- სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებით.

იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში:

- „საქონლით ვაჭრობაში ფორმალუბების გამარტივების შესახებ“ და „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ 1987 წლის 20 მაისის კონვენციებთან მიერთების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში;
- ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარულ და სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების სტანდარტების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციებისა და ევროკავშირის სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში;
- კიოტოს კონვენციასთან მიერთებისათვის საჭირო პროცედურების განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფში;
- „მცენარეთა სიჯანსაღის, ცხოველთა ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების შექმნის თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში;
- „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ“ (TFA) შეთანხმების 23 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის ფორმირებასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტის პროექტის მოსამზადებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფში;
- საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტის ამოქმედებისას საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემისა და მოქმედ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განსახორციელებელი ცვლილებების უზრუნველსაყოფად შექმნილ სამუშაო ჯგუფში;
- საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის უკანონოდ განკარგვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 და მე-19¹ ნაწილებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების თაობაზე გადანყვეტილებების ანალიზის შე-

დეგად მომზადებული რეკომენდაციების კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში.


იურიდიული დეპარტამენტის მიერ 2018 წლის განმავლობაში მომზადდა 19 სიტუაციური სახელმძღვანელო შემდეგ თემატიკაზე:

- ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვა;
- დღგ-ის ჩათვლა საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებათა მიხედვით;
- დღგ-ის ჩათვლა გამოვლენილ დანაკლისზე;
- მიღებული დაფინანსების დღგ-ით დაბეგვრა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა;
- ძირითადი საშუალების გამოქვითვა;
- ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის მიხედვით ვადის დარღვევით განხორციელებული ანგარიშგება;
- დღგ-ის ჩათვლა მზა პროდუქციის ნაშთზე;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ოპერაციაზე დღგ-ის ვალდებულებების განსაზღვრა;
- ამხანაგობიდან მიღებული საცხოვრებელი ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა;
- დღგ მომსახურების სახით საწარმოს კაპიტალში განხორციელებულ შენატანზე;
- დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება;
- ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციის დაბეგვრის შედეგები;
- ოჯახის შემოსავლის განსაზღვრა ქონების გადასახადის მიზნებისათვის;
- სამემოსავლო გადასახადით დასაბეგრი სარგებლის თანხა;
- ქონების გადასახადის შესამოწმებელი პერიოდი;
- ჯარიმა ინვენტარიზაციით გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისზე;
- საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სმფ-ის დანაკლისი;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ დაზღვევის ფარგლებში გაწეული მომსახურება.

სამსახურსა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო კომპანიასთან ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმების დასტურად, მომზადდა მემორანდუმის პროექტები შემდეგ თემებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რაც მიზნად ისახავს მხარეთა თანამშრომლობის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ ინფორმაციის მიწოდებას ქალაქ თბილისის მერიისთვის ვებ-გვერდზე განსათავსებლად. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერია, ყოველი თვის 19 რიცხვში, შემოსავლების სამსახურს აწვდის გადასახადის გადამხდელ სუბიექტთა საიდენტიფიკაციო ნომრებს და საქმიანობის სფეროს, რომლის საფუძველზე შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს არა ნაკლებ ხუთი გადასახადის გადამხდელი სუბიექტის ჯგუფის შესახებ ჯამური ინფორმაციის ქალაქ თბილისის მერიისთვის მიწოდებას. პროექტი თანხმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტს შორის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტების შემოსავლების სამსახურში საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე;
- საქართველოში მოქმედ 14 კომერციულ ბანკს შორის მონაცემთა მიმოცვლის შესახებ მემორანდუმები გაფორმდა 14 კომერციულ ბანკთან, ხოლო 7 ბანკთან გაფორმდა მემორანდუმები მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.





მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო





ჯირისტინა ლორთქიფანიძე

მომსახურების ხარისხის კონტროლის
სამმართველოს უფროსი

მოგესალმებით,

მოხარული ვარ, რომ 2018 წელს, შემოსავლების სამსახურის მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველოს ხელმძღვანელობით, ვემსახურე ჩემს ქვეყანას. ამასთან, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ სამმართველოს 2018 წლის საქმიანობა და მიღწევები.

ჩვენი სამსახურის მიზანია, მოქალაქეებს მაქსიმალურად გავუმარტივოთ ურთიერთობა და მაღალი ხარისხის მომსახურებით უზრუნველვყოთ. შესაბამისად, ჩვენი სამმართველოს მთავარი ფუნქციაა მომსახურების პროცესზე თვალის დევნება და მისი მუდმივი გაუმჯობესება.

2018 წელს, მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველომ მომსახურებაში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და გამოსწორების კუთხით არაერთი პროექტი დაიწყო და განახორციელა. სათავეში ჩაუდგა ისეთ პროექტებს, როგორებიცაა:

- „ეფექტური მომსახურების სტანდარტების“ გადახედვა/შემუშავება;
- ეფექტურ მომსახურებაში წინა ხაზის თანამშრომელთა გადამზადება;
- სერვისცენტრების თანამშრომელთა მომსახურების მონიტორინგი და შეფასება;
- გადამხდელების კმაყოფილების კვლევა.

სიამაყით აღვნიშნავ, რომ მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველოს გუნდი მზად არის თავდაუზოგავი შრომისთვის, რათა შემოსავლების სამსახურმა მოქალაქეებს სწრაფი, ეფექტური და მაღალი დონის მომსახურება შესთავაზოს.

- **მომსახურების სტანდარტის განახლება/შექმნა** - წინა ხაზის თანამშრომლებში მომსახურებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ურთიერთობის წარმართვისა და ეთიკის ნორმების ამაღლების მიზნით, როგორც სერვისცენტრის, ასევე, ქოლცენტრის, უბნის ოფიცრებისა და საბაჟო მომსახურების დეპარტამენტებისთვის არსებული სტანდარტები განახლდა. აღნიშნული სტანდარტი ასახავს სამსახურის მიზანს, უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი.

მოცემული დოკუმენტების შემუშავებაში, მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო და მეთოდოლოგიის დეპარტამენტი იღებდა მონაწილეობას.

- **„ეფექტური მომსახურების“ ტრენინგების ორგანიზება** - თანამშრომელთათვის ტრენინგის ფორმატით, განახლებული სტანდარტების სწავლება განხორციელდა. „ეფექტური მომსახურების“ ტრენინგში, სერვისცენტრისა და ქოლცენტრის თანამშრომლებმა, ასევე უბნის ოფიცრებმა თბილისისა და რეგიონის მასშტაბით მიიღეს მონაწილეობა.


აღნიშნულ ტრენინგს, მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო, ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტთან ერთად ხელმძღვანელობდა.

უბნის ოფიცერი	55
სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველოს კონტროლის განყოფილების თანამშრომელი	6
პირადი საგადასახადო მრჩეველი	22
ქოლცენტრის თანამშრომელი	30
სერვისცენტრის თანამშრომელი	112

- **სამმართველოს დაკომპლექტება და სამუშაო გეგმის განერა** - სამმართველოს სამუშაოს სამწლიანი გეგმა გაიწერა, რომელიც სერვისების შეფასებისა და მონიტორინგის გზებს, ასევე, მეთოდების ეფექტურად დანერგვის ეტაპებს მოიცავს.


პარალელურად, სამმართველოს გუნდის დაკომპლექტების მიზნით, 3 ახალი თანამშრომელი დაინიშნა, ასევე, ერთი თანამშრომელი აყვანილ იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ.

- **სერვისცენტრების თანამშრომელთა მომსახურების ხარისხის შეფასება** - დაქირავებული კერძო კომპანიის მიერ, მოქალაქეებთან განუღი მომსახურების ხარისხის შეფასებლად კვლევა ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით სერვის-ცენტრის 114 თანამშრომელი შეფასდა. სერვისის შეფასებები დადგენილი მომსახურების სტანდარტის საფუძველზე განხორციელდა.



- **მოქალაქეებისგან სერვისთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღება და სერვისით კმაყოფილების შეფასება** - 2018 წლის შემოდგომაზე, სამმართველოს თანამშრომლებმა, განახორციელეს პროექტი, რომლის მიზანი მომხმარებელთა მიწოდებული სერვისით კმაყოფილების შეფასება და მომსახურების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენა იყო. პროექტი, როგორც თბილისის, ასევე რეგიონების (თელავის, გორის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის) სერვისცენტრებში განხორციელდა.





საგადასახადო და
საბაჟო მეთოდოლოგიის
დეპარტამენტი





რომან ბულაძე

საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის
დეპარტამენტის უფროსი

მე, როგორც შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მოხარული ვარ და სიამოვნებით წარმოგიდგენთ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

მინდა გაცნობოთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციების გამოცდილებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund) რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2018 წელს შეიქმნა საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი, რომლის მიზანია საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პოლიტიკის განსაზღვრა.

2018 წლის განმავლობაში, დეპარტამენტმა კანონმდებლობის სრულყოფისა და კანონმდებლობის გამოყენების ერთგვაროვანი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, მოამზადა წინადადებები, რეკომენდაციები და შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებებისა და პროცედურული/სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტები. შესწავლილ იქნა საგადასახადო კანონმდებლობის ნორმათა გამოყენების პრაქტიკა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები.

დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული შემოსავლების სამსახურის 2017-2020 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების პროცესში. სტრატეგიული მიზნების ფარგლებში, მუშაობა მიმდინარეობდა დღგ-ის ზედმეტობების ავტომატური დაბრუნებისა და სანქციების სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის დანერგვის პროექტებზე. ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა გადამხდელებისთვის დისტანციური სერვისების განვითარების პირველადი კონცეფცია. ამასთან, შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გადამხდელების დეკლარირების კულტურის ამაღლების მიმართულებით.

და ბოლოს, მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო გუნდის თითოეული წევრის მიმართ. სწორედ ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა და საქმისადმი ენთუზიაზმი არის დასახული მიზნების წარმატებით შესრულების წინაპირობა.

❖ **საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი, შექმნის დღიდან, აქტიურად შეუდგა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ საქმიანობას. 2018 წლის განმავლობაში, დეპარტამენტი, სტრატეგიულად, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს უძღვებოდა:**

- **დღგ-ის ავტომატური დაბრუნება** - საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა უმნიშვნელოვანესი რეფორმის განხორციელების იდეას, რომელიც გულისხმობს დღგ-ის ზედმეტობების გამარტივებულ და უსწრაფესი, ავტომატური დაბრუნების სისტემის დანერგვას. ამ მიზნით, 2018 წლის განმავლობაში, დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული სამუშაო პროცესში, რის შედეგადაც შეიქმნა რამდენიმე პროცედურული სახელმძღვანელო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი მომზადდა.

დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა, გადასახადის გადამხდელისათვის სიდიდის შესაბამისი სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს მოიცავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გასულ წელს, დეპარტამენტის მიერ, შემუშავდა გადამხდელთა სიდიდის ჭრილში სეგმენტაციის კრიტერიუმებისა და გადამხდელისთვის სიდიდის სხვადასხვა კატეგორიის მინიჭების/გაუქმების მეთოდოლოგიის პროექტი. დღგ-ის ავტომატური დაბრუნების წესის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, უშუალოდ დეპარტამენტის მიერ და ანალიტიკური დეპარტამენტის ჩართულობით, დღგ-ის ავტომატური დაბრუნების, ავტომატური დაბრუნების რისკების მოდულების მართვისა და დღგ-ის დეკლარაციების საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის პროცედურული სახელმძღვანელოები მომზადდა.

- **სანქციების სისტემის რეფორმა** - საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით შექმნილი ჯგუფი, შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი სამართალდარღვევების მიხედვით სანქციების სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის დანერგვის კონცეფციის შემუშავებაზე მუშაობდა. სამუშაო ჯგუფმა პირისათვის, სანქციის დაკისრების რეგულაციების სახელმძღვანელო პრინციპები ჩამოაყალიბა, რომლებიც არსებითად შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტის რეკომენდაციებს. აღნიშნული პრინციპების მნიშვნელოვანი ნაწილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებათა პაკეტში აისახა.

- **ქეის მენეჯმენტი** - საგადასახადო შემოსავლების ეფექტიანი ადმინისტრირების, მათ შორის, დროითი და შრომითი რესურსების რაციონალური გადანაწილების მიზნით, შემოსავლების სამსახურის სისტემაში გამოკვეთილია პროცესების მართვის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის საჭიროება.

2018 წელს, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, აღნიშნული ამოცანის გადაჭრის გზაზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, ინტენსიური სამუშაო პროცესების განხორციელების შედეგად, შემუშავდა დოკუმენტი - „ტექნიკური დავალება საგადასახადო აუდიტის პროცესის მართვის ფუნქციონალური მოთხოვნები სისტემის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა აუცილებელი წინაპირობაა პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის, შემდგომი საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად, რაც გულისხმობს უშუალოდ პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას.

- **დისტანციური სერვისების განვითარება** - შემოსავლების სამსახურის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია, ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით, დაინტერესებულ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება. გადამხდელეთან ურთიერთობა ისე უნდა გაადვილდეს, რომ მინიმალური იყოს, ან საერთოდ არ იყოს საჭირო და აუცილებელი მათი ვიზიტი მომსახურების სერვისცენტრებში და უშუალო კომუნიკაციით იმ სერვისებით სარგებლობა, რომლებიც შესაძლებელია დისტანციურად მიეწოდოს.

2018 წელსვე, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი, ამ მიზნის მიმართულებით აქტიურ მუშაობას შეუდგა. უკვე შემუშავებულია დისტანციური სერვისების განვითარების კონცეფციის პირველადი ვერსია. ამასთან, დეპარტამენტში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული გადამხდელთა განათლებისა და მომსახურების მეთოდოლოგიის სამმართველოს სახით. ასევე, მომავალი წლიდან, ამ მიმართულებით, უფრო ინტენსიური აქტივობა იგეგმება.

- **მცირე ბიზნესი** - მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და ამ კატეგორიის გადასახადის გადამხდელთათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2018 წელს საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მიერ, შემუშავდა „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999

ბრძანებაში ცვლილების პროექტი. აღნიშნული პროექტი, შესაბამისი სტატუსის მინიჭების, გაუქმების, სტატუსის მქონე პირის საქმიანობის, ასევე, საგადასახადო ანგარიშგების მარეგულირებელ დეტალურ ინსტრუქციას მოიცავს. აღნიშნული ინსტრუქციის მიღება აუცილებელი იყო სტატუსის მქონე, ან სტატუსის მინიჭების მსურველი პირების მიერ, მათთვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობის რეალიზაციისათვის. ინსტრუქციის შემუშავების პარალელურად, საგადასახადო გადამხდელთა დროული და ეფექტური ინფორმირების მიზნით, მცირე ბიზნესის სტატუსის საქმიანობასთან და დაბეგვრასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე მცირე ბიზნესის გამკვლევი მომზადდა.

- **ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი** - „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2018 წლის 4 მაისის №2327-III საქართველოს კანონით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლს დაემატა 4¹ ნაწილი, კანონპროექტის მიღების მიზანი იყო სსკ-ის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო შემონმებისას, დასაბეგრი ქონების ღირებულება საბაზრო ფასით განისაზღვროს.

ამდენად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ქონების ღირებულების საბაზრო პრინციპით განსაზღვრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მიერ, მომზადდა საგადასახადო შემონმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი, რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში აისახა.

- **სპეციალური სანარმო** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სავაჭრო ურთიერთობების წახალისების, გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მიიღო. მათ შორის, ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსშიც. განხორციელებული ცვლილებებით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, შესაძლებლობა ეძლევათ სპეციალური სანარმოს სტატუსი მიიღონ და გადასახადის გადამხდელად აღირიცხონ. ამგვარი სტატუსის მქონე პირებისათვის, კოდექსით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებიც.

2018 წელს, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტმა, აღნიშნული ინიციატივის იმპლემენტაციის მიზნით, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები შეიმუშავა. ესენია: „პირისთვის სპეციალური სანარმოს სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის დადგენისა და აღნიშნული სტატუსის მქონე პირის ფუნქციონირების წესი“ და „სპეციალური სანარმოს სტატუსის მქონე პირისათვის აქციზით დაბეგვრის ობიექტი, აგრეთვე აქციზის გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესი“.

- **საგადასახადო დოკუმენტი** - საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და გადასახადის გადამხდელთათვის საგადასახადო აღრიცხვის გამარტივების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტი შემუშავდა. საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა საგადასახადო დოკუმენტის დანერგვისათვის აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავებაში, რომლითაც საგადასახადო დოკუმენტის ფორმა და მისი შევსების წესი დამტკიცდა.

- ❖ **საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა შემოსავლების სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტების მიერ, ცალკეული ფუნქციის შესრულების პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავება. აღნიშნულის ფუნქციის ფარგლებში, დეპარტამენტმა შეიმუშავა „შემოსავლების სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტების პროცედურული სახელმძღვანელოს ფორმის, მისი შემუშავებისა და გამოყენების შესახებ“ პროცედურული სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც შემოსავლების სამსახურის 2018 წლის N29255 ბრძანებით დამტკიცდა. აღნიშნული დოკუმენტი, შემდგომში შესამუშავებელი პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის ჩარჩო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.**

- ❖ **დეპარტამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა შემოსავლების სამსახურში არსებული პროგრამების შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზების მოძიება. 2018 წლის განმავლობაში, აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში, დეპარტამენტის მიერ, არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა, მათ შორისაა:**

- **სათამაშო აპარატების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის შემოღების ინიცირება** - დეპარტამენტმა მოახდინა სათამაშო აპარატებით აზარტული თამაშობების მომწეობი პირების საგადასახადო შემოწმების შედეგების ანალიზი, რა დროსაც ხარვეზი გამოიკვეთა. კერძოდ, დადგინდა, რომ კანონმდებლობით სრულყოფილად არ არის დარეგულირებული სათამაშო აპარატის მონაცემების აღრიცხვის წესები.

დეპარტამენტმა შეიმუშავა კონცეფცია, რომელიც გულისხმობს სათამაშო აპარატებით აზარტული თამაშობების მომწეობი პირების საგადასახადო ადმინისტრირების ღონისძიებების ისე გაუმჯობესებას, რომ ახალმა რეგულაციამ მაქსიმალურად უზრუნველყოს სათამაშო აპარატებიდან საგადასახადო კონტროლის ღონისძიებებისთვის საჭირო ინფორმაციის აღრიცხვა. ამგვარი რეგულაციის შემოღება გაზრდის სამართლებრივ სიცხადეს და დაამკვიდრებს შესაბამის სფეროში გადამხდელთათვის მარტივ, ნათელ და ერთგვაროვან აღრიცხვის წესებს, რაც საგადასახადო ადმინისტრირების ხარისხს გააუმჯობესებს.

- **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა** - ჩვენმა დეპარტამენტმა, შეისწავლა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა (რეგულაცია) სათანადოდ ვერ ითვალისწინებს იმ ტიპის სმფ-ების ჩამოწერის შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს, როგორც ტარას, ასევე, ტარაში არსებულ შიგთავსს/სითხეს.

არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტმა შეიმუშავა „სმფ-ების ჩამოწერის“ შესახებ პროცედურული სახელმძღვანელოს“ პროექტი.

- **საწარმოო დანაკარგის აღრიცხვის პრონციპები** - დეპარტამენტმა ასევე შეაფასა გადასახადის გადამხდელთა მხრიდან წარმოების პროცესში არსებული დანაკარგების აღრიცხვისა და კონტროლის არსებული პროგრამა. შეფასების პროცესში, საოპერაციო დეპარტამენტებთან და ცალკეული დარგის მენარმე სუბიექტების წარმომადგენლებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრები.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ პრობლემატურია ბიოლოგიურ აქტივთან და სხვა ტიპის საწარმოო დანაკარგებთან დაკავშირებით აღრიცხვისა და მონიტორინგის განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტი საწარმოო დანაკარგების აღრიცხვისა და კონტროლის ახალ კონცეფციაზე აქტიურად მუშაობდა.

- **მონაცემთა შევსების ავტომატიზაცია** - დეპარტამენტმა საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტში დეკლარირებული მონაცემების შევსების პრინციპები შეისწავლა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მონაცემების შევსება მექანიკურად ხორციელდება, რაც დაკავშირებულია შრომითი რესურსის ხარჯვასთან და შევსებისას ტექნიკური შეცდომების რისკთან.

ავტომატური შევსების სისტემის დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, აუდიტის პროცესში ჩართული პირების დროითი და შრომითი რესურსების დაზოგვისა და მექანიკური შეცდომების პრევენციის მიზნით, დეპარტამენტმა მონაცემების შევსების ავტომატიზაციის კონცეფცია შეიმუშავა.

- **არარეზიდენტი პირებისათვის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის აღრიცხვის მოდული** - დეპარტამენტმა შეაფასა, არარეზიდენტი პირების მიერ მიღებული შემოსავლების გადახდის წყაროსთან დაბეგვრასთან დაკავშირებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე, ზედმეტად დაბეგრილი გადასახადის დაბრუნებასთან დაკავშირებით არსებული პროგრამა. შეფასების პროცესში გამოიკვეთა რომ არსებული პროცედურები დასახვეწია. ამ მიზნით, დეპარტამენტი „არარეზიდენტი პირებზე დარიცხული/შემცირებული თანხების ელექტრონული აღრიცხვის მოდულის“ შემუშავებაზე მუშაობდა. აღნიშნული მოდული უზრუნველყოფს, როგორც გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციით დარიცხული/შემცირებული, ისე, მომსახურების დეპარტამენტის მიერ კომპეტენციის ფარგლებში დაბრუნებული და აუდიტის დეპარტამენტის მიერ საგადასახადო შემოწმების დროს დარიცხული/შემცირებული თანხების დეტალურ აღრიცხვას.

- **ჩამოსასხმელი სასმელების მარკირების პრობლემა** - ჩვენმა დეპარტამენტმა შეისწავლა არაალკოჰოლური გაზიანი სასმელების მარკირებასთან დაკავშირებით არსებული პროცედურები. გამოვლინდა, რომ გაზიანი, შაქრისა ან სხვა დამატკბობლების (ლიმონათებისა და წველების) საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილებში ჩამოსხმის გზით მიწოდება ექვემდებარება სავალდებულო მარკირებას, რაც არსებითად ართულებს აღნიშნული საქმიანობის საგადასახადო ადმინისტრირებას. ადმინისტრირების პროცესის გამარტივების მიზნით, დეპარტამენტმა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996

ბრძანების ცვლილების პროექტი მოამზადა. პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილზე გაზიანი, შაქრისა ან სხვა დამატკბობლების (ლიმონათებისა და წვენების) სავალდებულო მარკირებისაგან გათავისუფლებას.

- **მტკიცებულებების მოპოვების პროცესის მონესრიგება** - დეპარტამენტმა გაანალიზა საგადასახადო კონტროლის პროცესში მტკიცებულებათა შეგროვებასთან დაკავშირებით არსებული პროცედურები და პრაქტიკა. მათ შორის, გაანალიზდა ამ საკითხთან დაკავშირებით საგადასახადო დავების პრაქტიკა. გამოვლინდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საგადასახადო დავის საფუძველი ხდება საგადასახადო კონტროლის შედეგად ფიქსირებული მონაცემების მტკიცებულებებით არასაკმარისად/არასათანადოდ გამაგრების პრაქტიკა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება, მომზადდეს საოპერაციო დეპარტამენტებისათვის საგადასახადო კონტროლის (მათ შორის, საგადასახადო შემოწმებისას) პროცესში მტკიცებულებების მოპოვების შესახებ პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება. 2018 წელს უკვე მომზადდა საგადასახადო შემოწმების პროცესში მტკიცებულებების მოპოვების ძირითადი ეტაპებისა და, თითოეული ეტაპის დროს, აუდიტორის მიერ მოსაპოვებელი მტკიცებულებების ჩამონათვალის ამსახველი პროცედურული სახელმძღვანელოს შუალედური პროექტი.

- ❖ **განმარტებები საოპერაციო დეპარტამენტებისთვის - საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომის დანერგვის მიზნით, სამსახურის სტრუქტურული ერთეულებისათვის განმარტებითი მითითებების შემუშავება და მიწოდება. აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში, საოპერაციო დეპარტამენტებიდან, 2018 წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ იგზავნებოდა შეკითხვები სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. დეპარტამენტის მიერ გაანალიზდა და პასუხი გაეცა 80-მდე პრობლემატურ საკითხს.**

- ❖ **სიტუაციური სახელმძღვანელოები - საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის, საგადასახადო კოდექსის ნორმების გამოყენების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრების, ასევე, ერთგვაროვანი მიდგომისა და კანონის ჩანაწერის ორგანოვანი განმარტების და, შესაბამისად, განსხვავებული შეფასების რისკის აღმოფხვრის მიზნით, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მიერ, სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტები შემუშავდა, რომელთაგან ნაწილი დამტკიცებულია (11), ხოლო ნაწილზე (20) მიმდინარეობს კონსულტაციები, მათი შემდგომი დამტკიცების მიზნით.**

- ❖ **საბაჟო და საგადასახადო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი, გასული წლის განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა საბაჟო მიმართულებითაც. დეპარტამენტი ჩართული იყო სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტში:**

- **ახალი საბაჟო კოდექსი - 2018 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ახალი საბაჟო კოდექსის პრეზენტაცია გააკეთა. საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი აღნიშნული პროექტის განხილვაში აქტიურად იყო ჩართული და პროექტის სრულყოფის პროცესში თავისი წვლილი შეიტანა.**

ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებით დღის წესრიგში დგება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება. ამ მიმართულებით, დეპარტამენტმა მუშაობა დაიწყო და უკვე დაიგეგმა განსახორციელებელი ღონისძიებებიც. შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლების შემადგენლობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას.

- **საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო - საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტთან და მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად, ჩართული იყო საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში. სახელმძღვანელო განკუთვნილია შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისათვის, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი დეკლარაციის დამუშავებისას საქონ-**

ლის საბაჟო ღირებულების კონტროლზე. აღნიშნული სახელმძღვანელო უაღესად მნიშვნელოვანია საბაჟო ღირებულების კონტროლის განხორციელების პროცესში, საბაჟო ღირებულების კონტროლის სტანდარტული პროცედურების განსაზღვრის და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

- **საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის უკანონო განკარგვის პრევენცია** - დეპარტამენტმა შეაფასა, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის უკანონო განკარგვასთან დაკავშირებით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევებზე განხორციელებული საგადასახადო დავების პრაქტიკა. გამოიკვეთა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დავების რიცხვი საკმაოდ დიდია. მომჩივანი პირები, როგორც წესი, უთითებენ მათ არასათანადო ინფორმირებულობაზე.

დეპარტამენტმა მიზნად დაისახა, შეიცვალოს მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის უკანონო განკარგვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების კუთხით და შეამციროს არცოდნის მოტივით გამოწვეული არაინსანდარგანზრახული/ინსანდარგანზრახული სამართალდარღვევების რაოდენობა.

ამ მიზნით, დეპარტამენტის მიერ, უკვე მომზადდა პროექტი და შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონცეფციას და განახორციელებს მიზნის მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებებს.

- **თამბაქოს ნაწარმის იმპორტის პროცედურული სახელმძღვანელო** - 2018 წელს, შემოსავლების სამსახურში, მუშაობა მიმდინარეობდა თამბაქოს ნაწარმის იმპორტის პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავებაზე. სახელმძღვანელოს მიზანია თამბაქოს ნაწარმის (საქონლის) იმპორტისა და გაფორმების პროცესში გამოსაყენებელი სტანდარტული პროცედურების განსაზღვრა, საქონლის გაფორმებისათვის საჭირო დროის ოპტიმალურად გამოყენების და საბაჟო გადასახდელების სწორად გამოანგარიშებისათვის.

საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი ჩართული იყო აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში. უკვე შემუშავებულია პროცედურული სახელმძღვანელოს პროექტის პირველადი ვერსია და მისი შემდგომი სრულყოფის მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა.

- **ალკოჰოლის იმპორტის პროცედურული სახელმძღვანელო** - დეპარტამენტი, ასევე, ჩართული იყო ალკოჰოლიანი სასმელების და ალკოჰოლის იმპორტის პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია გაფორმების ეკონომიკური ზონის მეტაჟე ოფიცრებისათვის, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას საქონლის გაფორმების პროცესში და პასუხისმგებელი არიან ალკოჰოლიანი სასმელების სწორ კლასიფიკაციაზე დეკლარაციაში, შესაბამისად, დარიცხული გადასახდელების სისწორეზე.

შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, ალკოჰოლიანი სასმელების მარეგულირებელი დირექტივები (Council Directive 2008/118/EC, Council Directive 92/83/EEC, Council Directive 92/84/EEC), რომელთა შესრულებაც სავალდებულოა საქართველოსათვის, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. უკვე შედგენილია ალკოჰოლიანი სასმელების დეკლარაციის eCustoms პროგრამაში შევსების ინსტრუქციის პროექტი.

- ❖ **2018 წელს, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები წარმოდგენილები იყვნენ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოსა და წინასწარი გადაწყვეტილებების შემუშავებელ საბჭოს შემადგენლობაში. დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაერთი სადავო და პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში, როგორც საგადასახადო დავის, ასევე, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ფორმატში.**







პროფესიული ეთიკისა
და მონიტორინგის
დეპარტამენტი



ელდარ ფარცულიანი

პროფესიული ეთიკისა და
მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში. პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნების დაცვასა და მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების კონტროლს.

ჩვენი დეპარტამენტი, ასევე, უზრუნველყოფს სამსახურებრივი შემონმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ხელშეწყობი მიზეზების ანალიზს და სათანადო რეკომენდაციების მომზადებას, რაც ემსახურება არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გვაძლევს სათანადო ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას. აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვის, სამსახურებრივი შემონმებისა და რეკომენდაციების მომზადების პროცესში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პრევენციული ხასიათის ქმედებებს, რათა ადრეულ ეტაპზე გამოვავლინოთ და აღვკვეთოთ თანამშრომელთა მხრიდან სამსახურის შინაგანაწესისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის რისკები. შესაბამისად, ორიენტირებულნი ვართ, ერთი მხრივ, ხარისხიანი რეკომენდაციების მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებთან ეფექტური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე.

გემოხსენებული ღონისძიებების მთავარ მიზანს, როგორც მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის თავიდან აცილება, ასევე, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა უფლებების, სამსახურის ინტერესებისა და იმიჯის დაცვა წარმოადგენს. ჩვენ ვზრუნავთ შემოსავლების სამსახურის სისტემაში სამართლიანი გარემოს დამკვიდრებასა და პროფესიონალი, გულისხმიერი, კეთილსინდისიერი თანამშრომლების ფორმირებაზე. ამ მიმართულებით, 2019 წელს კიდევ უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებს ვგეგმავთ.

პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს

- ❖ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
- ❖ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლი;
- ❖ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ, მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემოწმება;
- ❖ სამსახურებრივი შემოწმებისას, ან შემოსულ განცხადებაზე რეაგირებისას გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინური დევნის წარმოება;
- ❖ სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების ხელშემწყობი მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ❖ შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ, სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების პროცესის ხელშემწყობისათვის სათანადო რეკომენდაციების მომზადება;
- ❖ შემოსავლების სამსახურის სისტემაში თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენა;
- ❖ კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემა, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა.

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა მხრიდან შრომის კანონმდებლობის და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნების დაცვასა და მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების კონტროლის მიზნით, პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი, გასვლით შემოწმებებს სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში ინტენსიურად ახორციელებს. კერძოდ, გასვლითი შემოწმებები ხორციელდება შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობებში, სადაც განთავსებულია სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის, მომსახურების სერვისცენტრები; გაფორმების ეკონომიკური ზონები; სახელმწიფო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო მიმოსვლისათვის განკუთვნილი საბაჟო გამშვები პუნქტები და თავისუფალი ინდუსტრიული ზონები.

გასვლითი შემოწმებებისას, პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, აკვირდებიან მიმდინარე სამუშაო პროცესებს, რა დროსაც თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების, სამსახურის შინაგანაწესისა და ზოგადი ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევების გამოვლენა, ასევე, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება ხდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემოსავლების სამსახურის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა მიერ, შესრულებული საქმიანობის მონიტორინგი ტექნიკური საშუალებებისა და მონაცემთა ავტომატიზებული სისტემების მეშვეობით (სისტემა ASYCUDA, გადასახადების ადმინისტრირების სისტემა Oracle და სხვა) ხორციელდება.

გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, იწყებენ სამსახურებრივ შემოწმებას, რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და სამსახურის შინაგანაწესის დამრღვევი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური დევნის წარმოებას. ამასთან, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, თანამშრომელთა მხრიდან ხდება ჩადენილი სამსახურებრივი გადაცდომების, გამოვლენილი ნაკლოვანებების, ხარვეზების ხელშემწყობი მიზეზების ანალიზი და მათი აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციები მზადდება.

ასევე, შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა მიერ, სამსახურებრივი ეთიკის ნორმათა შესრულების პროცესის ხელშეწყობისათვის სათანადო რეკომენდაციები გაიცემა.

შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებულ ა/მანქანებზე დამონტაჟებული GPS მოწყობილობების მეშვეობით, ა/მანქანების დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლი ხორციელდება.

პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი თანამშრომელთა სამსახურში დასწრების კონტროლს, სამსახურის შენობის შესასვლელში განთავსებული სპეციალური ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ახორციელებს, სადაც თანამშრომლის მიერ, სამსახურებრივი ბარათის გამოყენებით, სამსახურში გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის დაფიქსირება ხდება. აღნიშნული ტექნიკური საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციას, ყოველი თვის ბოლოს, ამუშავებს პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი და დისციპლინის დამრღვევი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების მიზნით, წარუდგენს სამსახურის უფროსს. 2018 წლის პირველი მარტიდან, პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის რეკომენდაციით, ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესში და არასაპატიო მიზეზით სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ან სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის მე-17¹ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პროცენტული განაკვეთების შესაბამისად, გაცდენილი საათების პროპორციულად, თანამშრომელს შესაძლოა ხელფასიდან თანხა დაუკავდეს.

2018 წელს გატარებული დისციპლინური ღონისძიებების ზოგადი სტატისტიკა

2018 წელს განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოყენებულ იქნა:	
შენიშვნა	15
გაფრთხილება	54
არა უმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება	11
ხელფასის პროცენტული დაკავება სამსახურში დასწრებასთან დაკავშირებული დარღვევების გამო	53
სამსახურიდან გათავისუფლება	2
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ნაცვლად, 87 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სიტყვიერი გაფრთხილება	

2018



032 2 299 299



გორგასლის ქ. №16, 0114



info@rs.ge



www.rs.ge